

ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა

საქართველო

VNR 2020






საქართველოს მდგრადი განვითარების
მიზნების უწყებანთშორისი საბჭოს სამდივნო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ნებაყოფლობითი ეროვნული ანბარიში

მდგრადი განვითარების 2030 დღის
წესრიგის განხორციელების ანგარიში



სარჩევი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა.....	2
1. მოკლე მიმოხილვა.....	4
კარგი პრაქტიკა და მიღებული გაკვეთილები.....	5
სფეროები, სადაც საჭიროა მხარდაჭერა	8
2. საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნები.....	11
ინსტიტუციური მოწყობა და მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაცია.....	12
მდგრადი განვითარების მიზნების კავშირი პოლიტიკის სხვა დოკუმენტებთან	14
მდგრადი განვითარების სამი განზომილება საქართველოში.....	16
მიმოხილვის კონტექსტი და მიზნები	17
3. მიმოხილვის მეთოდოლოგია და მომზადების პროცესი	18
4. ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა	21
4.1. სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობა	21
სამომავლო ნაბიჯები სოციალური დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად	22
სივრცითი უთანასწორობა	23
შიმშილი, სურსათის უვნებლობა და სოფლის მეურნეობის წარმოება	24
4.2. ჯანდაცვის სისტემა	27
სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიკვდილიანობა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	27
დაავადებათა კონტროლი და ინფექციების მკურნალობა	29
ნაადრევი სიკვდილიანობის პრევენცია	30
ჯანდაცვის დაფინანსება, ჯიბიდან გადახდები და ჯანდაცვის სერვისის ხარისხი	32
შრომის ადმინისტრირების სისტემა	35
4.3. განათლება.....	35
სკოლამდელი განათლება	36
ზოგადი განათლება.....	36
უმაღლესი განათლება და უნარების შეუსაბამობა	39
პროფესიული განათლება.....	41
4.4 ახალგაზრდობა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა	44
5. ეკონომიკური ზრდა.....	47
5.1. ზრდა	47
ეკონომიკური სტრუქტურა და ინკლუზიურობა	48
5.2. შრომის ბაზარი.....	49
5.3 მდგრადი ინდუსტრიალიზაცია	53
5.4. მოხმარება და წარმოება.....	55

5.5. ენერგეტიკა.....	58
Covid-19-ის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე.....	59
6. დემოკრატიული მმართველობა.....	61
6.1 თანასწორობა	61
გენდერული თანასწორობა	62
შემცირებული უთანასწორობა	69
6.2. მშვიდობა, სამართალი და ძლიერი ინსტიტუციები.....	70
7. დასკვნა და სამომავლო ნაბიჯები.....	82
ახალი საკითხები	83

საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა



ჩვენ ვცხოვრობთ განსახვავებულ ეპოქაში. მსოფლიო მნიშვნელოვანი განვითარების გამოწვევების წინაშე დგას, რაც ჩვენი მხრიდან მყარ, ინოვაციურ და გონივრულ რეაგირებას საჭიროებს. მდგრადი განვითარება ყველა ქართველის კეთილდღეობის გაუმჯობესების საწინდარია, რომელიც ამავედროულად ჩვენი პლანეტის დაცვასაც უზრუნველყოფს. ამ ამოცანების შესაბამისად, 2030 წლის ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც გაერო-ს ხელმძღვანელობით შემუშავდა, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და კატალიზატორია მდგრადი განვითარების პროცესის დასაჩქარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალურად. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მდგრადი განვითარების მიზნები ჩვენი პლანეტის პოზიტიური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ჩვენ სულ ახლახანს გადავედით ქმედებათა ათწლეულში და უკვე თვალსაჩინოა ერთობლივი მუშაობის შედეგები. თუმცა 2015 წლიდან დღემდე განხორციელებული ბევრი ჩვენი მიღწევა პანდემიის გამო საფრთხის ქვეშაა. ამ მიღწევების გათვალისწინებით, მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში და გამოვხატო ჩვენი მტკიცე ერთგულება 2030 დღის წესრიგის მიმართ.

მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობისთვის. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ჩვიდმეტივე მიზნის ამოცანებსა და მათი შესრულების ეტაპებს.

უფრო მეტიც, ჩვენ მოვახერხეთ 2030 დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვის სისტემაში ინტეგრირება. ასევე შევძელით, რომ მთავრობის პოლიტიკის და პრიორიტეტების განსაზღვრა მომხდარიყო აღნიშნული დღის წესრიგის მთავარი პრინციპის „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ შესაბამისად.

უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია. შედეგად, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის თანახმად, ქვეყანამ დაბალი-საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან მაღალი-საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების რიცხვში გადაინაცვლა. მიუხედავად რეგიონული ეკონომიკური შოკებისა, საქართველომ შეძლო სტაბილური ეკონომიკური განვითარების შენარჩუნება ბოლო ხუთ წელიწადში მშპ-ს წლიური საშუალო 5%-იანი ზრდით.

ეკონომიკურ განვითარებას, რომელსაც საერთაშორისოდ აღიარებული ბიზნეს-მეგობრული გარემო ემატება (მსოფლიო ბანკის 2020 წლის ბიზნესის კეთების რეიტინგის თანახმად, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის საქართველო მე-7 პოზიციაზეა), დადებითი გავლენა ჰქონდა სამუშაო ადგილების შექმნაზე. 2019 წელს, ბოლო 18 წელიწადში, უმუშევრობის ისტორიულად დაბალ მაჩვენებელს (11,6%) მიაღწიეთ. შედეგად, 2015 წლის შემდგომ, ეროვნული სიღარიბის ზღვარს მიღმა (აბსოლუტური სიღარიბე) მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 9.7%-ით შემცირდა.

საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდას, რაც მდგრადი განვითარებისა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფის არსებითი შემადგენელია. განათლება ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია - ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ზოგადი განათლების რეფორმირების კუთხით და მოთხოვნაზე დაფუძნებული უმაღლესი და პროფესიული განათლების ჩამოყალიბების მიმართულებით, რათა შრომის ბაზარზე უნარების შეუსაბამობის პრობლემა შემცირებულიყო. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად შევიმუშავეთ უპრეცედენტო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სერვისებზე თითოეული მოქალაქის სრულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას, რაც მდგრადი განვითარების საფუძველი და წინაპირობაა. ჩვენ საჯარო მმართველობის რეფორმის გაძლიერების ერთგული ვრჩებით, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობის, ღიაობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას ისახავს მიზნად. გვებამყვება, რომ კორუფციის ყველაზე დაბალი დონით მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ვართ; 2015-2018 წლებში, წლიდან წლამდე მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის ინდექსის 1.51%-იან საშუალო ზრდას ვხედავდით. ამავდროულად, საქართველო არის ფისკალური გამჭვირვალობის ჩემპიონი და 2017 წლიდან მოყოლებული ღია ბიუჯეტის ინდექსის პირველ ხუთეულშია (ღია ბიუჯეტის კვლევა). ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ჩვენი ინსტიტუციური მექანიზმების კონსოლიდირებას ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დასაცავად.

მიუხედავად ამ პროგრესისა, კარგად გვესმის, რომ რჩება სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური გამოწვევები და ყველა ძალას ვხმარობთ მათი გადაჭრის საუკეთესო გზების მოსაძიებლად, რომელიც მტკიცებულებებსა და ანალიზზე დამყარებული იქნება. წინამდებარე მიმოხილვა ამ საკითხზე ინფორმაციასაც მოიცავს.

მდგრადი განვითარების ზოგიერთი მიზნის სრულად განხორციელება რთულია რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - ოკუპაციის პირობებში, სადაც ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, მწვავე გამოწვევებია. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს წართმეული აქვთ განვითარების საშუალება და განიცდიან ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მუდმივ დარღვევას. ამ მიმართულებით ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო Covid-19-ის პანდემიას ებრძვის, მდგრად განვითარებას ახალი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ვირუსის გავრცელების შეკავებაში წარმატებული იყო, მოსალოდნელია, რომ მისი სოციალური და ეკონომიკური გავლენა საკმაოდ დიდი გამოწვევა იქნება. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ უნდა გავაორმაგოთ ჩვენი ძალისხმევა და სტრატეგიულ დონეზე ავიყვანოთ მისი განხორციელება 2030 დღის წესრიგის მიმართულებით დადებითი პროგრესის შესანარჩუნებლად. იმდენად რამდენადაც დარწმუნებული ვართ, რომ 2030 დღის წესრიგი მხოლოდ ეფექტური პარტნიორობისა და ინკლუზიური პროცესის საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული, საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააგრძელოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ახლო თანამშრომლობა, ისევე, როგორც საერთაშორისო და განვითარების პარტნიორებთან მუშაობას, რათა წვლილი შეიტანოს გლობალური გამოწვევების გადაწყვეტაში და შექმნას უკეთესი მომავალი საქართველოს მოქალაქეებისთვის.



გიორგი გახარია
საქართველოს
პრემიერ-მინისტრი

1. მოკლე მიმოხილვა

2016 წელს, საქართველომ მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის შესრულების შესახებ პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში წარადგინა. დოკუმენტის მიზანი სამომავლო ამბიციის განსაზღვრა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების მიმართულებით საქართველოს მიდგომის წარმოდგენა იყო. წინამდებარე ანგარიშიც კვალდაკვალ მიჰყვება პირველ ანგარიშს და მის გაგრძელებას წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ SDGs ჩარჩოს მიღებიდან საკმარისი დროა გასული, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ გეგმებში ინტეგრაციისა და იმ ამოცანების მიღწევასთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულ პროცესში იქნა დასახული.

განვლილი ოთხი წელი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით საკმაოდ პოზიტიური იყო. 2030 დღის წესრიგის შემუშავებიდან (2015წ.), საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარში) საშუალოდ წლიური 4.1%-ით გაიზარდა (SDG 8.1). საგარეო შოკების მიუხედავად, 2019 წელს ქვეყანამ შეძლო სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება მშპ-ს რეალური წლიური 5.1%-ანი ზრდით, ხოლო ნომინალური მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 4,763 აშშ დოლარს მიაღწია. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველომ დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების კლასიფიკაციიდან მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა.

მიუხედავად წარმატებებისა, რაც მდგრადი განვითარების მიზნების სულისკვეთებითაა განპირობებული, რომლის მიზანია ეკონომიკური სოციალური და გარემოს საკითხების მდგრადი ურთიერთკვეთის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ქართულ საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობებზე მეტი აქცენტირება. მიუხედავად იმის, რომ 2015 წლის შემდეგ ეროვნული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (აბსოლუტური სიღარიბე) მყოფი მოსახლეობის წილი 7%-ით შემცირდა, შემოსავლის უთანასწორობა შედარებით მაღალი რჩება, რაც 2030 წლისთვის სიღარიბის 20%-ით შესამცირებლად კარგ საფუძველს ქმნის (SDG 1.2.1). მედიაწილის შემოსავლის 50 პროცენტის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი გაიზარდა, რაც მიუთითებს, რომ „მედიანური“ და „საშუალო“ შემოსავლის მქონე ადამიანს შორის ეკონომიკური კეთილდღეობის სხვაობა გაზრდილია (SDG 10.2).

ღია მმართველობასა და არსებულ ეკონომიკური უთანასწორობის გამოსწორებაზე აქცენტი წარმოადგენს საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“. მიმდინარე ინიციატივები, რომელიც ანგარიშის ძირითად ნაწილში დეტალურადაა აღწერილი, მიზნად ისახავს ეკონომიკურად მძიმე სიტუაციაში მყოფი ადამიანებისთვის უფრო ეფექტიანი სოციალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი სოციალური დახმარების და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების საშუალებით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ახალი სისტემების ჩამოყალიბებით.

როგორც 2016 წლის ეროვნულ მიმოხილვაშია აღნიშნული, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მიმდინარეობს საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/ე.წ. სამხრეთ ოსეთის, - რუსეთის მიერ ოკუპაციის ფონზე. რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებზე გაზრდილმა მილიტარიზაციამ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ფიზიკური ბარიერების და დაბრკოლებების მშენებლობის პროცესმა, ე.წ. „სასაზღვრო პუნქტების“ დახურვამ, 2016-2020 წლების პერიოდში უკანონო დაკავებებმა და გატაცებებმა გამოიწვია უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და

უარყოფითად იმოქმედა გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარულ მდგომარეობასა და ცხოვრების დონეზე. ადამიანის უფლებათა მწვავე და სისტემატური დარღვევები, მათ შორის სიცოცხლის უფლების დარღვევა, გადაადგილების თავისუფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის შეზღუდვა და ეთნიკური დისკრიმინაცია, წლების განმავლობაში ამძიმებდა ოკუპაციის ტვირთს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის. თუმცა, ამ გამოწვევაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობა თანმიმდევრულად მიჰყვება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პოლიტიკას. საქართველომ შეასრულა ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, არაერთხელ დაადასტურა (როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე) და ასრულებს ძალის არ-გამოყენების ვალდებულებას და ჯერ ისევ ელის რუსეთის მხრიდან ვალდებულების შესრულებას. თუმცა, საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიიდან 12 წლის შემდეგაც, რუსეთს ჯერ ისევ არ შეუსრულებია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და კვლავ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო მილიტარიზაციას. საქართველო არ იშურებს ძალისხმევას ეფექტურად გამოიყენოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი რუსული ოკუპაციით გამოწვეული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტისთვის და იყენებს ყველა შესაბამის ფორმატს საერთაშორისო მხარდაჭერისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების პროცესში ჩართულობისთვის. მეორე მხრივ, საქართველო რჩება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ერთგული და 2018 წელს წამოაყენა სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ (იხ. გრაფა 19), რომელიც მიზნად ისახავს გამყოფი ხაზის გასწვრივ მოსახლეობისთვის განათლების, ჯანდაცვისა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების მიცემას.¹

მაშინ როდესაც მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლის პროცესშია, საქართველო ჯერ-ჯერობით მიჩნეულია რეგიონული და გლობალური წარმატების მაგალითად Covid-19 ვირუსის გავრცელების შეკავების თვალსაზრისით. შედარებისთვის, ერთ მილიონ მოსახლეზე საქართველოს აქვს Covid-19-ით 216.2 ინფიცირების და 3.5 გარდაცვალების შემთხვევა მაშინ, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით საშუალო მაჩვენებელი, შესაბამისად, 570 და 38.3-ია (2020 წლის 3 ივნისის მდგომარეობით). გავრცელების აშკარა შემცირება და სიკვდილიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის იანვრიდან მოყოლებული სწრაფი, პრევენციული და დროული საწინააღმდეგო ზომების მიღებით.

კარგი პრაქტიკა და მიღებული გაკვეთილები


1. მდგრადი განვითარების მიზნების საერთო ეროვნულ ამოცანებთან ინტეგრაცია პროცესს უფრო მაღალ პოლიტიკურ წონას ანიჭებს.

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, რაც ევროკავშირთან შორსმომავალი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს ქმნის. ევროკავშირში გაწევრიანება ეროვნული კონსენსუსის საკითხია - საქართველოს მოქალაქეები დაახლოებით 80% მუდმივად უცხადებს მხარდაჭერას ამ მიზანს, ხოლო ევროპული მისწრაფებები საქართველოს კონსტიტუციის განახლებულ რედაქციაშია ასახული. 36 ეროვნული სტრატეგია და ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების

¹ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი.

შეთანხმება ერთობლივად აერთიანებს ქვეყნის ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების 96%-ს. უფრო ტექნიკურ დონეზე კი, ასოცირების შეთანხმებასთან კავშირი ამ მიზნებისადმი პროგრესზე დაკვირვებას ამარტივებს და ამაღდროულად, ქმნის კარგ რეგიონულ პლატფორმას, თანამოაზრე მთავრობებთან აღნიშნული მიზნების შესრულების საუკეთესო გზების შესახებ კონსულტაციებისათვის.

ცხრილი 1: მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის აქსელერაცია: აქტივობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა (2019).



2. საჯარო და კერძო პარტნიორობას ხელშესახები შედეგების სწრაფად მიღწევის პოტენციალი აქვს

ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საქართველომ უნდა მიაღწიოს სწრაფ პროგრესს ინოვაციებისა და უახლესი ექსპერტული ცოდნის მობილიზებით. ზოგიერთ სფეროში, საჯარო სექტორში არსებული უნარ-ჩვევების ნაკლებობა სწორედ საჯარო და კერძო პარტნიორობის მეშვეობით შეიძლება შეივსოს. საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საჯარო და კერძო პარტნიორობის როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ კანონი მიიღო და შეიქმნა საჯარო და კერძო პარტნიორობის სააგენტო რომელიც პირდაპირ საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული. არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო სხვადასხვა საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდალობების წამახალისებლად მიიჩნევა.

ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პროფესიული განათლების რეფორმა, რომელიც პროფესიული განათლების სტრატეგიის (2013-2020) და შესაბამისი სამოქმედო გეგმების მიღებით დაიწყო. რეფორმის მიზანია ქართულ შრომით ბაზარზე უნარ-ჩვევების ქრონიკული შეუსაბამობის აღმოფხვრა. 2013-2020 წლებში მთავრობამ რვა ახალი პროფესიული სასწავლებელი და 10 ახალი ფილიალი დააფუძნა, თუმცა მათი აქტიური გამოყენების არსებითი წინაპირობა იყო პარტნიორობა, რომლითაც დამსაქმებლები პირდაპირ იყვნენ ჩართული პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში და დამსაქმებელთაგან შემდგარი დარგობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვალიდაციას. 2016 წელს დაიწყო „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ კონცეფციის პილოტირება და შემოღებული იქნა დუალური განათლების პროგრამები², რამაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესონ დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. მსგავსი პარტნიორობები ახლაც ვითარდება, რათა კერძო სექტორი გადამზადებასა და განათლებაში ჩაერთოს და იყოს პროფესიული სასწავლებლის თანადამფუძნებელი ან/და მენეჯმენტის ფუნქცია აიღოს საკუთარ თავზე. ეს პროგრამები განსაკუთრებით მიმართულია ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობები, ახალგაზრდები და იძულებით გადაადგილებული პირები.

ნაყოფიერი საჯარო და კერძო პარტნიორობის კიდევ ერთი მაგალითი იყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იყო. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კერძო ბიოფარმაცევტული კომპანია გილეადის უპრეცედენტო პარტნიორობა 2015 წელს დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა 2020 წლისთვის C ჰეპატიტის პრევალენტობის 90%-ით შემცირებას და 2021 წლისთვის ელიმინაციის პროცესის დასრულებას 2015 წლის 1-ლი მაისიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ტესტირება გახდა უფრო მასშტაბური და პროგრამის ფარგლებში 54,313 პაციენტმა იმკურნალა. ქვეყანამ დაამკვიდრა აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ერთობლივი სკრინინგი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთათვის და იმ ადამიანთათვის, ვინც ზიანის შემცირების სერვისით სარგებლობდა, საქართველოში „შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის აივ პროგრამის ფარგლებში“.

3. „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ მიზნის უზრუნველყოფა სასიცოცხლო სფეროებში

2013 წელს, მთავრობამ წარადგინა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ პრინციპის შესაბამისად ჯანდაცვის სერვისების საბაზისო პაკეტის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო პირველადი ჯანდაცვის, გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული, გეგმიური ქირურგიის, მშობიარობის და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის დაფინანსების პასუხისმგებლობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ასევე გავრცელდა ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებზე (მათი ეროვნების მიუხედავად), რომლებიც ჯანდაცვის სერვისებს იღებენ ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში. 2017 წლის მაისში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გადავიდა მომსახურების სტრატეგიკაციაზე შემოსავლისა და მედიკამენტების დაფინანსების მიხედვით. საყოველთაო ჯანდაცვის

² 2016 წლის შემდგომ პროფესიული განათლების პროგრამის სწავლების შედეგების 50% რეალურ სამუშაო გარემოში იქნა მიღწეული. უფრო მეტიც, 800-ზე მეტი ადამიანი იყო ჩართული დუალურ პროგრამაში და 50-ზე მეტი კომპანია თანამშრომლობს სასწავლებლებთან ამ პროგრამების განსახორციელებლად.

პროგრამამ, საოჯახო მეურნეობებს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯის ტვირთი - ჯიბიდან გადახდილი ხარჯები 2005 წლის 80%-იანი მაჩვენებლიდან 2018 წელს 53%-მდე შემცირდა.

საქართველოს ძლიერი მხარეებია: სტაბილური ეკონომიკური ზრდა, რომელმაც წლების მანძილზე დრამატული საგარეო შოკებისადმი სიმყარე გამოიჩინა; ეროვნული კონსენსუსი ზოგადი პოლიტიკური მიზნებისადმი და მნიშვნელოვანი მიღწევები კანონის უზენაესობისა და მმართველობის სფეროებში, განსაკუთრებულად მცირე დროში; საქართველოს მოქალაქეების მზაობა და სამეწარმეო სულისკვეთება; სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა შესაძლებელს ხდის ქვეყნის წინსვლას.

სუსტ მხარეს წარმოადგენს ემიგრაციის მაღალი დონე და შემოსავლების უთანასწორობა, რაც სოლიდარობასა და ზრდას ხელს უშლის.

შესაძლებლობები გამოხატულია ინოვაციური და ეკო-ეფექტური ეკონომიკისკენ გადასვლით, კულტურული, შემოქმედებითი და ბუნებრივი კაპიტალის უპირატესობების გამოყენებით, ამაღლოვლად შემოსავლების და შესაძლებლობების უთანასწორობის შემცირებით, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებით, განათლების, საჯარო სერვისების და მმართველობის გაუმჯობესებისა და ადეკვატური სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბებით “არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“-ს პრინციპის შესაბამისად. განვითარების მიზნების მისაღწევად სამოქალაქო სექტორისა და კერძო სექტორის პარტნიორობად ჩართვა ექსპერტული ცოდნის გაზრდის და ასევე საჯარო სექტორის მიერ შეთავაზებული პროგრამების ფართოდ გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

საფრთხეები მომდინარეობს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების განგრძობადი ოკუპაციიდან და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული სამხედრო ძალების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო განთავსებიდან, რაც არსებითი საფრთხეა სახელმწიფოებრიობისთვის. ამაღლოვლად, ეს საფრთხეს წარმოადგენს ერთიანი ევროპული უსაფრთხოებისთვის და მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ასობით ათასი ადამიანის ჰუმანიტარულ და უფლებრივ მდგომარეობაზე. კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, რომელიც Covid-19-ით უფრო მეტად გამწვავდა, შეიძლება ჩამოყალიბდეს ზოგადი აპათია და მოქალაქეების გათიშვა პროცესებიდან.

სფეროები, სადაც საჭიროა მხარდაჭერა

01

გენერალური მდივნის 2019 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში ხაზს უსვამს, რომ გახშირებული კონფლიქტები ზიანს აყენებს მდგრადი განვითარების მიზნებს და საფრთხეს უქმნის აქამდე მიღწეულ პროგრესს. აღნიშნული ცალსახა გამოწვევაა საქართველოსთვის და ეს სწორედ ის საკითხია, სადაც დამატებითი მხარდაჭერაა საჭირო. ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელსაც თანათავმჯდომარეობს გაერო, ევროკავშირი და ეუთო, გრძელდება, თუმცა ხელშესახები პროგრესი - აღიარებული იყოს და შეწყდეს საქართველოს ტერიტორიების

ოკუპაცია, ვერ იქნა მიღწეული. საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს საკუთარ პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს გამყოფ ხაზთან მცხოვრები საზოგადოებების უფლებების პროგრესული განხორციელება და ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლებამ შეიმუშავა შესაბამისი პოლიტიკა, თუმცა პასუხისმგებლობის არსებითი ნაწილი ეკისრება მხარეს, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს დასახელებულ ტერიტორიებზე.

02

Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელებულმა უპრეცედენტო ჩარევებმა დაგვანახა მდგრადობის განმტკიცების და კატასტროფების რისკების შემცირების საჭიროება. მართალია, საქართველომ პანდემიასთან ბრძოლის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებისთვის აღიარება მოიპოვა, თუმცა საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან საუკეთესო გამოცდილების გაზიარება კვლავ საჭირო იქნება შედეგების უკეთ გასააზრებლად.

03

განვითარების პარტნიორების მხრიდან დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებში კვლავ რჩება ნაკლოვანებები. საქართველოს მთავრობამ წარადგინა ანტიკრიზისული გეგმა. თუმცა, საქართველოს ეკონომიკისთვის მიყენებული შესაძლო ზარალის მოცულობის გათვალისწინებით, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას დასჭირდება დაფინანსების სქემები აღდგენის ფაზაზე, რაც პანდემიამდე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების არსებული პროგრესის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, განიხილება ინიციატივები ახალი ინვესტიციების მოსაზიდად და საბაზრო შესაძლებლობების თვალსაზრისით, რაც Covid-19-თან დაკავშირებული ინდუსტრიების ცვლილებებით და გრძელვადიანი კონკურენციის პოლიტიკით ჩამოყალიბდა.

04

სტრუქტურირებული პლატფორმები, სადაც მმართველობის სისტემების შესახებ ცოდნის გაზიარება ხდება, შეიძლება სასარგებლო იყოს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას გლობალური მხარდაჭერა აქვს, პოლიტიკები მუშავდება, სრულდება და იზომება ეროვნულ დონეზე. ეს მოითხოვს სახელმწიფოებსა და მთავრობებს, ასევე სამოქალაქო სექტორს შორის ძლიერი და სტრუქტურირებული თანამშრომლობის საჭიროებას, რაც სასწავლო პროცესს წარმოადგენს. 2018 წელს საქართველომ, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანამ, თბილისში ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტს უმასპინძლა. მმართველი საბჭოს კვლავ არჩეული წევრის სტატუსით საქართველო შეინარჩუნებს აქტიურ ჩართულობას როგორც სწავლის, ისე კარგი გამოცდილების გაზიარების კუთხით საჯარო სერვისების მიწოდების, სამოქალაქო ჩართულობის მეტად განვითარების და ღია მმართველობის პრინციპების გაძლიერების თვალსაზრისით.

2. საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნები

მთავრობისთვის მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია წარმოადგენს არა ბიუროკრატიულ პროცესს, არამედ გაცნობიერებულ მთავრობის ერთიან მიდგომას ქვეყნის განვითარების მომავლის ხედვასთან დაკავშირებით. SDGs მიმართ ქვეყნის ვალდებულებები გამოხატულია როგორც მათი ეროვნულ პოლიტიკებში ინტეგრაციით, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტით³, რომელიც, მთავრობის, სამოქალაქო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციების შედეგად იქნა შემუშავებული. დოკუმენტში წარმოდგენილია ნაციონალიზებული ამოცანები (93) და ინდიკატორები (200) და მათი შესრულების მონიტორინგის პროცედურული სტრუქტურა.

გარდა ამისა, პოლიტიკური პრიორიტეტი, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნებს მიენიჭა, ასახულია მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების თანმიმდევრული და გააზრებული ინტეგრაციით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგში, რითიც ისინი მთავარ ეროვნულ მიზნებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ასევე, რომ 2019 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხარდაჭერის და მონიტორინგის სტრატეგია მიიღო.

უფრო მეტიც, ინტეგრაციის პროცესის კიდევ უფრო ჩამოყალიბებისა და მიზნების წარმატებული განხორციელებისთვის სათანადო საფუძვლის შექმნის მხარდასაჭერად, საქართველოს აუდიტის სამსახურმა შეაფასა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული მზაობა და აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებული იქნა რეკომენდაციები. შეფასებამ ცხადყო, რომ მთავრობას მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული 2030 დღის წესრიგის ეროვნულ კონტექსტში ინტეგრირებისთვის, მათ შორის შესაბამისი კოორდინაციის მექანიზმის ჩამოყალიბებით, შესაბამისი საჯარო მოხელეების უნარების გაძლიერებითა და მონიტორინგის და ანგარიშგების ჩარჩოს დადგენით. თუმცა, მთავრობის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, აუდიტმა გამოავლინა გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც მიზნების წარმატებული და დროული შესრულებისათვის უნდა გამოსწოდეს (მაგალითად: მდგრადი განვითარების მიზნების ჩარჩოსა და ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის ინსტრუმენტებს შორის კავშირის უზრუნველყოფა; საჯარო დაწესებულებებს შორის პასუხისმგებლობების მკაფიო გამოიჯვანა; მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზება). რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების როგორც ინსტიტუციური, ისე საკოორდინაციო ჩარჩოს გაძლიერების სახელმძღვანელო დოკუმენტია.

მდგრადი განვითარების მიზნების ჩარჩოში არსებული მონაცემთა დანაკლისის შესავსებად 2018-2019 წლებში საქართველოს მთავრობამ, გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) ჩაატარა. კვლევის შედეგები 2019 წლის ბოლოს გახდა ცნობილი. MICS-მა მოიცვა 180-ზე მეტი ინდიკატორი და 14,000 საოჯახო მეურნეობა, რითაც ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი მონაცემების მიღება გახდა შესაძლებელი, რომელიც ექვემდებარება ასაკის, სქესის, ქალაქი/სოფლის ტიპის დასახლების, იმულებით გადაადგილებული პირის სტატუსის, ეთნიკურობის, შეზღუდული შესაძლებლობის და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით ჩაშლას. ამ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია კრიტიკული ჩარევების მიზნობრიობის განსაზღვრისა და შემუშავებისათვის. MICS-მა

³ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის განკარგულება N2328.

ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ბევრი ინდიკატორისთვის საბაზისო მაჩვენებლები დაადგინა.

ინსტიტუციური მოწყობა და მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაცია

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული ამოცანების შესრულების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო (SDGs საბჭო), რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. 2015 წლიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია წარმართავს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის და კოორდინაციის პროცესს. საბჭოს აქვს ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი:

- სოციალური ჩართულობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- მდგრადი ენერგეტიკა და გარემოს დაცვა;
- დემოკრატიული მმართველობა.

საბჭო უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას საჯარო, სამოქალაქო, საერთაშორისო, აკადემიური და კერძო სექტორებიდან. SDGs საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო. აღნიშნული სამმართველო ასევე ახორციელებს ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის მონიტორინგს სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით (<http://sdg.gov.ge>).

საზოგადოების ერთიანი მიდგომის სულისკვეთებით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზემოთხსენებული აუდიტის ანგარიშის რეკომენდაციების საფუძველზე, 2020 წელს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განახლდა საკოორდინაციო მექანიზმის მოწყობა.

კერძოდ, ამჟამინდელისაბჭოს დებულება და თემატური სამუშაო ჯგუფის სამუშაოს აღწერილობა უზრუნველყოფს პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სათანადო მონაწილეობას და ასევე მექანიზმებს მათი კუთვნილების გაზრდისთვის:

- თითოეულ სამუშაო ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე (სამთავრობო უწყებებიდან) და **ორი თანათავმჯდომარე**, მათ შორის:
 - ერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან, რომელიც 2 წლის ვადით, როტაციის პრინციპით არის არჩეული სამუშაო ჯგუფში შემავალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ;
 - ერთი გაეროს შესაბამისი სააგენტო.
- თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე უწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობაში არიან და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ;
- თანათავმჯდომარეები ჩართული არიან სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგის შემუშავების პროცესში, მათ შეუძლიათ მოამზადონ წინადადება/ინიციატივა და წარუდგინონ საბჭოს;
- თემატური სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს უფლება აქვს თავმჯდომარეს და თანათავმჯდომარეს წარუდგინოს ახალი ინიციატივა საბჭოსთვის გადასაცემად.

მოსალოდნელია, რომ საზოგადოების ერთიანი სულისკვეთება მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაციის პროცესში კიდევ უფრო გაუმჯობესდება ზემოთხსენებული მექანიზმებით და წახალისებს სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობას პროცესში.

თუმცა, მთავრობა აცნობიერებს ცალკეულ სტრუქტურულ და პროცედურულ გამოწვევებს/საჭიროებებს:

- მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე განხორციელება მცირედით ჩამორჩება საერთო ეროვნულ პროცესს, რაც ასევე აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული მზადოვნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მდგრადი განვითარების მიზნების სამდივნომ უკვე შეიმუშავა მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური ლოკალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაშია მთავრობის მიერ 2019 წელს მიღებულ დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან (იხ. თავი 4.3). უფრო მეტიც, SDGs საბჭოს განახლებულმა დებულებამ უზრუნველყო მუნიციპალიტეტების მერის ან მერის მოადგილის წევრობა საბჭოს საქმიანობაში.
- საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო კონსულტაციების პროცესის შემუშავებისა და ჩატარებისათვის. აღნიშნული ხორციელდება საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების და ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერით. მეორე მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა პოლიტიკის შემუშავების პროცესში პროდუქტიული ჩართულობა შეძლონ. სამოქალაქო სექტორის ისეთი პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკის პროცესთან ან სტრატეგიების შესრულების მონიტორინგის განხორციელებასთან მხარდაჭერილია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან და ასევე წახალისებულია საქართველოს მთავრობის მხრიდან.
- სხვა ქვეყნების გამოცდილების მსგავსად, ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხარისხი არათანაბარია: მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების მიზნების ზოგიერთ ნაციონალიზებულ მიზანზე - 1 (სიღარიბე), 8 (დასაქმება), 16 (მშვიდობა) - განაწილებულია რამდენიმე ინსტიტუციას შორის, სხვები ერთი უწყების უფლებამოსილებაშია კონცენტრირებული. SDGs საბჭოს და მიმდინარე დაგეგმვისა და მონიტორინგის ინიციატივების საშუალებით, მთავრობა გეგმავს სექტორთშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების უფრო თანმიმდევრული ჩართულობის უზრუნველყოფას.

მდგრადი განვითარების მიზნების კავშირი პოლიტიკის სხვა დოკუმენტებთან

პირველი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში წარდგენის შემდეგ საქართველოს მთავრობამ, საქართველოში გაერო-ს ოფისისა და გარე ექსპერტების მხარდაჭერით, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში ორგანული იმპლემენტაციისთვის რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. 2019 წელს გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP) მხარი დაუჭირა MAPS (2030 დღის წესრიგისათვის მეინსტრიმინგის, აქსელერაციისა და პოლიტიკის მხარდაჭერა) კვლევას, რათა ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების არსებული მდგომარეობა დადგენილიყო.

თავისუფლება, სწრაფი განვითარება & კეთილდღეობა სამთავრობო პროგრამა 2018-2020 – 39 ამოცანა	სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020) – 20 ამოცანა	ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია (2014-2020) – 13 ამოცანა	საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2020) – 12 ამოცანა
	მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020) და სამოქმედო გეგმა - 15 ამოცანა	რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) – 12 ამოცანა	სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020 – 11 ამოცანა


დიაგრამა 1. პოლიტიკის დოკუმენტები მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით.

პირველ ეტაპზე ექსპერტებმა მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით ეროვნული და სექტორული პოლიტიკის 55 დოკუმენტი (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, მარეგულირებელი აქტები) შეაფასეს. ამის შემდეგ, ეროვნული ბიუჯეტის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების 2017-2020 წლების დოკუმენტის (2019-2022 საბიუჯეტო ციკლი) მიმოხილვის შედეგად შეფასდა რამდენად არის ასახული სტრატეგიულ დოკუმენტებში განსაზღვრული პრიორიტეტები ეროვნულ ბიუჯეტში. საბოლოოდ კი ჩატარდა კომპლექსურობის ანალიზი, რათა შეფასებულიყო, თუ რამდენად ახდენს მდგრადი განვითარების მიზნების ერთ სფეროში ამოცანების შესრულება სხვა სფეროებშიც პროგრესის დაჩქარებას.

შედეგად, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების სამი განზომილების (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) ინტეგრაცია და ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვის სისტემაში ძალიან მაღალია:

მხოლოდ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმება ქვეყნის ნაციონალიზებულ მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების 63%-ს მოიცავს, რაც ყველაზე დიდი წილია საქართველოს სტრატეგიულ ან დაგეგმვის დოკუმენტებს შორის. თანხვედრის ასეთი მაღალი ხარისხი აჩვენებს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგის და 2030 წლის დღის წესრიგის ურთიერთგაძლიერების მასშტაბს. უფრო მეტიც, ასოცირების შეთანხმება მოიცავს ისეთ ამოცანებს, რომლებიც სხვა ეროვნულ სტრატეგიებში არ გვხვდება.

ერთად აღებული, 36 ეროვნული სტრატეგია და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება ქვეყნის ნაციონალიზებულ მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების 93%-ს ფარავს. როგორც 1-ლი ცხრილი აჩვენებს, ამოცანების 7%, რომელიც არ არის დაფარული, წარმოადგენს მიზანი 5 (გენდერი), 10 (თანასწორობა), 16 (მშვიდობა) და 17 (პარტნიორობა). რამდენიმე ეროვნული სტრატეგია შეიცავს ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების დიდ რაოდენობას.



ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანები, რომლებიც დაფარულია ეროვნული სტრატეგიებით/ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით

საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვის ჩარჩოს სათანადო ფუნქციონირების, მისი, ერთი მხრივ, საერთაშორისო ვალდებულებებთან და, მეორე მხრივ, ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის ციკლთან შესაბამისობის შესწავლის პროცესმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მიიყვანა დასკვნამდე, რომ სტრატეგიული მიზნების კიდევ უფრო მეტი თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა იყო საჭირო.

ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია ეროვნული პოლიტიკის პროცესში. ამის გათვალისწინებით, მთავრობის ადმინისტრაციამ სამინისტროებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ახალი **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა შეიმუშავა.**⁴

სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების სიღრმისეულ ინტეგრაციას სექტორული პოლიტიკის ციკლში. ყველა ახალი სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შემუშავდეს მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირის გათვალისწინებით და ასევე მიზნები, რომლებიც ლოგიკურ ჩარჩოში იქნება მოცემული, 2030 დღის წესრიგის ვალდებულებებს უნდა უკავშირდებოდეს. ლოგიკური ჩარჩო, რომელიც საჭიროა სტრატეგიების ამოქმედებისთვის, ამ მიზნებს საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესთან აახლოვებს.

ბიუჯეტირების პროცესის ანალიზის მიხედვით, მშვიდობა (SDG 16), ჯანმრთელობა (3), განათლება (4), სიღარიბე (1), ინფრასტრუქტურა (9) და თანასწორობა (10) ყველაზე მაღალ წილს იღებენ ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, დე ფაქტო ეროვნულ პრიორიტეტებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი. მდგრადი განვითარების სხვა მიზნებს რაც შეეხება, დაფინანსება ნაკლებ მოცულობითია. გენდერისა (5) და „პლანეტის“ მიზნებისთვის (6, 12, 13, 14 და 15) პროგრამულად დაგეგმილი ოდენობები საერთო ჯამის მხოლოდ 3 პროცენტია. ამ ანალიზის და ახალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებისა და პროცედურების გათვალისწინებით მოხდება პრიორიტეტული სფეროების გადახედვა.


⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N629 „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილებას თან ერთვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების დეტალური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის დაგეგმვის და შეფასების ყველა ნაბიჯის მეთოდოლოგიურ საფუძველს.

მდგრადი განვითარების სამი განზომილება საქართველოში

მდგრადი განვითარების სამი განზომილებას შორის - სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი - პოლიტიკის სრულყოფილი ბალანსის დაცვა მთავრობებისთვის რთული ამოცანაა. უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობა მუდმივად ხაზს უსვამდა ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის დაბალანსების აუცილებლობას, რათა სოციალურ დღის წესრიგს უფრო მაღალი მნიშვნელობა მიანიჭებოდა. გარემოსდაცვითი განზომილება კიდევ ერთი სფეროა, რომელიც არსებითად დაკავშირებულია ასეთ ორიენტაციასთან, რამდენადაც იგი მოიცავს ზოგად გაგებას, რომ უკეთესი გარემო არსებითია ადამიანის კეთილდღეობისთვის, თუმცა ამავდროულად აფასებს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრად მიდგომებს როგორც საშუალებას უფრო მდგრადი ეკონომიკის მშენებლობისთვის, - განსაკუთრებით საქართველოსთვის მაღალი ღირებულების სექტორებში, როგორიცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

ზემოთხსენებული MAPS კვლევაში ასევე განხილულ იქნა სამი განზომილების ინტეგრაციის ხარისხი საქართველოს პოლიტიკებში. ანალიზი გაკეთდა გაერო-ს მიერ გლობალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომლითაც მდგრადი განვითარების მიზნები ხუთ თემატურ კლასტერად (5P) აჯგუფებს: ადამიანები, პლანეტა, კეთილდღეობა, მშვიდობა და პარტნიორობა. კვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების სექტორული ჩაშლის გათვალისწინებით საქართველო ამჟამად ყველაზე მეტ აქცენტს აკეთებს „ადამიანებზე“, მას მოჰყვება „კეთილდღეობა“, „მშვიდობა“, „პლანეტა“ და ბოლოს, მეხუთე - „პარტნიორობა“. შესამჩნევია ჯვარედინული ელემენტებისა და მათ შორის კოორდინაციის სისუსტე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მეორე (შიმშილი), მესამე (ჯანმრთელობა), მეხუთე (გენდერი) და მეათე (თანასწორობა) მიზნებს შორის სექტორთშორის თანმიმდევრულობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ასოცირების შეთანხმების, როგორც მდგრადი განვითარების მიზნებისაკენ პროგრესის მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობას.

როგორც ყველგან, საქართველოშიც რთულია მდგრადი განვითარების სამი განზომილების ბალანსირების გაზომვა და მზა პოლიტიკის იდენტიფიცირება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს უფრო პროცესია, ვიდრე მიზანი. შესაბამისად, საქართველო კვლავ ცდილობს განსაზღვროს საუკეთესო მიდგომა განვითარების სამგანზომილებიანი თეორიის უზრუნველსაყოფად.



მიმოხილვის კონტექსტი და მიზნები

წინამდებარე ეროვნული მიმოხილვის შემუშავება მოხდა მთავრობის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის სრულად განახლების გადაწყვეტილების ფონზე. აღნიშნული ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს გამჭვირვალე, ეფექტურ, ანგარიშვალდებულ, ინკლუზიურ და კორუფციისგან თავისუფალ ინსტიტუტებს და უზრუნველყოფს სამართლიანობაზე ყველას ხელმისაწვდომობას (SDG 16.3, 16.5, 16.6).

Covid-19-ის პანდემიის ფონზე მთავრობის როლი ყურადღების ცენტრში მოექცა. ამან ასევე ხაზი გაუსვა არსებულ უთანასწორობებს და დაანახა საზოგადოებას ეკონომიკური განვითარების გაგრძელების აუცილებლობა იმგვარად, რომ პროცესს მიღმა არავინ დარჩეს. მთავრობის ერთიანი რეაგირება Covid-19-ის პანდემიაზე მთავრობის ადმინისტრაციის მიერ იყო კოორდინირებული, რომელიც ასევე პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე. ეპიდემიოლოგიურ გამოწვევაზე რეაგირების კოორდინაციით, ჯანდაცვის აქტივების მობილიზებით და სოციალური დისტანცირების უზრუნველმყოფი მოქმედებებით საქართველომ მოახერხა „მრუდის გაბრტყელება“ (flatten the curve).

მდგრადი განვითარების მიზნების მიმოხილვის პროცესის მონაწილეები მოტივირებული იყვნენ არსებული პროგრესის შეფასებით, რათა პოსტ-პანდემიურ გარემოში, საჭირო ცვლილებების შესახებ დისკუსია წარიმართოს მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ხოლო მობილიზებული საერთაშორისო მხარდაჭერა მიმართული იქნას საერთო ამოცანების მისაღწევად.

3. მიმოხილვის მეთოდოლოგია და მომზადების პროცესი

საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში ინკლუზიური პროცესის შედეგია, რომელიც თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნების საყოველთაო პირობასთან - „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“. 2020 წლის ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის მომზადებისას მთავრობის ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო არსებული მდგრადი განვითარების მიზნების ინსტიტუციური მექანიზმი. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობდა ყველა წამყვან სამინისტროსთან და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან. პროცესი წარიმართა SDGs საბჭოს თემატურ სამუშაო ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებით. პროცესის მხარდაჭერა უზრუნველყო გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისმა და გაეროს განვითარების პროგრამამ საქართველოში.

საწყის ეტაპზე, სამდივნომ შეიმუშავა მონახაზი და განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები სამთავრობო პროგრამის და მისი დღის წესრიგიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის პირველი წელი, როდესაც ქვეყნები ანგარიშს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული პრიორიტეტების პერსპექტივიდან წარადგენენ, საქართველოს ეროვნული მიმოხილვა, მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესს სამი პრიორიტეტული სფეროს სიღრმისეული მიმოხილვით აღწერს:

1. ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა

საქართველოადამიანურ კაპიტალს მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს მდგრადი განვითარების მისაღწევად და საზოგადოების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, განათლება ქვეყნის განვითარების დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინკლუზიური, თანაბარი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა ღირსეული სამუშაოს და ადეკვატური ანაზღაურებით პროდუქტიული დასაქმების, ხარისხიანი დასვენების, დასაქმებულთა პროფესიული და პერსონალური განვითარების, შრომის გაუმჯობესებული პროდუქტიულობის და გენდერული თანასწორობის წინაპირობას წარმოადგენს.


დეტალური ანალიზი მოცემულია 4.1 თავში, რომელიც მოიცავს შემდეგ მიზნებს: 1, 2, 3, 4, 8, 10.



2. ეკონომიკური ზრდა

სწრაფი ეკონომიკური ზრდა მთავრობის მიერ ქვეყნის მდგრადი განვითარების მთავარ კომპონენტად არის მიჩნეული. ეკონომიკური ზრდის მიღწევა მხოლოდ სამართლიანი კონკურენციის, თავისუფალი და პასუხისმგებლიანი კერძო სექტორისა და დაცული საკუთრების უფლებებითაა შესაძლებელი. სამართლიან წესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ისინი პირდაპირ მოქმედებენ კონკურენციაზე, რაც საბაზრო ეკონომიკის საფუძველია.

აღნიშნული თავი მოიცავს მდგრადი განვითარების მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-12 მიზნებს.



3. დემოკრატიული მმართველობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის, ასევე დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის მთავრობების, მხარდაჭერით, საქართველო ახორციელებს საჯარო მმართველობის რეფორმას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეფექტურობის, შედეგზე ორიენტირებული მართვისა და გამჭვირვალე, ღია და კორუფციისგან თავისუფალი, პროფესიონალი საჯარო სექტორის განვითარებას.

აღნიშნულ თავი მოიცავს მე-5, მე-10 და მე-16 მიზნებს.



ანგარიშში ხაზგასმულია ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, საუბარია საუკეთესო პრაქტიკაზე და განსაზღვრულია ის სფეროები, სადაც უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

მეთოდოლოგია მოიცავდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კვლევის მეთოდებს. ასევე იმისათვის, რომ შეგროვებულიყო საჭირო მონაცემები და ინფორმაცია, გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები, მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (SDGs tracker).

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არაა, არამედ იგი საჭიროებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევას. ანგარიშის პროექტი გაზიარდა არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს მეშვეობით (ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი), რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, think-tank-ების, აკადემიური სექტორის, განვითარების პარტნიორებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან. ანგარიში ასევე ხელმისაწვდომი იყო მდგრადი განვითარების მიზნების სპეციალურ ვებგვერდზეც (www.sdg.gov.ge), რათა უზრუნველყოფილიყო საჯარო დებატები და მოსაზრებების გაცვლა. ყველა კონსულტაცია მონაწილეობითი და თანამშრომლობითი სახით წარიმართა.

ჯამში, სამდივნომ მიიღო:

- დაახლოებით 200 შენიშვნა/შეთავაზება/უკუკავშირი
- 20-ზე მეტი ორგანიზაციისაგან (მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან).

შენიშვნებისა და შეთავაზებების უმეტესობა, რომლებიც შეესაბამებოდა თემატურ სფეროებს და გამყარებული იყო მტკიცებულებებით, გათვალისწინებული და ასახული იქნა საბოლოო ანგარიშში. ცვლილებების ასახვის შემდეგ დოკუმენტი წარედგინა SDGs საბჭოს დასამტკიცებლად. ანგარიშს თან ერთვის სტატისტიკური დანართი, რომელიც ასახავს იმ ნაციონალიზებული მიზნებისა და ამოცანების პროგრესს, რომლებზეც ხელმისაწვდომი იყო მონაცემები.


4. ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა

გასული 20 წლის განმავლობაში, საქართველოს სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ შედეგად მოიტანა სიღარიბისა და უთანასწორობის მნიშვნელოვანი შემცირება. მეორე მხრივ, გაიზარდა განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, თუმცა რეგიონული ეკონომიკური კრიზისი და 2014-2015 წლებში გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება უარყოფითად აისახა მოსახლეობის და განსაკუთრებით, ღარიბი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

4.1. სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობა

2015 წლიდან ეროვნული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი 9.7%-ით შემცირდა,⁵ რაც კარგ საფუძველს ქმნის 2030 წლისთვის სიღარიბის 20%-ით შემცირებისათვის (SDG 1.2.1). კლება განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში. სქესის მიხედვით, სიღარიბე კაცებში შემცირდა 10.7%-ით, ხოლო ქალებში - 8.7%-ით. მიუხედავად უკანასკნელი პერიოდის პროგრესისა, მოსახლეობის ერთი მეხუთედი კვლავ ეროვნული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ამავდროულად, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 3.8%-დან 4.5%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, უფრო აქტიური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რათა 2030 წლისთვის, 1%-მდე შემცირდეს დღეში 1.90 აშშ დოლარზე ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი (SDG 1.1).

საქართველოში მოსახლეობის სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებს შორის უთანასწორობა კვლავ შენარჩუნებულია. მოსახლეობის ქვედა 40%-ის წილი მთლიანი შემოსავლის 10%-ზე ნაკლებია (ქვედა 20% მთლიანი შემოსავლის 5%-ზე ნაკლებს იღებს). ქვეყანა მიზნად ისახავს არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობების შემცირებას სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებს შორის მოსახლეობის ქვედა 40%-ის შემოსავლის ზრდის დაჩქარებით და 2030 წლისთვის სამიზნედ 13%-იანი მაჩვენებელია განსაზღვრული (SDG 10.1). ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულია, რამდენადაც შესაბამისი ინდიკატორის მაჩვენებელი 2019 წელს 11% იყო, რაც



საგრძნობი გაუმჯობესებაა 2015 წლის 5%-იან მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა მედიანური შემოსავლის 50%-ზე ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორცია გაზრდილია, რაც მიუთითებს, რომ განსხვავება ეკონომიკური კეთილდღეობის მქონე „მედიანურ“ და „საშუალო“ ქართველს შორის გაზრდილია (SDG 10.2). მხოლოდ 60 წლის და ზემოთ მოსახლეობაში შეიმჩნევა საგრძნობი გაუმჯობესება, თუმცა უარყოფითი ცვლილებები ფიქსირდება სქესის და სხვა ასაკობრივი ჯგუფის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის საქმიანობა მიზნად ისახავს სტაბილური პოლიტიკის შექმნას ღარიბი და სოციალურად დაუცველი ადამიანების მხარდასაჭერად. ღარიბი ოჯახების მხარდაჭერის ძირითადი მექანიზმია **მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა**, რომელიც უზრუნველყოფს ნაღდ და უნაღდო ფულად დახმარებას საჭიროების მქონე მოსახლეობისთვის. 2020 წლის მარტის მდგომარეობით 458 ათასამდე ადამიანი (მოსახლეობის დაახლოებით 12.3%)

⁵ აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 2016 წელს 21.6% იყო, 2019 წელს კი 19.5%.

იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, რაც 2015 წლის მარტთან შედარებით 51 ათასით მეტია (SDG 1.3). თუმცა, არსებული პროგრამა სოციალური დახმარების მოთხოვნის მხოლოდ ნახევარს აკმაყოფილებს. სოციალური მხარდაჭერის სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მოიცავს პენსიებს/კომპენსაციებს, დემოგრაფიული გაუმჯობესების შედეგებს და მაღალმთიანი რეგიონის პრივილეგიებს, კომუნალური მომსახურებების სუბსიდიებს, სოციალური დახმარების პაკეტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანებისათვის, სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა მოვლის სახელმწიფო პროგრამებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და ეკომიგრანტთა დახმარებას. საქართველოში სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვანი იარაღია.

საქართველოსთვის პრიორიტეტულია სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

სოციალურ დანახარჯებს უდიდესი წილი აქვს მთავრობის ხარჯებში და საერთო ხარჯვის ერთ მეხუთედზე მეტია. ძირითად სერვისებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, მთავრობის ხარჯების წილი უკანასკნელ წლებში მზარდია (SDG 1.A.2).

მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები



სამომავლო ნაბიჯები სოციალური დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად

მიუხედავად პროგრესისა, სოციალური დაცვის სისტემა გაუმჯობესებას საჭიროებს. Covid-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის შესაბამისი სოციალური მომსახურების მიწოდებაში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა განიხილავს ეროვნული სოციალური დაცვის სისტემის შეფასებას და გადახედვას, რაც მოიცავს არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ დონეზე სოციალური მხარდაჭერის პროგრამებსაც. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება შშმ პირებზე. ქვეყანა ამჟამად ამუშავებს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტსა და მის სამოქმედო გეგმას, რაც ერთიან ხედვასა და მიდგომას ჩამოაყალიბებს და პრობლემის მოგვარების ძირითადი საფუძველი გახდება.

გრაფა 1. იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისის პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებლის პრობლემის მოგვარებას და ბინების შეძენას კერძო დეველოპერებისგან ახალ აშენებულ კორპუსებში, ახალი მრავალბინიანი კორპუსების აშენებას საქართველოს რეგიონებში, სასოფლო დასახლებებში კერძო სახლების შესყიდვას და ქირის სუბსიდირებას გულისხმობს. 2019 წლის მდგომარეობით, გრძელვადიანი საცხოვრებელი მიეცა 41 ათას იძულებით გადაადგილებულ ოჯახს, რაც 2014 წლის 32 ათასიანი მაჩვენებლის საგრძნობი გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით პროგრესული ტემპის შენარჩუნებით ქვეყანა მიზნად ისახავს მიაღწიოს 2030 წლამდე 50 ათასი იძულებით გადაადგილებული პირისთვის გრძელვადიანი საცხოვრებლის უზრუნველყოფის ამოცანას (SDG 1.4.2.2). 2013 წლიდან საქართველო ეკომიგრანტებისათვის ცალკე განსახლების პროგრამას ახორციელებს. ამ პროგრამით და დამატებით სოციალურ დახმარებასა და პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსებასთან ერთად, საქართველო ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების სოციალურ ჩართულობას.

სივრცითი უთანასწორობა

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელთაც რეგიონთაშორისი განსხვავებების მაღალი დონე აქვთ ძირითადი ინფრასტრუქტურის, პროდუქტიულობის და შემოსავლის ხელმისაწვდომობის მხრივ. დედაქალაქსა და დანარჩენ ქვეყანას შორის აშკარა სხვაობაა. 2018 წელს თბილისში მშპ ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ორჯერ აღემატებოდა მეორე ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე რეგიონისას; ყველაზე დარიბი რეგიონის მშპ ერთ სულ მოსახლეზე კი სამჯერ ნაკლები იყო.

რაც შეეხება ურბანულ და სასოფლო განზომილებას, უმუშევრობის დონე სოფლის ტიპის დასახლებებში ბევრად დაბალია, ვიდრე ურბანულში, თუმცა სტატისტიკა შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს, რადგან სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა 2%-ზე ნაკლებია დაქირავებული და ღირსეული ანაზღაურების მიმღები. დანარჩენი თვითდასაქმებულია (ან, უფრო

საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობა



ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა

17%



დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემაზე ხელმისაწვდომობა

8%



ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა

100%

მეტად, არასრულად დასაქმებულია) მცირე პროდუქტიულობის მქონე სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, სოფლები და მაღალმთიანი რეგიონები ჩამორჩება დანარჩენ ქვეყანას საკანალიზაციო სისტემების, გზების, წყალგაყვანილობის, ბუნებრივი აირის მიწოდების, ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამ ჩავარდნების გადასაჭრელად საქართველომ უკანასკნელ წლებში, დააჩქარა წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და გაზიფიკაციის პროექტები. შედეგად, 2015 წლიდან, ბუნებრივი აირის მიწოდების ცენტრალური სისტემით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 17%-ით გაიზარდა. 2015 წლიდან 2018 წლამდე 8%-ით გაიზარდა დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემაზე ხელმისაწვდომობა. თუმცა რაოდენობა შესაძლოა უფრო მეტიც იყოს, რამდენადაც აღრიცხულია მხოლოდ რეგისტრირებული ოჯახები (მომხმარებლები). რაც შეეხება

გრაფა 2. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება



მთავრობა ახორციელებს დამატებით ზომებს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სადაც მწვავედ დგას სამუშაო ადგილების ნაკლებობის, საჯარო სერვისების და თანამედროვე ინფრასტრუქტურის გამოწვევები. 2015 წელს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონი იქნა მიღებული, რომელიც ანიჭებს სპეციალურ სტატუსს 1737 მაღალმთიან დასახლებას, უზრუნველყოფს საგადასახადო შეღავათს 418 საწარმოსთვის და დამატებით შეღავათებს არსებულ ჯანდაცვის და სოციალური მხარდაჭერის პროგრამაში 246 ათას ადამიანსთვის (მოსახლეობის 7%-ს). მაღალ მთაში ცხოვრების სტანდარტების და დემოგრაფიული დინამიკის გასაუმჯობესებლად საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების (2019-2023) ახალი სტრატეგია შემუშავდა. ორწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად, დაახლოებით 700 მილიონი ლარის დამატებითი სახსრები იქნება გაწეული გზების, წყალმომარაგების და წყალანიერების სისტემების რეაბილიტაციისთვის, პრევენციული ზომები იქნება მიღებული სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად, განხორციელდება გაზიფიკაციის, ინტერნეტის გავრცელების და ინფორმაციის მიმოცვლის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემების დანერგვის პროგრამები, გაგრძელდება მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით ღონისძიებები, საბავშვო ბაღების, სკოლების, მუზეუმების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ამბულატორიული სივრცეების რეაბილიტაცია, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

ელექტრიფიკაციას, 2012 წლიდან საქართველოს მოსახლეობის თითქმის 100%-ს აქვს ელექტროენერგიის სერვისზე ხელმისაწვდომობა (SDG 1.4.1).

შიმშილი, სურსათის უვნებლობა და სოფლის მეურნეობის წარმოება

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ხდება. 2009 წლის შემდგომ ქვეყანამ 5 წლამდე ბავშვებში ზრდის შეფერხების პრევალენტობის შემცირება 50%-ით (SDG 2.2.1) შეძლო. ამავდროულად, 2018 წლის მონაცემებით ბავშვების 6% ჭარბწონიანია და 1%-ზე ნაკლებში არასაკმარისი კვება შეინიშნება. გარდა ამისა, ზრდის შეფერხების უფრო მაღალი პრევალენტობა შეიმჩნევა გოგონებსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებში.

MICS კვლევამ დაადგინა სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობის პრევალენტობა ბავშვებში (2-7 წლის ასაკის) და შეაფასა ოჯახებში სასმელი წყლის ხარისხი. MICS-ის შედეგებმა ცხადყო, რომ 2-7 წლის ასაკის ბავშვების 41%-ში მომატებულია სისხლში ტყვიის შემცველობა და მოსახლეობის 25% ეშერიხია კოლით დაბინძურებულ წყალს მოიხმარს. MICS-ის კვლევამ ასევე წარმოაჩინა, რომ 6-23 თვის ასაკის ბავშვების 73% ვერ იღებს მინიმალურ აუცილებელ მინიმალურ და აუცილებელ საკვებ პროდუქტებს; ბავშვების 69% კი საქართველოში აღზრდის ძალადობრივი მეთოდების მსხვერპლია.

საქართველოს სამომხმარებლო კალათის 30% საკვები და არაალკოჰოლური სასმელებია. 2018 წელს საკვების მოხმარებაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიანი საოჯახო მოხმარების ხარჯების 43% იყო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სურსათის სასაქონლო ბაზრების სწორი ფუნქციონირების უზრუნველყოფით საკვებზე ფასების განსაკუთრებული არასტაბილურობის შესამცირებელი ზომების მიღება.

2013 წლიდან საქართველოს მთავრობამ განახორციელა მრავალი ქვე-სექტორული პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას იაფი სესხების, პროდუქციის გადამუშავების განვითარების, აგრო-დაზღვევისა და ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერისმეშვეობით, რაც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება (გრაფა 11).

ქვეყანამ ახლახანს დაამტკიცა გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი - „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“, რომელშიც 3 მთავარი საკითხია გათვალისწინებული: : (i) გაზრდილი კონკურენტუნარიანობა; (ii) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და (iii) სურსათის უვნებლობის სისტემების ეფექტურობა სოფლის მეურნეობის ყველა სექტორში. აღნიშნულის მისაღწევად სტრატეგია მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის 29%-ით და სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების ყოველთვიური შემოსავლის 36%-ით ზრდას (SDG 1, 8 10). გარდა ამისა, სტრატეგია მოიცავს ეკოსისტემების დაცვისა და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციას. აღნიშნული შესრულდება მდგრადი ტყის მართვის გეგმების მიღებითა და განხორციელებით და დაცული გენეტიკური რესურსების 25%-იანი ზრდით (SDG 13, 15).

მოსახლეობის თითქმის 40% სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაშია ჩართული. შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების როლი არსებითია საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხო, სანდო და ხელმისაწვდომი საკვების უზრუნველსაყოფად. სოფლის მეურნეობის წილი (პირველადი წარმოება) მშპ-ში წლების მანძილზე შემცირდა: 2015-დან 2019

წლამდე სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის მშპ მიმდინარე ფასებში 17%-ით გაიზარდა, თუმცა ამავედროულად, მთლიანი მშპ-ს წილი 9%-დან 7%-მდე შემცირდა.

ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზება, ისევე, როგორც ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სოფლის ტიპის დასახლებებში. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის



გრაფა 3. ARDA და ერთიანი აგრო პროექტი

2019 წელს შეიქმნა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ (ARDA) (სხვადასხვა ინსტიტუციის ბაზაზე), რომელიც მიზნად ისახავს სოფლის განვითარების წახალისებას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის პროდუქციის უკეთეს და მდგრად წარმოებას. სააგენტო რამდენიმე პროექტს ახორციელებს და ამჟამად ადმინისტრირებას უწევს „ერთიან აგროპროექტს“. პროექტი მოიცავს სახელმწიფო პროგრამების ფართო არეალს, რომელიც მოიცავს ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების წახალისებას, თანამედროვე ტექნოლოგიების ადაპტირებასა და ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას:



- „შელავათიანი აგროკრედიტი“ კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებით ხელს უწყობს ახალი ბიზნესების შექმნას და შესაძლებლობების გაზრდას ან წარმოების პროცესების მოდერნიზაციას არსებულ კომპანიებში კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებით, რათა დაფინანსდეს პირველადი სასოფლო სამეურნეო, საკვების გადამამუშავებელი და სასაწყობო აქტივობები.
- „დანერგე მომავალი“ წარმოადგენს თანადაფინანსების პროგრამას მრავალწლოვანი ბაღების, სანერგე მეურნეობების და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად. აღნიშნული მიზნად ისახავს საკვების თვითკვმარობის და ექსპორტის წარმოების შესაძლებლობას, გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფით წარმოების ხარისხის გაზრდას და საქართველოში ახალი სანერგე და სახეხილე მეურნეობების სექტორის განვითარებას.
- „აგროდაზღვევა“ სოფლის მეურნეობის დაზღვევის თანადაფინანსების პროგრამაა, რომლის მიზანია წარმოების რისკების შემცირება და, შესაბამისად, ფერმერების შემოსავლების სტაბილიზაცია, ინვესტიციის წახალისება და სოფლის მეურნეობის წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. პროგრამის დაწყებიდან (2014 წლიდან), დაახლოებით 60 ათასმა ფერმერმა ისარგებლა აღნიშნული პროგრამით და შეიძინა დაზღვევა;
- სხვა მნიშვნელოვანი მექანიზმები, რომლებიც „ერთიანი აგროპროექტით“ ხორციელდება, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული ჩაის წარმოებას და მისი საექსპორტო შესაძლებლობების გაძლიერებას სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში, ასევე, აგრო-გადამამუშავებას, სასაწყობო მეურნეობებს და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას თანადაფინანსების სქემების მეშვეობით და ქართული აგრო-პროდუქციის ექსპორტს ხელშეწყობი ღონისძიებებით.

2013-დან 2019 წლამდე სულ 75,670 უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით და ინვესტიცია განახორციელა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში (2013-2016 წლებში 50,237), ხოლო ნაციონალიზებული SDGs ამოცანა 2020 წლისთვის ამ რიცხვის 80,000-მდე გაზრდას ისახავს მიზნად (SDG 2.3.1).

წამახალისებელი მექანიზმებია. ის ასევე მოიცავს ინვესტიციებს წყლის მართვის, ირიგაციისა და მელიორაციის სისტემებში. გარდა ამისა, ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატის ცვლილების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების უარყოფითი შედეგების შემცირებაში, წყალდიდობებისა და გვალვების პრევენციით. არსებული მელიორაციის სისტემის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია 2012 წელს დაიწყო. 2019 წლისთვის წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა და თითქმის მიაღწია 2020 წლისთვის მელიორაციით უზრუნველყოფილი ტერიტორიის 169,500 ჰექტრამდე გაზრდის ნაციონალიზებული ინდიკატორის მაჩვენებელს (SDG 2.4.1.1).

„მობილური ექსტენციის“ პროექტის ფარგლებში ფერმერები, კოოპერატივის წევრები და სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გადამზადდნენ მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეხილეობის, მევენახეობის, ვეტერინარიის, ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩატარებასა და სხვა საკითხებზე. 2015-2019 წლებში 8,100-ზე მეტი ფერმერი გადამზადდა და თითქმის 14,000 ფერმერს გაეწია კონსულტაციები.

მიუხედავად ამისა, სექტორში რჩება გამოწვევები. მიწის ფრაგმენტაცია, სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალი შედეგიანობის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია. სასოფლო-სამეურნეო მიწების 80%-მდე ერთ ჰექტარზე ნაკლებია, რაც, როგორც წესი, მცირე პაკეტებად არის დაყოფილი.⁶ ამ პაკეტების ნაწილი დაუმუშავებელია ან მოძველებული მეთოდებით მუშავდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად 2016 წელს ხელისუფლებამ წამოიწყო მიწის რეგისტრაციის რეფორმა, რომლის მიზანია მიწის ბაზრის განვითარების და პასუხისმგებლიანი მიწის მართვის წახალისება, მიწის ეფექტური მოხმარებითა და პროდუქტიულობის გაზრდის ხელშეწყობით. 2030 წლისთვის ქვეყნის მიზანია 80%-მდე გაიზარდოს ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომლებსაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვთ მიწაზე



საკუთრების უფლება, ხოლო მიწის რეგისტრაციის მქონე ქალთა რაოდენობა 10-15%-ით გაიზარდოს (SDG 1.4.2.1). 2015 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია რეგისტრირებული მიწის ფართობის გაზრდაში. 2019 წლისთვის რეგისტრირებული მიწის ფართობი 5,500,000 ჰექტარს შეადგენდა, რაც 2015 წლის 4,500,000 ჰექტარს შეადგენდა. ეს უზრუნველყოფს ქალი მესაკუთრე



⁶ სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის რეფორმა საქართველოში (ISET Policy Institute, 2018).

[https://iset-pi.ge/images/Projects_of_APRC/Policy_Paper - Agricultural Land Registration Reform in Georgia GEO.pdf](https://iset-pi.ge/images/Projects_of_APRC/Policy_Paper_-_Agricultural_Land_Registration_Reform_in_Georgia_GEO.pdf)

4.2. ჯანდაცვის სისტემა

ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა და კეთილდღეობის ხელშეწყობა საზოგადოების მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზების შემცირებას, არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირებას, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი დაფინანსების უზრუნველყოფას, საყოველთაო ჯანდაცვას და „ჯანმრთელობაზე უფლებას“, სხვადასხვა არსებული და განვითარებადი ჯანმრთელობის პრობლემების გადაწყვეტას. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკანასკნელი სამ ათწლეულის განმავლობაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონის ტენდენციას მიჰყვება. საქართველომ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია რამდენიმე ჯანდაცვის ინდიკატორში, თუმცა გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება.

სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიკვდილიანობა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

2000-იანი წლების დასაწყისიდან დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა თანდათანობით იზრდებოდა და 2015 წლის შემდეგ წლიური ზრდა საკმაოდ საგრძნობი იყო. ქალთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2018 წელს 78.2 წელი იყო, ხოლო კაცების 69.7 წელი და ეს ინდიკატორები ქალთათვის 1-ით, კაცთათვის 0.9 წლით მეტია 2015 წლის მაჩვენებლებზე.

2030 წლის დღის წესრიგის მიღებიდან (2015 წელს), საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა შეძლო დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელთან მიმართებით. ეს გაუმჯობესება დაკავშირებულია რამდენიმე წარმატებულ რეფორმასა და ინიციატივასთან, რომლებიც ბოლო წლებში განხორციელდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები, რომლებიც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად: (1) *ეროვნული იმუნიზაციის პროგრამა*, რომელმაც მოიცვა პროფილაქტიკური ვაქცინაციები ეროვნული კალენდრის მიხედვით; (2) *ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა* 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელიც შემდეგ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ინტეგრირდა და უზრუნველყოფილ იქნა საჭირო დაფინანსება შესაბამისი ჯანდაცვის ხარჯებისათვის; (3) *დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა*, რომელიც დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის აღმოფხვრას, ნაადრევი მშობიარობების და თანდაყოლილი ანომალიების რაოდენობის შემცირებას და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისადმი ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას გულისხმობდა.


2016 წელს, საქართველოში დაინერგა ბავშვების და მათი დედების ჯანმრთელობის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ორსულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება პირველი ანტენატალური ვიზიტიდან მშობიარობამდე.

ქვეყანაში პერინატალური მომსახურების 82 პროვაიდერია, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ რეგულაციებს ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო ეკიპირების მიმართულებით. 142 დაწესებულება ახორციელებს სტაციონარულ პერინატალურ მომსახურებას, მოქმედებს 304 ამბულატორიული პოლიკლინიკა და დასაქმებულია 1 267 სოფლის ექიმი. გარდა ამისა, მთავრობამ შეიმუშავა ორი სტრატეგიული დოკუმენტი: *დედათა და*

ახალშობილთა ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგია (2017-2030) და მისი განხორციელების სამწლიანი (2017-2019) სამოქმედო გეგმა. სტრატეგია მიზნად ისახავს დედათა და ახალშობილთა/ნაადრევად შობილ ბავშვთა პრევენციურებადი სიკვდილიანობის აღმოფხვრას 2030 წლამდე (ICPD +25 საქართველოს ეროვნული ანგარიში, 2018).⁷

ამ პოლიტიკების და სხვა ობიექტური გარემოებების შედეგად, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა შესამჩნევად შემცირდა უკანასკნელ წლებში. ბოლო კვლევებით, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში 1000 ცოცხალშობილზე 2015 წელს დაფიქსირებული 10.2-დან, 9.4-მდე შემცირდა (2019 წ.) (SDGs 3.2.1). პროგრესია ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირების მაჩვენებელთან მიმართებითაც, რომელიც 2015 წელს 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე 8.6-დან 2019 წელს 7.9-მდე შემცირდა და ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 2015 წლის 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე 6.1-დან 5.2-მდე შემცირდა 2019 წელს (SDGs 3.2.2) - ორივე ინდიკატორი ნაკლებია 2010 წლის მაჩვენებელზე, რომელიც 1000 ცოცხალშობილ ბავშვზე 12-ს შეადგენდა. ორივე ინდიკატორი უახლოვდება ყველაზე დაბალ დაფიქსირებულ მაჩვენებელს, რაც თანხვედრაშია განვითარებული ქვეყნების შესაბამის ინდიკატორებთან.

გარკვეული პროგრესია მიღწეული ქვეყანაში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელთა შემცირების მხრივ. გაერო-ს შეფასებით, 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2010 წელს დაფიქსირებული 40-დან, 25-მდე შემცირდა 2017 წლის მონაცემებით (SDGs 3.1.1), თუმცა, ეს მაჩვენებელი ჯერ ისევ საშუალოზე მაღალ ნიშნულზე აყენებს საქართველოს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. საქართველომ მოახერხა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საგრძნობი გაუმჯობესება, რითაც ეს საკითხები ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტად აქცია. თუმცა, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებები და თანამედროვე კონტრაცეპტივები მეტ მდგრადობას საჭიროებს. 2018 წლის MICS კვლევის თანახმად, რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალები (15-49 წლის ასაკი), რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ თანამედროვე სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის მეთოდებზე 33% იყო (SDGs 3.7.1), თუმცა მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1,000 ქალზე კვლავ მაღალია - 51% 2015 წელს და 44% 2018 წელს, მაშინ, როდესაც მდგრადი განვითარების ჩარჩოში ეს მაჩვენებელი 2030 წლამდე 40%-ით უნდა შემცირდეს (SDG 3.7.2).



⁷ ICPD +25 საქართველოს ეროვნული ანგარიში (2018) „საქართველოს მოქმედებების ხუთწლიანი პროგრესის შეფასება მოსახლეობისა და განვითარების პროგრამის საერთაშორისო კონფერენციის იმპლემენტაციაზე“.

დაავადებათა კონტროლი და ინფექციების მკურნალობა

საქართველო ინარჩუნებს დაბალი პრევალენტობის ქვეყნის სტატუსს ძირითად მოსახლეობაში **კონცენტრირებული ეპიდემიით** და ქვეყანამ მკურნალობის კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და წარმატებით მოახერხა აივ/შიდსის გავრცელების (აივ პრევალენტურობა ზოგად მოსახლეობაში დაბალია, 0.4%) შეჩერება აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამებით, როგორცაა აივ/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამა, უსაფრთხო სისხლის პროგრამა და აივ ინფექციის/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პრევენციის პროგრამა (PMTCT). ამ პროგრამების მთავარი მიზანი იყო აივ/შიდსის შემთხვევების ადრეული აღმოჩენა, ინფექციის გავრცელების შესამცირებლად და მკურნალობის ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდა პაციენტთათვის. ბოლო რამდენიმე წელში საქართველომ ჩაატარა სხვადასხვა ჯგუფის (მაგ. ორსული ქალები, სისხლის დონორები, პატიმრები და სხვა რისკ-ჯგუფები) აივ/შიდსის ნებაყოფლობითი ტესტირება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და უზრუნველყო მომსახურებები (მაგ. ნებაყოფლობითი თერაპია და ტესტირება) ძირითადი მოსახლეობისათვის (მაგ. PWID, MSM და SW ჯგუფებში⁸). SDG ჩარჩოს ფარგლებში (SDGs 3.3.1) 2030 წლისთვის ქვეყნის მთავარი ამოცანაა აივ ინფექციების რაოდენობა 1000 არაინფიცირებულ მოსახლეზე 0.125-მდე შეამციროს. მიუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური განვითარებისა აივ-ის კონტროლის თვალსაზრისით, საქართველო აგრძელებს რამდენიმე სერიოზულ გამოწვევასთან გამკლავებას. მთავრობა აღიარებს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების მნიშვნელობას, პაციენტზე მორგებული მიდგომების გამოყენების საჭიროებას შესაბამისი მხარდაჭერის გზით, სათანადო დაფინანსებითა და გაძლიერებული მართვით.

საქართველომ დამატებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის ინციდენტების შემცირებაში, თუმცა B ჰეპატიტის შემთხვევების მაღალი რიცხვი კვლავ გამოწვევაა. მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, **ტუბერკულოზის** პრევენცია და მკურნალობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. 2015 წელს 100,000 მოსახლეზე ტუბერკულოზის 75 შემთხვევა დაფიქსირდა, 2018 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 52.2-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, შესაბამისი მაჩვენებელი მაინც მაღალია საქართველოს მიერ სამიზნედ აღებული 15-ზე, რომელსაც ქვეყანამ 2030 წლისთვის უნდა მიაღწიოს (SDGs 3.3.2). აღსანიშნავია, რომ ქვეყანამ დაწიწყო ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ტუბერკულოზის შემთხვევების, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში დაავადების გავრცელების შემცირებას, ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებისადმი რეზისტენტულობის განვითარების პრევენციას და შესაბამის მომსახურებებზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას. 2015 წლიდან სახელმწიფომ სრულად უზრუნველყო პირველადი ანტიჰიპერტენზიული და ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტების ხელმისაწვდომობა პაციენტთათვის.

მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული **პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბერკულოზის პრევალენტობაში** - 2015 წელს 10,000 პატიმარზე დაფიქსირებული 114 შემთხვევა 2019 წლისთვის 42-მდე შემცირდა, რაც უკვე შეესაბამება SDGs ამოცანას - 100 შემთხვევა 10,000 პატიმარზე. უფრო მეტიც, ახალი დარეგისტრირებული ტუბერკულოზის შემთხვევათა რაოდენობა 2015 წელს 50-დან, 33-მდე შემცირდა 2019 წელს (SDGs 3.3.2.1).

⁸ PWID - ადამიანები, რომლებიც ნარკოტიკის ინექციას იკეთებენ; MSM - მამაკაცები, რომელთაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან და SW - სექს-მუშაკები.

ერთ-ერთი მიმართულება, სადაც საქართველოს აღსანიშნავი პროგრესი ჰქონდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში იყო **C ჰეპატიტის** ელიმინაციის პროგრამის განხორციელება (უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-4 გრაფაში). ამ ინფექციის ინციდენტობა 2014-2018 წლებში 100,000 მოსახლეზე 71-დან, 17-მდე შემცირდა (SDGs 3.3.4.1). პენიტენციურ სისტემაში პატიმართა წილი, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა C ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პატიმრებთან ერთად, 2019 წელს 94.1%-მდე გაიზარდა. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი 2015 წელს 9.6% იყო (SDGs 3.3.4.2). თუმცა საქართველოს მასშტაბით B ჰეპატიტის მკურნალობა კვლავ გამოწვევაა - B ჰეპატიტის ინციდენტობა 100,000 მოსახლეზე 2015 წლის 37.1 მაჩვენებლიდან ოდნავ გაზრდილია - 2018 წელს ეს მაჩვენებელი 41.5 იყო (SDG 3.3.4).

გრაფა 4. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა

მრავალი წელია C ჰეპატიტის (HCV) იდენტიფიცირება და მკურნალობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი იყო საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის. 2015 წელს ბიოფარმაცევტულ კომპანია გილეადთან თანამშრომლობით საქართველომ წამოიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის მიზანი იყო დაავადების პრევალენტობის 90%-ით შემცირება 2020 წლისთვის და ელიმინაციის პროცესის დასრულება 2021 წლისთვის (ეს მსოფლიოში პირველი ასეთი პროგრამა იყო). პროგრამა მოიცავს უკანასკნელი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტის უსასყიდლოდ მიწოდებას ინფიცირებული ადამიანებისთვის. HCV ელიმინაციის პროგრამა ასევე სრულად ფარავს სკრინინგის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მონიტორინგის კვლევებს.

პირველ ეტაპზე პროგრამა ფოკუსირებული იყო პრეპარატების იმ ადამიანებისათვის მიწოდებაზე, რომელთაც ღვიძლის მწვავე დაავადება და C ჰეპატიტთან დაკავშირებული მაღალი ავადობისა და სიკვდილიანობის რისკი ჰქონდათ. 2016 წლის აპრილისათვის HCV-დაავადებული ადამიანების 30.8% რეგისტრირებული იყო პროგრამაში და დაიწყო მკურნალობა, მათგან 69.2%-მა დაასრულა მკურნალობა და 82.6%-ს მკურნალობიდან 12 კვირის შემდეგ უკვე აღარ ჰქონდა გამოვლენილი ვირუსი. 2015 წლის 1-ლი მაისიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ტესტირების მასშტაბი გაიზარდა და 54,313 პაციენტს გაეწია პროგრამის ფარგლებში მკურნალობა (2017 წლის მეორე ნახევრიდან თვეში დაახლოებით 1000 პაციენტი). გარდა ამისა, ეროვნული აივ და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამების ფარგლებში დაინერგა აივ და C ჰეპატიტის ერთობლივი სკრინინგის პროგრამა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთათვის და იმ ადამიანთათვის, ვინც ზიანის შემცირების სერვისით სარგებლობდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის აივ პროგრამის ფარგლებში საქართველოში. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ ფართომასშტაბიან პროგრამად, რომელიც კარგი მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის C ჰეპატიტის პრევალენტობის შესამცირებლად.

ნაადრევი სიკვდილიანობის პრევენცია

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, სადაც საქართველოს გაუმჯობესების დიდი შესაძლებლობა აქვს, არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობაა, რაც მენტალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წახალისებასთან ერთად ეფექტური პრევენციითა და მკურნალობით უნდა შემცირდეს. გულსისხლძარღვთა დაავადებებთან, კიბოსა და ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებებთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია 2016-2018 წლების პერიოდში, ხოლო დიაბეტთან დაკავშირებული სიკვდილიანობა მცირედით შემცირებულია, თუმცა მაინც ჩამორჩება SDGs სამინზე მაჩვენებელს.


ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია **ნარკოტიკის მოხმარების** პრევენციასა და მკურნალობის მიმართულებით. გაიზარდა სამკურნალო ჩარევების (**ფარმაკოლოგიური, ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო და შემდგომი მოვლის მომსახურებები**) დაფინანსება აკრძალული ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დაავადებებისათვის - 2015 წელს ოპიოიდების ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ადამიანების პროპორციული წილი ოპიოიდური ნარკოტიკების მთელი მომხმარებლების 15%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წლისთვის 25%-მდე გაიზარდა. თუმცა ქვეყანას მიზნად აქვს დასახული 2030 წლისთვის 60%-იან მაჩვენებელს მიაღწიოს (SDG 3.5.1).

მოწევა მრავალი დაავადების მთავარი გამომწვევი მიზეზია, მათ შორის კიბოს, გულის შეტევის და ინსულტის, რესპირატორული დაავადებების, როგორცაა ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების უმრავლესობაში დღიური მწვეულობის მაჩვენებელი 2007 წლის საშუალო 23%-დან 2017 წელს 18%-მდე შემცირებულია. თუმცა საქართველოში ამავე პერიოდში მწვეულობა მაჩვენებელი გაზრდილია - **მწვეულობის პრევალენტურობა** საქართველოში 2015 წელს 28.8% იყო, 2017 წელს კი 29.9%-მდე გაიზარდა. მთავრობამ განახორციელა რამდენიმე რეფორმა მოწევის პრევალენტურობის საგრძნობი შემცირებისათვის, რათა 2030 წლისათვის 20%-იან მაჩვენებელს მიაღწიოს (SDG 3.ა.1). 2017 წლის მაისში საქართველომ მიიღო თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი - ახალი რეგულაცია ძალაში 2018 წლის 1-ელ მაისს შევიდა. კანონი კრძალავს შენობებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში (და მიმდებარე ტერიტორიებზე), კაფეებში, ბარებსა და რესტორნებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოწევას. უფრო მეტიც, კანონმა შეზღუდა მარკეტინგული აქტივობები, აკრძალა (ან მომავალში აკრძალავს) თამბაქოს პროდუქტების მაღაზიის თაროებზე განთავსებას (ან ნებისმიერ საჯაროდ ხილვად ადგილას) და გაზარდა სიგარეტის შეფუთვაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაფრთხილებების ზომა (30%-დან 65%-მდე). თამბაქოს მწარმოებლებს ასევე აკრძალათ სხვადასხვა სოციალური და კულტურული ღონისძიებებისთვის შემოწირულების გაკეთება. პარალელურად, საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე გაზარდა აქციზი ევრო-დირექტივების შესაბამისად.

მიუხედავად პოლიტიკის ჩარევების მრავალფეროვნებისა (როგორცაა **საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის** და **საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის** შემუშავება და განხორციელება) და უკანასკნელ 10 წელიწადში გამოხატული უკეთესობისა, **საგზაო უსაფრთხოება** საქართველოს საჯარო ჯანდაცვის სისტემისთვის კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეა. 2019 წელს 100,000 ადამიანზე საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა 8.6 იყო, რაც 7.6-ით ნაკლებია 2015 წლის იმავე ინდიკატორზე. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საგზაო შემთხვევებით გამოწვეული დაზიანებების რაოდენობის თვალსაზრისით 100,000 ადამიანზე - 2015 წლის 247 შემთხვევიდან 2019 წელს 185.2-მდე შემცირებით (SDGs 3.6.1). საქართველოს მთავრობა თანმიმდევრულად მიყვება საგზაო უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიას და 2019 წლის სამოქმედო გეგმას, ხუთი პირველადი მიზნის მისაღწევად:

- (1) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება,
- (2) ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფა,
- (3) უსაფრთხო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა,
- (4) ავტოსაგზაო შემთხვევაზე ეფექტური რეაგირების

ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული დაზიანებები 100,000 მოსახლეზე




განხორციელება, და (5) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ თვალსაზრისით. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება.

ჯანდაცვის დაფინანსება, ჯიბიდან გადახდები და ჯანდაცვის სერვისის ხარისხი

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ჯანდაცვის საბაზისო პაკეტზე წვდომა მისცა იმ ადამიანებს, რომლებიც ადრე არ იყვნენ დაზღვეული. **ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე** ან სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემით მოსარგებლე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 2016 წელს 100% იყო და მხოლოდ ოდნავ - 99.9%-მდე შემცირდა 2019 წელს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემა

მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც აცხადებს, რომ რაიმე ტიპის ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდათ უკანასკნელი 6 თვის მანძილზე და მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას კონსულტაციისათვის



გახდა უფრო მიზნობრივი მოწყვლადი ჯგუფებისთვის (SDG 3.8.1.2). უფრო მეტიც, საქართველოში კონსულტაციების გაცემა იმ ადამიანთათვის, ვისაც ეს სჭირდება, გაუმჯობესებულია. მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც აცხადებს, რომ რაიმე ტიპის ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდათ უკანასკნელი 6 თვის მანძილზე და მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას კონსულტაციისათვის 2014 წელს 76.6% იყო, ხოლო 2017 წელს 84.4%-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანის 85%-იან მაჩვენებელთან, რომელიც 2030 წლისთვის უნდა იყოს მიღწეული (SDG 3.8.1.1). დამატებით, ხორციელდება კონკრეტული ინიციატივები ჯიბიდან გადახდილი ხარჯების შესამცირებლად (უფრო მეტი ინფორმაცია მოცემულია მე-5 გრაფაში). უფრო მეტიც, ქვეყანამ წამოიწყო და ახორციელებს პროექტს კლინიკებისთვის ერთიანი სატარიფო სისტემის შესამუშავებლად.

გარდა ამისა, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია **სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის** და ჯანდაცვის სერვისების ხარისხის თვალსაზრისით. 2019 წელს ქვეყანამ შეიმუშავა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების სტრატეგია და საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია. ასევე, მომზადდა და დაამტკიცდა 190-ზე მეტი გაიდლაინი და პროტოკოლი. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად და სამედიცინო განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამ ზომების შედეგად გაუმჯობესდა ჯანდაცვის სერვისების ხარისხი. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულო სახით ეტაპობრივად შემოღებისთვის.

საქართველოს მთავრობა ასევე გეგმავს წამოიწყოს ტელემედიცინის პროექტი საპილოტე მუნიციპალიტეტებში და დანერგოს პირველადი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის ახალი კრიტერიუმები მუნიციპალურ დონეზე. საქართველომ დაიწყო სასოფლო ამბულატორიული კლინიკების მშენებლობა და რეაბილიტაცია. 2019 წელს 200-ზე მეტი ამბულატორიული **კლინიკა აშენდა და აღიჭურვა**, აღდგენის პროცესი კი დასრულდება ორ წელიწადში. უფრო მეტიც, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა 2019 წლიდან მოყოლებული ხორციელდება და გაგრძელდება პირველადი სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის და აღჭურვის გაუმჯობესების პროცესი. 2019 წელს ქვეყანამ წამოიწყო *კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP)* და *კარგი*

დისტრიბუციის პრაქტიკის (GDP) სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში მიმოქცევაში არსებული ფარმაცევტული პროდუქტების მაღალ ხარისხს და საქართველოში წარმოებული მედიკამენტების პარტნიორ სახელმწიფოებში ექსპორტის ხელშეწყობას.

გრაფა 5. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა

იმისათვის, რომ საბაზისო ჯანდაცვის პაკეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ პრინციპის შესაბამისად და საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის ჯიბიდან გაწეული ხარჯების შესამცირებლად (და არა მხოლოდ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაფარვა - პენსიონერები, სტუდენტები და სოციალური შემწეობის სქემაში ჩართული ადამიანები), 2013 წელს შემუშავდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, დაეფარა პირველადი ჯანდაცვის სერვისები, გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებები, სასწრაფო სტაციონარული მომსახურებები, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები, მშობიარობა და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ასევე მოიცვა ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლები (მიუხედავად მოქალაქეობისა), რომლებიც მკურნალობას იღებენ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. შესაბამისად, პროგრამის მთავარი მიზანი იყო არავინ დარჩენილიყო მის მიღმა და მოეცვა ყველა ოჯახი.


2017 წლის მაისში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გადავიდა მომსახურების სტრატეგიკაციაზე შემოსავლის ჯგუფის და მედიკამენტების დაფინანსების მიხედვით.* 2017 წლის ივლისში საქართველომ წამოიწყო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ღარიბი ოჯახებისთვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების გადაცემას გულისხმობდა, პროგრამა 2020 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში იქნა ინტეგრირებული. 2020 წლიდან, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად დადგინდა შერჩევის კრიტერიუმები ამბულატორიული მომსახურების პროვაიდერებისათვის.

პროგრამის მთავარი გამოწვევა იყო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვის გაზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე და ჯანდაცვის მომსახურებების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა. ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯი (ზოგად ბიუჯეტში წილი) 2008-2014 წლებში 4-დან 7 პროცენტამდე მერყეობდა, თუმცა ეს რიცხვი 2016 წელს 8.8%-მდე გაიზარდა, რაც საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაშია, როდესაც ხდება საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლა. მეორეს მხრივ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ საგრძნობლად გაზარდა სამედიცინო სერვისების მოხმარება (ამბულატორიული ვიზიტი ერთ სულ მოსახლეზე 2012 წლის 2.3-დან 4-მდე გაიზარდა 2015 წელს; ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 ადამიანზე 2012 წელს შეადგენდა 8-ს, ხოლო 2015 წელს 12-ს).

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ შეამსუბუქა ოჯახების ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯის ტვირთი - ჯიბიდან ხარჯი 2005 წლის 80%-იანი მაჩვენებლიდან შემცირდა 57%-მდე 2015 წელს და 53%-მდე 2018 წელს (თუმცა, საგრძნობლად მაღალი მაჩვენებელი აიხსნება მედიკამენტების მაღალი ხარჯით, რომელიც არაა მოცული პროგრამის ფარგლებში) (SDG 3.8.1.3). ჯანმოს ევროპული ჯანმრთელობის ანგარიშის თანახმად, საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებულად მიიჩნევა. უფრო მეტიც, გაეროს განვითარების პროგრამის კვლევით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, გამოვლინდა, რომ ბენეფიციარების 80.3% კმაყოფილია ამბულატორიული მომსახურებებით, ხოლო გამოკითხული ბენეფიციარების 96.4% აბსოლუტურად კმაყოფილია გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით (UNFPA, 2020; ICPD +25 Georgia Country Report, 2018).

* მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი 40,000 ლარზე მეტია, არ სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, მოქალაქეები, რომელთაც თვეში 1,000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, თუმცა წლიური შემოსავალი 40,000 ლარზე ნაკლებია და არ აქვთ კერძო დაზღვევა, სარგებლობენ მხოლოდ ლიმიტირებული პაკეტით.

ჯიბიდან გაწეული ხარჯები



შრომის ადმინისტრირების სისტემა

საქართველოს მთავრობას საგრძნობი პროგრესი აქვს შრომის ადმინისტრირების სისტემაში, განსაკუთრებით კი, შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებში. 2015 წელს, თითქმის 10-წლიანი არარსებობის შემდეგ, შეიქმნა **შრომის ინსპექცია**. მას შემდეგ ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა შრომის უსაფრთხოების და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. თავდაპირველად დეპარტამენტმა გასცა ასობით რეკომენდაცია ქვეყნის მასშტაბით, რათა გაზრდილიყო ცნობიერება და უფრო მკაცრი ინსპექციის პროცესისათვის საფუძველი შექმნილიყო. 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო *შრომის უსაფრთხოების შესახებ* კანონი. იმავე წელს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფები შეიქმნა სამშენებლო სექტორში შრომითი ან/და ტექნიკური/სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დარღვევების მონიტორინგისა და შემთხვევების პრევენციისათვის. ახალ რეგულაციებს დადებითი გავლენა ჰქონდა სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ფატალური შემთხვევების შემცირებაზე. 2019 წელს სამუშაო ადგილზე ფატალური შემთხვევების წლიური 24%-იანი კლება იყო, ხოლო დაზიანებების შემთხვევები წინა წელთან შედარებით 16%-ით შემცირდა. შემდგომში სახელმწიფომ გაზარდა შემოწმების სიხშირე, 40-დან 100-მდე, რაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაშია, რომლის თანახმად, უნდა ჩატარდეს ერთი შემოწმება 20,000 დასაქმებულ მოსახლეზე. საქართველო გეგმავს ეტაპობრივად გაზარდოს შრომის ინსპექტირების სფეროები და დაფარვა არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებით. დამატებით საქართველომ წარმატებით შეიმუშავა ახალი წესები და რეკომენდაციები სამუშაო ადგილზე Covid-19-ის გავრცელების პრევენციისათვის და დანერგა ამ წესების შესრულების ეფექტური მონიტორინგი.

4.3. განათლება

საქართველოს პროგრესი აქვს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირების მხრივ. ქვეყანამ შეძლო რამდენიმე წარმატებული რეფორმის განხორციელება პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის სრულიად ახალ სისტემად გარდასაქმნელად, რომელიც თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანია. რეფორმის პროცესში საქართველომ აღმოფხვრა კორუფცია განათლების სისტემაში (ეროვნული გამოცდების სისტემის შემოღებით, რომელიც უმაღლესი განათლების გამჭვირვალობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს), მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, განახლდა და დაიხვეწა ეროვნული სასწავლო გეგმები, გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, შემოღებულ იქნა მასწავლებელთა სერტიფიცირების პროგრამა და აქცენტის გაკეთდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. თუმცა, განათლების და გადამზადების მომსახურების ხარისხი და განათლებასა და შრომის ბაზარს შორის კავშირი (უნარების შეუსაბამობა) კვლავ რჩება საქართველოს განათლების სისტემის პრობლემად.

გარდა ამისა, მთელი განათლების სისტემა, მათ შორის, წამყვანი სამინისტროები და დაკავშირებული სამთავრობო ორგანოები, ახლა მუდმივად იღებენ დროულ, ზუსტ, სანდო და მაღალი ხარისხის მონაცემს EMIS (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მეშვეობით, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ეფექტური მენეჯმენტის სისტემებზე ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლებისთვის.

სამთავრობო პროგრამა პრიორიტეტად განსაზღვრავს განათლებას, რათა უზრუნველყოს მდგრადი ადამიანური კაპიტალის განვითარება. უფრო მეტიც, საბიუჯეტო ხარჯვა განათლებაზე

2015 წელს არსებული 818 მილიონი ლარიდან 2019 წელს თითქმის 1.6 მილიარდი ლარამდე გაიზარდა. განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად და მასში არსებული გამოწვევების დასაძლევად სახელმწიფომ განავითარა განათლების და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგია 2017-2021, რომელიც ეყრდნობა მიმდინარე რეფორმებს და განათლების და მეცნიერების ყველა სფეროს მოიცავს: სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება და მეცნიერება. სტრატეგია ეყრდნობა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპს და მიზნად ისახავს განათლების ყველა დონის მაღალ ხელმისაწვდომობას და ხარისხს.

სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლების მიღება მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისთვის და წარმოადგენს შემდგომი ზრდისა და განვითარების საფუძველს. შესაბამისად, ბავშვის განვითარებაში ინვესტირება აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვების მოკლევადიანი კეთილდღეობისთვის, არამედ მდგრადი, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვისაც. მცირეწლოვანი ბავშვების სკოლამდელ სისტემაში ჩართულობის საერთო მაჩვენებელი (69.5%) საქართველოში ევროპულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია (95%). უფრო მეტიც, ჩართულობის მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია ეთნიკურ უმცირესობაში (33%), მოწყვლად ჯგუფებში (39.7%) და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში (46.8%) (UNICEF, 2018).⁹

ორგანიზებულ სწავლებაში მონაწილეობის წილი სკოლის დაწყებით საფეხურზე შესვლამდე ერთი წლით ადრე 89.6% იყო 2018 წელს (ბიჭი 87.5%, გოგონა კი 92.2%). 5 წლამდე ბავშვების წილი, რომლებიც სწორად ვითარდებიან ჯანმრთელობის, სწავლების და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, 89.6% იყო 2018 წელს (იგივე ინდიკატორი ბიჭებისთვის 90.8%-ია, ხოლო გოგონებისთვის - 88.5%) (SDG 4.2.1).

მნიშვნელოვანი ცვლილებებია სკოლამდელი განათლების სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით. 2016 წელს საქართველომ მიიღო ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ კანონი, რომელმაც შესაძლებელი გახადა საგანმანათლებლო ფუნქციის დაბრუნება ბავშვისათვის (სასკოლოდ მომზადებისათვის) თითქმის 7-წლიანი ჩავარდნის შემდეგ. მოგვიანებით, 2016 წელს საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა ეტაპობრივად მიიღოს ახალი ეროვნული სტანდარტები სკოლამდელი განათლებისთვის. შემუშავდა ოთხი სტანდარტი: (1) სკოლამდელი განათლების პროფესიული სტანდარტები; (2) ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტები; (3) სკოლამდელი WASH სტანდარტი; (4) სკოლამდელი დაწესებულებების კვების სტანდარტი. თითოეული მათგანი მიზნად ისახავს სკოლამდელ განათლებაში არსებული მთავარ გამოწვევებთან გამკლავებას.

ზოგადი განათლება

დაწყებითი განათლების არმქონე პირთა რაოდენობა საქართველოში ძალიან დაბალია. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ 25-64 წლის ასაკის მოსახლეობაში მხოლოდ რამდენიმე ათას ადამიანს არ ჰქონდათ მიღებული დაწყებითი განათლება და 15-17 წლის ახალგაზრდების დაახლოებით ოთხიდან სამს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება

⁹ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) "Study On Quality Of Early Childhood Education And Care In Georgia", 2018. <https://www.unicef.org/georgia/media/1046/file/Preschool%20Quality%20Study.pdf>

(მაჩვენებელი ქალებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე კაცებში).¹⁰ თუმცა დაწყებითი საფეხურის **მიტოვების/სტატუსის შეჩერების** პროცენტული მაჩვენებელი 2015 წელს 0.36% იყო, 2019 წელს კი 0.49%-მდე გაიზარდა. იგივე მაჩვენებელი საშუალო საფეხურზე 2015 წლის 0.88%-დან 0.82%-მდე შემცირდა 2019 წელს (SDG 4.1.3). სკოლის მიტოვების მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს (1) ადრეული/ბავშვთა ქორწინება, (2) სოციალური და ეკონომიკური სირთულეები ოჯახში, (3) სამსახურის დაწყება და (4) ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფა (სახალხო დამცველის ანგარიში, 2017).¹¹

უკანასკნელ წლებში, საქართველომ პრიორიტეტად განსაზღვრა **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**, როგორცაა WASH¹² სივრცეები და სასკოლო ტრანსპორტირება. მთავრობამ შექმნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე სასწავლო პროცესში. სასკოლო ინფრასტრუქტურის ხარისხი შესამჩნევად გაუმჯობესდა და მოდერნიზდა უკანასკნელ წლებში, თუმცა სკოლების ადაპტირება სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის კვლავ გამოწვევად რჩება. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, სრულად ადაპტირებული სკოლების წილი 2019 წელს 6.7% იყო (2018 წელს 4.3%), თუმცა ნაწილობრივ ადაპტირებული სკოლების წილი (ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი ან/და ლიფტი, რესურსების ოთახი) 2019 წელს 52%-ს შეადგენდა, რაც აშკარა ზრდაა 2018 წლის 39%-იან მაჩვენებელთან შედარებით (SDG 4.ა.1).

გარდა ამისა, 2013 წლიდან საქართველომ წამოიწყო უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა სკოლის მოსწავლეთათვის. 2019 წლისთვის ამ პროგრამის ფარგლებში სახელმძღვანელოების მიღება 520,000-მა ბავშვმა შეძლო.

გრაფა 6. პროექტი „ტელესკოლა“

Covid-19-ის გლობალურმა პანდემიამ ახალი გამოწვევა წარმოშვა საგანმანათლებლო სისტემისთვის მთელს მსოფლიოში. სოციალურმა დისტანცირებამ და მასიურმა შეზღუდვებმა აიძულა ქვეყნების დიდი ნაწილი, დაეხურათ საბავშვო ბაღები, სკოლები, პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები და უნივერსიტეტები და ონლაინ სწავლებაზე გადასულიყვნენ. საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა, რომელმაც საჭირო ზომები მიიღო ყველა მოწყვლადი ჯგუფის სასწავლო პროცესის ჩართვის შენარჩუნებისათვის და პროცესის მიღმა არავის დატოვებისთვის.

პროექტი „ტელესკოლა“ შეიქმნა პანდემიის დროს და სკოლის ბავშვებს, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტთან და კომპიუტერთან წვდომა (ძირითადად სოფლად მცხოვრები ბავშვები) სატელევიზიო გაკვეთილები შესთავაზა. პროგრამა 2020 წლის 30 მარტს დაიწყო. სატელევიზიო გაკვეთილები შემუშავდა თითოეული კლასისა და საგნის მიხედვით და მოცემული იყო როგორც ქართულად, ისე ეთნიკური უმცირესობების - სომხურ და აზერბაიჯანულ - ენებზე. სატელევიზიო გაკვეთილები ამავდროულად ჟესტურ ენაზეც ითარგმნებოდა. გარდა ამისა, სასპორტო აქტივობებიც იყო შეთავაზებული მოსწავლეებისათვის სატელევიზიო გაკვეთილებს შორის. სატელევიზიო პროგრამა ასევე მოიცავდა საგანმანათლებლო კოგნიტურ პროგრამებს და ფილმების ჩვენებებს.

¹⁰ საქართველოს სასკოლო სისტემა მოიცავს დაწყებითი (6 წელი, 6-12 წლის ასაკის დონე), საბაზისო (3 წელი 12-15 წლის ასაკის დონე) და საშუალო (3 წელი 15-18 წლის ასაკის დონე) საფეხურებისაგან, ან საშუალოს ალტერნატიულად პროფესიული განათლებისაგან (2 წელი). მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალო განათლების სერტიფიკატი და ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, ქულების მიხედვით.

¹¹ სახალხო დამცველის „ანგარიში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში“ 2017.

¹² WASH აბრევიატურა მოიცავს წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის ინდიკატორებს.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, დაწყებითი და საშუალო განათლების ხარისხი კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს სასკოლო განათლების სისტემისათვის - სამ ძირითად საგანში (მეცნიერება, კითხვა და მათემატიკა) დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეების წილი 2018 წელს 48.7% იყო.

ამ გამოწვევის აღიარებით, რეფორმის ფარგლებში საქართველომ დააჩქარა **პედაგოგების პროფესიული განვითარების** ტრენინგების გაძლიერება. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიის გამოყენების წახალისებაზე - ტექნოლოგიურად გამდიდრებულ სწავლებაზე, ისევე, როგორც პედაგოგიური კომპეტენციების განვითარებაზე, რაც 21-ე საუკუნის პრიორიტეტებია (მაგ. მდგრადი განვითარება, კლიმატის ცვლილება, გლობალური და ციფრული მოქალაქეობა, დემოკრატიული კომპეტენციები, სამეწარმეო კომპეტენციები, მედიაწიგნიერება და ციფრული წიგნიერება).¹³

გარდა იმის, რომ ხორციელდება მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება, ქვეყანამ პედაგოგების ხელფასების ეტაპობრივად ზრდა დაიწყო. სკოლის მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით 65%-ით გაიზარდა. 2019 წელს 105 მილიონი ლარი გამოიყო სკოლის მასწავლებელთა ხელფასისათვის, საიდანაც 75 მილიონი ლარი განკუთვნილი იყო პედაგოგებისთვის, რომელთაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს და ნებაყოფლობით დატოვეს პროფესია (მათ სახელმწიფოსგან ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასის ოდენობით გადაეცათ).

2013-დან 2019 წლამდე პერიოდში სკოლის დირექტორების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მათ შორის, სკოლის ექიმების, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ხელფასები საშუალოდ 20%-ით გაიზარდა. ქვეყანა ასევე გეგმავს ტრენინგების სერიის შეთავაზებას სკოლის დირექტორებისთვის, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება საგანგებო მდგომარეობის ეფექტური მართვის განვითარებისკენ.

ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხი მუდმივად იზრდებოდა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. 2020 წლის მაისის მდგომარეობით 9,000-ზე მეტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე იყენებს ინკლუზიურ საგანმანათლებლო სერვისებს, რომელსაც

გრაფა 7. საერთაშორისო განათლების ცენტრი

საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად, რათა მათ მიიღონ უმაღლესი განათლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, საქართველოს მთავრობამ შექმნა **საერთაშორისო განათლების ცენტრი**. ინიციატივა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის სათანადო უნარებისა და ცოდნის მიწოდებას საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტების და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად. დაფინანსების პრინციპებია სამართლიანობა, გამჭვირვალობა და ჯანსაღი კონკურენცია.

აღნიშნულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა 2014 წლიდან 2019 წლამდე. გაცემული სტიპენდიების რაოდენობა გაიზარდა 77-დან 850-მდე, ხოლო დაფინანსებული ქვეყნების რაოდენობა 14-დან 40-მდე, სასტიპენდიო პროგრამების რაოდენობა კი 3-დან 12-მდე. დამატებით, საერთაშორისო განათლების ცენტრი მოიცავს ხუთ საერთაშორისო პარტნიორს და მისი ბიუჯეტი 2014 წელს 3.8 მილიონი ლარიდან 2019 წელს 7.3 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

¹³ 2019 წელს 31,269 მასწავლებელი გადამზადდა.

1,400-ზე მეტი სპეციალისტი გასწევს. ქვეყნის მასშტაბით შემუშავდა და დაინერგა ალტერნატიული და სენსორული სასწავლო პროგრამები.

უმაღლესი განათლება და უნარების შეუსაბამობა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. სამ-საფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემაზე გადასვლთ, კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის ევროპულის სისტემის (ECTS) დანერგვით, შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შემოღებითა და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებით, ქვეყანა გაერთიანდა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა (EHEA) და ევროპულ კვლევით სივრცეში (ERA). გარდა ამისა, საქართველომ განსაზღვრა პრიორიტეტული საბაკალავრო პროგრამების დაფინანსების მექანიზმი,¹⁴ წამოიწყო უმაღლესი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, შეიმუშავა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი და კრიტერიუმები, ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები და შემოიღო სადოქტორო პროგრამების დაფინანსების პროგრამები.

2014 წლის საყოველთაო აღრიცხვის თანახმად მოსახლეობის 26.7%-ს აქვს უმაღლესი განათლების ხარისხი, ხოლო 17.4%-ს აქვს პროფესიული განათლების ხარისხი. 2017 წელს დასაქმებულ უმაღლესდამთავრებულ პირთა წილი უმაღლესდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 62.4% იყო, რომელიც 2018 წელს ოდნავ - 62.8%-მდე გაიზარდა. მათ შორის, დაქირავებული უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი 48% იყო, თვითდასაქმებულთა წილი კი იმავე წელს 14.7% შეადგენდა (SDG 4.4.1.2).

მიუხედავად სიღრმისეული რეფორმებისა, განათლების დაკავშირება შრომის ბაზართან საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ევროპული ტრენინგების ფონდის (ETF) კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს ახასიათებს როგორც სამუშაო ძალის **ზედმეტი კვალიფიკაცია, ასევე კვალიფიკაციის ნაკლებობაც (უნარების შეუსაბამობა)**. პროფესიული შეუსაბამობის თვალსაზრისით, 2016 წელს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა დაახლოებით 36% მუშაობდა ნაწილობრივად შესაბამისი უნარებით. უფრო მეტიც, შესამჩნევად მაღალია შეუსაბამობა კაცებში, ვიდრე ქალებში (46% 26%-თან შედარებით). საშუალო განათლების მაღალი საფეხურის მქონე პირების მხოლოდ 9.4% იყო დასაქმებული ელემენტარულ პოზიციებზე (რაც მოითხოვს ხელით მუშაობის დონის უნარებს). შესაბამისად, განათლების მქონე პირთათვის საერთო პრობლემაა ისეთ სამსახურში მუშაობა, რაც მათ მიერ მიღებული განათლების სფეროსგან განსხვავდება.¹⁵ შეუსაბამობა უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაში¹⁶ შეიძლება ქართული ეკონომიკის სტრუქტურით აიხსნას - სამუშაოთა მხოლოდ მცირე ნაწილს ესაჭიროება უმაღლესი განათლება (მაგ. უმაღლესი განათლების მქონე მუშახელზე მოთხოვნა ნაკლებია ორ უდიდეს ინდუსტრიაში - სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში). უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულებს არ აქვთ ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც მათი სამსახურისთვისაა საჭირო.

¹⁴ პროგრამა მიზნად ისახავს დააფინანსოს ის პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადია შრომით ბაზარზე, თუმცა ნაკლებ პოპულარულია უნივერსიტეტებში, რათა შრომითი ბაზრის მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

¹⁵ მაგალითად, ტურიზმის სექტორის დასაქმებულთა მხოლოდ 17%-ს ჰქონდა პროფესიული განათლება (ევროპის ტრენინგების ფონდი, 2020).

¹⁶ 2010 წელს სამუშაოები, რომლებიც პროფესიული განათლების უნარებს მოითხოვდა, ვერ შეივსო ასეთი განათლების მქონე პირებით, უმუშევართა 22%-ს კი, რომელთაც უმაღლესი განათლების ხარისხი აქვთ, ვერ მოახერხებდნენ სამუშაოს პოვნას, რომელიც უმაღლესი განათლების დონეს მოითხოვდა (Rutkowski, 2013).

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას, 2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრირების ქვეშ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო ჩამოყალიბდა, რომელსაც რამდენიმე ფუნქცია აქვს, მათ შორის, კვლევითი აქტივობების წახალისება, რათა განისაზღვროს შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების არსებული ტენდენციები, მოხდეს პერსპექტიულ პროფესიების კატეგორიზება და უზრუნველყოფილი იყოს აქტიური შრომით ბაზრის პოლიტიკა. გარდა ამისა, შეიქმნა შრომითი ბაზრის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის

მიწოდებას ეკონომიკის სპეციფიურ სექტორებში ზრდისა და კლების, შრომითი ბაზრის უკანასკნელი ტენდენციებისა და მოთხოვნადი უნარებისა და პროფესიების შესახებ.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება პოტენციურად წარმოადგენს კიდევ ერთ გზას, რომელიც გაამარტივებს ახალგაზრდების ტრანსფორმაციას, შეამსუბუქებს სიღარიბეს და უთანასწორობას და შეამცირებს

გრაფა 8. პრეფერენციული მოპყრობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის

განათლების რეფორმების განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის, პროცესის მიღმა არავის დატოვების პრინციპის შესაბამისად.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მნიშვნელოვანი პროგრამები ეთნიკური უმცირესობების მიერ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გამოწვევის დასაძლევად. 2010 წლიდან „1+4 პროგრამამ“ შექმნა ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის შესწავლის და უმაღლეს განათლებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა (1 წელი ქართულის ენის კურსი და 4 წელი უმაღლესი სასწავლებელში სწავლა). უკანასკნელი შეფასებების მიხედვით, პროგრამაში ჩაერთო 5,400 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელთა 45% ქალი იყო (მონაწილეები ძირითადად იყვნენ თბილისიდან, კახეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან). ამ პროგრამებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებაში.

უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განავითაროს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლების მიღების შესაძლებლობები. ამ მიზნით, სპეციალური პროგრამა შემუშავდა, მისი მნიშვნელობა განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობისა და „პროცესის მიღმა არავის დატოვების“ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რამდენადაც პროგრამის განხორციელებამდე ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ საერთაშორისოდ აღიარებული განათლება და გლობალური განათლების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდნენ (ამ რეგიონების ინსტიტუტები ბოლონის პროცესშიც კი არ არიან ჩართული).

ხსენებულმა პროგრამებმა შესაძლებლობა მისცა მიზნობრივ სტუდენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდები (უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები) ჩაებარებინათ მათ მშობლიურ ენაზე და ჩარიცხულიყვნენ საბაკალავრო პროგრამებზე. კერძოდ, უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველებს, რომლებიც ვერ იღებდნენ მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებში ენგურის გამშვები პუნქტის უკანონო ჩაკეტვის გამო, შეუძლიათ მათთვის სასურველ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე (საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე) ჩაირიცხონ. გარდა ამისა, სახელმწიფო სტუდენტებს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობით აფინანსებს.

გარდა ამისა, მოწყვლადი სტუდენტებისთვის სამიზნე ღონისძიებების ფარგლებში 2019 წელს „სკოლის შემდგომი განათლების მოსამზადებელი პროგრამა“ დაიწყო, რომელიც უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთათვის უმაღლესი განათლების უფლებას. პროგრამა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისთვის შემუშავდა, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სწავლობდნენ და მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება ზოგადი განათლების ინსტიტუტში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათი განათლება სამინისტროს მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების მიხედვით აღიარებულია.

პროგრამის შესაბამისად, ბენეფიციარები გაივლიან ინტენსიურ სატრენინგო კურსს, რათა გააგრძელონ სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე. მთავრობის მიერ გაცემული დაფინანსებით ბენეფიციარები იღებენ სტიპენდიას, საცხოვრებელს (თუ საჭიროა), სწავლისათვის საჭირო პირობებს და სატრენინგო მასალას. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირები ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო, მასწავლებლის ინტეგრირებული განათლების, ვეტერინარულ, და სამედიცინო/სტომატოლოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

უნარების შეუსაბამობას. შესაბამისად, პროფესიული განათლების მოდერნიზება საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

საქართველომ წამოიწყო პროფესიული განათლების რეფორმა, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას, პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას და პროფესიული განათლების დაწესებულებების რეპუტაციის გაუმჯობესებას (უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-9 გრაფაში) და პროფესიული განათლების ინფორმაციის მენეჯმენტის ახალი სისტემის (EMIS) შემუშავებას. 2013 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა სრული დაფინანსება. 2013 წელს სახელმწიფო პროგრამის მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა 8,320 იყო, ხოლო 2016 წელს კი 11,124-მდე გაიზარდა (2013 წელს დაფინანსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების რაოდენობა იყო 53, ხოლო 2016 წელს - 270).

საქართველომ ასევე მოახერხა პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს რეგიონების სრული დაფარვით - **პროფესიული განათლების მინიმუმ ერთი მიმწოდებელი თითო რეგიონში**. გარდა ამისა, ქვეყანა ახორციელებს სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს უწყვეტი განათლების წახალისებას და პროფესიულ და ზოგად განათლებას შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები იღებენ პროფესიული ორიენტაციის კურსებს, ხოლო მე-10-12 კლასის მოსწავლეები სასერტიფიკაციო კურსებს. 2019 წელს პროგრამა ევროპის განათლებისა და ტრენინგების ფონდის მიერ ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად დასახელდა. 2015 წლის პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულების კვლევის (Tracer Study) თანახმად, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 47% იყო დასაქმებული ან თვითდასაქმებული, და ეს მაჩვენებელი 2018 წელს 68%-მდე გაიზარდა (საიდანაც 11% თვითდასაქმებულია), რაც თანხვედრაშია სამიზნე 60%-იან მაჩვენებელთან, რომელიც 2030 წლამდე უნდა იყოს მიღწეული(SDG 4.4.1.1). თუმცა, სხვაობაა დასაქმების მაჩვენებელში ქალ და კაც კურსდამთავრებულთა შორის - ქალ კურსდამთავრებულთა 54%-ია დასაქმებული ან თვითდასაქმებული, ხოლო კაცებისთვის ეს მაჩვენებელი მაღალია და 70%-ს შეადგენს.

საქართველოს მთავრობა (საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად) უზრუნველყოფს ზოგადი განათლების გამჭვირვალობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ პრინციპთან თანხვედრაშია. ზოგად და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა პრიორიტეტულია პენიტენციური სისტემის შიგნითაც. შესაბამისად, ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისთვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანი მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გემით გათვალისწინებული საგნების სწავლის შესაძლებლობით. უფრო მეტიც, მათ შესაძლებლობა აქვთ გამოსაშვებ ღონისძიებაზე და აბიტურიენტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღონ. შესაბამისად, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს უმაღლეს განათლებაზე (ბაკალავრის, მაგისტრის საფეხურზე), ისევე, როგორც პროფესიულ განათლებაზე აქვთ ხელმისაწვდომობა. 2014 წლიდან დაახლოებით 2582-მა პატიმარმა მიიღო მონაწილეობა პროფესიული განათლების 41 პროგრამაში. შედეგად, თუ 2015 წელს განათლების (მათ შორის, უმაღლესი განათლების) ან/და პროფესიული სწავლების პროგრამაში ჩართული პატიმრების წილი მხოლოდ 3.1% იყო, ეს რიცხვი 2019 წელს 12%-მდე გაიზარდა, რითაც უახლოვდება სამიზნე 30%-ს, რომელიც 2030 წელს უნდა იყოს მიღწეული.

გრაფა 9. პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა

2013 წლიდან საქართველომ წამოიწყო პროფესიული განათლების რეფორმა პროფესიული განათლების სტრატეგიის (2013-2020) და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღებით, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიული სწავლების სისტემურ გარდაქმნას, პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის თანხვედრის უზრუნველყოფით, საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმირებით, დამსაქმებლების ჩართულობით ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავებაში და სახელმწიფო პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში ინოვაციური სატრენინგო ლაბორატორიების განვითარების მეშვეობით. რეფორმა მიზნად ისახავს გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა შრომის ბაზარზე, აღმოფხვრას უნარების შეუსაბამობის პრობლემა, უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისობა ცალკეულ პროფესიებზე და სასწავლო დაწესებულებებიდან კვალიფიციური კანდიდატების გამოშვება შესაბამისი ცოდნით „პროცესის მიღმა არავინ დარჩეს“ პრინციპის შესაბამისად. პროფესიული განათლების რეფორმამ სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა პროფესიული განათლების გამტარობის გაზრდას და განათლების სისტემის „ჩიხის“ აღმოფხვრას, რაც პროფესიული განათლების მიმზიდველობის ზრდისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. რეფორმის პროცესში შემუშავდა მოდულარული სწავლება და მოკლევადიანი ტრენინგ-ციკლები, რამაც გაზარდა პროფესიული განათლების მოქნილობა და არჩევანის მრავალფეროვნება.

გარდა ამისა, საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია მიჩნეულ იქნა საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის ცენტრალურ საკითხად. დამსაქმებლები პირდაპირ არიან ჩართული პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში და შექმნილია სექტორული საბჭოები დამსაქმებლის შემადგენლობით, რათა პროფესიული სტანდარტების და პროგრამების დადასტურების მიზნით. 2016 წელს მოხდა „მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების“ კონცეფციის პილოტირება და შემუშავდა დუალური განათლების პროგრამები, რამაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს დასაქმების და თვითდასაქმების შესაძლებლობები.

გარდა ამისა, პროფესიული განათლების სისტემამ შეიმუშავა კერძო სექტორის ჩართულობისთვის ახალი მექანიზმები, რათა ზრდასრული მოსახლეობის უნარები განახლდეს და შრომითი ბაზრის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს კერძო კომპანიებისათვის მოკლევადიანი პროფესიული სწავლების/გადამზადების პროგრამების, კოლეჯების თანადაფინანსების და მენეჯმენტის გარეთ გატანის შეთავაზებით.

2019 წლიდან საქართველომ წამოიწყო პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია: (1) საერთაშორისო სასერტიფიკაციო პარტნიორობის შერჩევით და მათთან მოლაპარაკებებით (მაგ. პირსონი, კემბრიჯი); (2) ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებით პროფესიული განათლების ცენტრებში ინგლისური ენის სწავლების მიმწოდებელ საერთაშორისო ცენტრებთან თანამშრომლობით.

ქვეყანამ ასევე მოამზადა კვლევის ინსტრუმენტი და გაიდლაინი და გამოყო დამატებითი თანხები (ტიპიურ ვაუჩერზე დამატებით) პროფესიული განათლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების ან/და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს „პროცესის მიღმა არავინ დარჩეს“ პრინციპი პროფესიულ განათლებაში, 2016 წლიდან იგი სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი გახდა:

- ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობისათვის, მათთვის გამოცდების რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარების და შემდეგ ქართული ენის კურსის გავლის შესაძლებლობის მიცემით;
- პირობით მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისათვის სატრენინგო კურსების შეთავაზებით;
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებისთვის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებით და თვითდასაქმების წახალისებით, სამუშაო იარაღებისა და აღჭურვილობის გადაცემით.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში პროფესიული გადამზადების ცენტრის ჩამოყალიბებით პროფესიული განათლება პენიტენციურ სისტემაში უფრო გაძლიერდა. ცენტრი მიზნად ისახავს პროფესიული სწავლების შესაძლებლობების გაზრდას, პატიმართა შესაბამის აქტივობებში ჩართვის წახალისებას და მათი დასაქმების/თვითდასაქმების ხელშეწყობას პენიტენციურ ინსტიტუტებში.

პროგრესი კიდევ უფრო შესამჩნევია ქალი პატიმრებისათვის - 2015 წლის 53.7%-დან 2019 წელს

77%-მდე ზრდით (SDG 4.3.c.1).

Covid-19-ის პანდემიის პირობებში პროფესიული განათლების მიმართულებით სავალდებულო პროცედურები (პროგრამების ჩამოყალიბებისა და აკრედიტების პროცედურების, მსურველთა განცხადებების მიღება) ამჟამად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს.



4.4 ახალგაზრდობა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა

ახალგაზრდების სუსტი ჩართულობა და ახალგაზრდების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი საქართველოში განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება. სხვადასხვა კვლევის თანახმად, საქართველოში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისთვის გამოწვევაა განათლებიდან შრომის ბაზარზე შეუფერხებელი გადასვლა. 2011 წლიდან ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შესამჩნევი კლების მიუხედავად, მაჩვენებელი კვლავ მაღალია და შეადგენს 30%-ს (განსაკუთრებით ქალებისათვის - 35.3% და სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის 37.1%). ახალგაზრდების (15-24 წლების ასაკის) წილი, რომლებიც არ არიან განათლების, დასაქმების ან გადამზადების პროცესში (NEET წილი) 2014 წელს 27.9% იყო, 2018 წელს კი 26.9%-მდე შემცირდა. უფრო მეტიც, NEET წილში შესამჩნევი გენდერული სხვაობაა - 23.2% კაცები და 31% ქალები 2018 წელს (მცირედი სხვაობაა ურბანულ და სოფლად დასახლებებს შორისაც - 26.5% ქალაქში და 27.4% სოფლად). NEET წილი კიდევ უფრო იზრდება ასაკთან მიმართებით - 2018 წელს 15-29 ასაკობრივი ჯგუფისათვის 31.6%-მდე იყო (SDG 8.6.1).

საქართველო ახალგაზრდობას ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარ წყაროდ მიიჩნევს. ქვეყანა ასევე გეგმავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდების უნარების განვითარებას, მათ შორის NEET-ისთვის მომსახურებების განვითარებას. 2019 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა ახალგაზრდობის სააგენტო და ფართომასშტაბიანი რეფორმა წამოიწყო პროცესის მიღმა არავის დატოვების პრინციპის გათვალისწინებით. სექტორის რეფორმა მიზნად ისახავს ეფექტიანი და მდგრადი ეკოსისტემის შექმნას ახალგაზრდობის განვითარებისთვის, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, სრულად მოახდინონ პოტენციალის რეალიზება, გააძლიერონ საკუთარი უფლებები და აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. რეფორმა ორიენტირებულია 9 სპეციფიურ მიმართულებაზე:

1. 2025 წლის ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
2. მუნიციპალური ინსტიტუციების მხარდაჭერა - ადამიანის უფლებებზე დაყრდნობით მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
3. ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია;
4. ახალგაზრდების მიერ მართული ორგანიზაციების და ინიციატივების მხარდაჭერა;
5. საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის პროფესიონალიზაციაზე, აღიარებასა და სტანდარტიზაციაზე მუშაობა;
6. განათლება-ჰობი სისტემის განვითარება;
7. რეკრეაციული ახალგაზრდული აქტივობების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება (მათ შორის, ბანაკების);
8. ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სისტემის განვითარება;
9. სამეწარმეო, ციფრული და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციის განვითარების მხარდაჭერა.

ხელისუფლებას უკვე მიღწეული აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი დასახელებული მიმართულებების განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა საქართველოში მოქმედი გაეროს სააგენტოების ტექნიკური მხარდაჭერით და UNFPA საქართველოს ხელმძღვანელობით განავითარა ახალი ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2030, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მთავარ საფუძველს მომდევნო ათ წელიწადში. საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტომ უკვე დაიწყო ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგია 2025-ზე მუშაობა, რომელიც დაეყრდნობა ახალი ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას. სტრატეგიის განვითარების პროცესი 2020 წლის გვიან შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. საპარლამენტო კომიტეტი შეინარჩუნებს ახალი სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობის ფუნქციას.

ხელისუფლება მხარს უჭერს ახალგაზრდების მიერ მართულ ორგანიზაციებს და ინიციატივებს, რამდენადაც ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერებაში. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ახალგაზრდობის სააგენტომ შექმნა საგრანტო სქემა რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის. დაგეგმილია ღია კონკურსის მეშვეობით, ყველა რეგიონში სულ მცირე თითო ორგანიზაციის შერჩევა და ფინანსები გამოყოფა მათი პროექტების განხორციელების მხარდასაჭერად, ამავდროულად მათი ინსტიტუციური გაძლიერებისათვის.



როგორც ახალგაზრდული საინფორმაციო სისტემის ნაწილი, ახალგაზრდობის სააგენტო მუშაობს youthplatform.gov.ge ვებგვერდის განვითარებაზე. პლატფორმის კონცეფცია გულისხმობს ონლაინ ახალგაზრდული ცენტრის შექმნას, რომელიც ახალგაზრდებისთვის არსებული ყველა შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას მოაგროვებს და გაავრცელებს ახალგაზრდული სამუშაოების, არაფორმალური განათლების, საგრანტო სქემების, ბანაკების და სხვა მიმართულებით. იგი ასევე გამოყენებული იქნება, როგორც ციფრული პლატფორმა სტრუქტურული დიალოგისთვის. ვებგვერდს ექნება ფუნქციები ახალგაზრდა ადამიანების საჭიროებებისთვის, რომლებიც NEET ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ევროპის საბჭოს ექსპერტთა მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის მრჩეველთა საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდობის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ახალგაზრდობის თემასთან დაკავშირებით. პროცესი ხაზს

უსვამს, რომ ახალგაზრდობის სააგენტო უზრუნველყოფს რეაგირებადი, ინკლუზიური, ჩართულობითი და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესს ყველა დონეზე.

ახალგაზრდობის სააგენტომ განავითარა მთელი ცხოვრების მანძილზე გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამა ახალგაზრდობის თემაზე მომუშავეთათვის. ეს არის საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიის, ინსტიტუციონალიზების მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი. ახალგაზრდული მუშაკები, როგორც ამ სფეროს მთავარი მომუშავე ძალა, გაზრდიან ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერებას და ახალგაზრდობას ჩართავენ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესში.

ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო და ჰობის ტიპის აქტივობებში ჩართვა მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის საჭირო კომპეტენციების განსავითარებლად. 2019 წლის სექტემბრიდან, სააგენტომ, სიტუაციური ანალიზზე დაყრდნობით, შეიმუშავა ჰობის ტიპის საგანმანათლებლო სისტემის (მათ შორის, ბანაკების) განვითარების სტრატეგია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჰობის ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების უკეთესი ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

5. ეკონომიკური ზრდა

ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველომ განიცადა რამდენიმე სოციალური და ეკონომიკური შოკი. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ქვეყანამ მოახერხა ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური და ეკონომიკური რეფორმების გატარება. ამ რეფორმებმა მოიტანა სწრაფი გაჯანსაღება და შენარჩუნებული იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა 2008 წლის გლობალური კრიზისისა და საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციის მიუხედავად, რომლის შედეგიც 3.7%-იანი მშპ-ს კლება იყო. 2009 წლიდან საქართველოს ეკონომიკა აჩვენებს მუდმივ ზრდას წელიწადში საშუალოდ 4.7%-იანი მაჩვენებლით. 2009-დან 2018 წლებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური ზრდა საშუალოდ 4.9%-იან მაჩვენებელზე იყო.


მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგმა და მდგრადი განვითარების მიზნებმა (SDGs) საშუალება მისცა საქართველოს, პირველ რიგში, განესაზღვრა საკუთარი ვალდებულებები და პრიორიტეტები, გრძელვადიან განვითარებაზე და ინკლუზიური და მრავალმხრივი ეკონომიკური პროგრესის შეფასებაზე. უფრო მეტიც, ამან ხელი შეუწყო საჯარო სექტორს უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ეკონომიკური განვითარების ინკლუზიურობას და ასევე უზრუნველყოს, რომ საზოგადოების არცერთი ჯგუფი არ დარჩეს რეფორმის პროცესებს მიღმა.

5.1. ზრდა

2030 წლის დღის წესრიგი მიღების შემდეგ, 2015 წლიდან მოყოლებული, საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე ლარში წლიური საშუალო 4.1%-ის იზრდებოდა (SDG 8.1). 2015 წლიდან, საერთაშორისო ნავთობის ფასების მნიშვნელოვანმა კლებამ შეანელა რეგიონული ეკონომიკური ზრდა, რაც საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებზე უარყოფითად მოქმედებდა. მიუხედავად ამ გამოწვევისა, ქვეყანამ შეძლო სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება რეალური მშპ-ს 5.1%-იანი საშუალო ყოველწლიური ზრდის მაჩვენებლით. 2019 წელს, მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე მიაღწია ნომინალურ 4,763 აშშ დოლარს. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, საქართველომ დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, 2015 წლიდან, საქართველოს ფისკალურმა და მონეტარულმა ინსტიტუციებმა მოახერხეს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება წლიური საშუალო ინფლაციის მიზნობრივ

გრაფიკი 3. მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდის მაჩვენებელი



3%-თან სიახლოვით. უფრო მეტიც, ქვეყანამ შემლო ბიუჯეტის დეფიციტის სტაბილურობის შენარჩუნება 3%-ის ფარგლებში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება Covid-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. ეს უკვე აისახა ტურიზმის შემოსავლების სწრაფ ვარდნაზე, ისევე, როგორც საქართველოს ექსპორტისა და ფულადი გზავნილების კლებაზე - ყოველივე ეს საქართველოს ეკონომიკის და შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილია. გლობალური საკარანტინე ღონისძიებები მსოფლიო ეკონომიკის შემცირებას 2008-2009 წლების რეცესიაზე მეტად გამოიწვევს (საერთაშორისო სავალუტო ფონდის აპრილის გათვლებით, 3%-ით). ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც. თუმცა, ძლიერი მაკროეკონომიკური საფუძვლებით - ბიუჯეტის დაბალი დეფიციტი, მშპ-სთან მიმართებით დაბალი ვალი მოცულობა - საქართველო შედარებით კარგ პოზიციაშია ამ გლობალური გამოწვევის დასაძლევად.

ეკონომიკური სტრუქტურა და ინკლუზიურობა

საქართველოს ეკონომიკის უდიდესი სექტორებია: (2019 წლის ნომინალური მშპ-ს წილის გათვალისწინებით) საბითუმო და საცალო ვაჭრობა (14%), უძრავი ქონება (12%), წარმოება (10%), მშენებლობა (9%), სოფლის მეურნეობა და სატყეო სექტორი (7%), საჯარო ადმინისტრირება, თავდაცვა და სოციალური დაცვა (7%), ტრანსპორტი (7%), ფინანსური მომსახურებები და დაზღვევა (5%). ეკონომიკის დარჩენილი წილი კი სხვა სექტორებზე ნაწილდება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა მომსახურების სექტორის მიმართულებით ტრანსფორმირდება. 2015-2019 წლებში, ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად იზრდება - წელიწადში 10%-იანი მაჩვენებლით. საქართველოს მიზანია ტურიზმმა მშპ-ს 7.9%-იან მაჩვენებელს მიაღწიოს (SDG 8.9.1). უფრო მეტიც, იმავე პერიოდში პროფესიული მომსახურებები (9%-ით) და საფინანსო სექტორიც (8%-ით) ასევე მაღალი ტემპით იზრდებოდა, სოფლის მეურნეობა და სატყეო სექტორი წლიურ 4.1%-იან ზრდას აჩვენებდა. ამავე პერიოდში მოპოვებითი და საწარმოო სექტორები ასევე მცირედით იზრდებოდა - საშუალო წლიური 3% და 2%-ით, შესაბამისად (მშპ-ს 2015 წლის მუდმივ ფასებთან შედარებით). ინკლუზიური ზრდა საქართველოს ეკონომიკისთვის კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რამდენადაც საქართველოში დასაქმების დიდი ნაწილი იმ სექტორებზე მოდის, რომლებიც ზრდის შედარებით ნელი ტემპებით ხასიათდება. ზრდის და პროდუქტიულობის გასაზრდელად, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მხარდასაჭერად საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამას და პოლიტიკას ახორციელებს სოფლის მეურნეობისა და წარმოების სექტორებში, ასევე ტურიზმის სექტორში. ეს პოლიტიკები იმართება და ხორციელდება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში (იხ. გრაფა 11), ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით, სოფლის მეურნეობის 2015-2020 წლების და საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიების ფარგლებში (იხ. ქვეთავი 4.2.3 მდგრადი სოფლის მეურნეობის შესახებ).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აბსოლუტური სიღარიბე მნიშვნელოვნად მცირდება ბოლო 10 წლის განმავლობაში, ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის პრობლემა ცხადად გამოიხატება ფარდობით სიღარიბეში, რომელიც სტაბილურად 20-21%-იან მაჩვენებელზეა ქვეყნის მოსახლეობაში. ჯინის კოეფიციენტი საქართველოსთვის 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულზე იყო - 0.37, თუმცა იგი არსებითად არ შეცვლილა უკანასკნელ ათწლეულში. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი მოსახლეობის ქვედა 40%-ში უფრო ოპტიმისტურ სურათს აჩვენებს. ამ ჯგუფის შემოსავალი 2018 წელს გაორმაგდა და 10.7%-ს მიაღწია (2015 წელს ეს მაჩვენებელი 5% იყო). საქართველო მიზნად ისახავს 2030

წლისთვის ზრდის 13%-იან მაჩვენებელს მიაღწიოს. ასეთი საგრძნობი ზრდა აუცილებლად შეუწყობს ხელს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას და უფრო ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას.

5.2. შრომის ბაზარი

ეკონომიკის განვითარების მეტი ინკლუზიურობისთვის საქართველო 2030 წლისთვის მშპ-ში შრომითი წილის 50%-მდე გაზრდას გეგმავს. 2019 წლის მონაცემი აჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი 31%-მდეა, თუმცა მომსახურების სექტორში არსებული მაღალი ზრდის მაჩვენებელი ადასტურებს, რომ შრომის წილი ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზრდება. საქართველოში უდიდესი დამსაქმებელი სოფლის მეურნეობის სექტორია, რომელშიც 2018 წლის მონაცემებით შრომითი ძალის 39% იყო ჩართული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი წილი და ამ სექტორის დაბალი წარმადობა ეკონომიკის გამოწვევაა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა სტაბილურად კლებულობს უკანასკნელ წლებში, თუმცა, იზრდება სოფლის მეურნეობის მშპ სექტორში საშუალოდ ერთ დასაქმებულზე. 2015 წლიდან 2019 წლამდე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 15%-ით შემცირდა, ამავდროულად, სოფლის მეურნეობის, სატყეო და თევზჭერის მშპ 17%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში, საშუალო მშპ გამოთვლილი საშუალოდ სექტორში ერთ დასაქმებულზე 38%-ით გაიზარდა, რაც გაზრდილ პროდუქტიულობაზე მიუთითებს.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, არსებულ გამოწვევასთან გამკლავებისთვის, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და წარმოების სექტორში

გრაფა 10. საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობა

2017 წლიდან, საქართველო ღია ბიუჯეტის ინდექსში პირველ ხუთეულში იმყოფება და ფისკალური გამჭვირვალობის ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს. 115 ქვეყნის ღია ბიუჯეტის კვლევით (OBS) საქართველო წამყვან პოზიციაზეა საჯარო ბიუჯეტის ღიაობის თვალსაზრისით. შეფასება ცხადყოფს, რომ ქვეყანა აქტიურად გასცემს ბიუჯეტზე ინფორმაციას, რითიც მის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

უფრო მეტი გამჭვირვალობა უზრუნველყოფს საზოგადოების მეტ ჩართულობას ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში. უფრო მეტიც, საქართველო ლიდერია ბიუჯეტის ზედამხედველობის მხრივაც, რაც პირველ რიგში, ძლიერი დამოუკიდებელი აუდიტის ინსტიტუტითაა განპირობებული - საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით (იხ. www.budgetmonitor.ge). ბიუჯეტის ღიაობისთვის გამოწვევად რჩება საჯარო ჩართულობა.

პროდუქტიულობისა და შემოსავლის ზრდას. უფრო მეტიც, ხელისუფლება მხარს უჭერს მომსახურების სექტორებს, განსაკუთრებით ტურიზმს (იხ. გრაფა 2 და მდგრადი სოფლის მეურნეობის ნაწილი). 2018 წლის მდგომარეობით, მეორე უდიდესი დამსაქმებელი საცალო ვაჭრობისა და ტურიზმის სექტორია, თითოეული 11%-იანი მაჩვენებლით. სხვა მსხვილი დამსაქმებლები არიან წარმოების და განათლების სექტორები, დასაქმებაში 9%-იანი წილით. ტურიზმის სექტორი დაახლოებით 193,000 ადამიანს ასაქმებს, რაც 13%-ით მეტია 2015 წელთან შედარებით (SDG 8.9.2). ტურიზმის სექტორის განვითარება ხელს უწყობს შემოსავლის უთანასწორობის შემცირებას, თუმცა მისი სეზონურობა ჯერ ისევ არსებითი გამოწვევაა.

ხელისუფლება მუშაობს ოთხსეზონიანი კურორტების განვითარებაზე ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, სვანეთისა და აჭარის რეგიონებში.

2019 წელს საქართველომ მოახერხა უმუშევრობის მაჩვენებლის 14.1%-დან (2015 წელი) 11.6%-მდე შემცირება, რითიც 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლის - უმუშევრობის 9.5%-მდე შემცირების მიღწევის (SDG 8.5.2) საფუძველი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელია ახალგაზრდებში (30.8% 20-24 წლის ასაკის ჯგუფში 2018 წლის მდგომარეობით), 2015 წლის შემდეგ ქვეყანამ მოახერხა ამ მაჩვენებლის შემცირებაც (35.5%-დან).

კაცებთან (12.8%) შედარებით, ქალებში უმუშევრობის მაჩვენებელი დაბალია (10.1%), და საქართველოს საკმაოდ მაღალი შრომითი ძალის მონაწილეობის (LFP) მაჩვენებელი აქვს. თუმცა, არსებითი გენდერული სხვაობა შენარჩუნებულია LFP-ში 54.5%-ის სახით ქალებში და 72.6%-ით კაცებში (2019 წლის მდგომარეობით). უფრო მეტიც, ანაზღაურების გენდერული სხვაობა საქართველოში გამოწვევაა 24.8%-იანი მაჩვენებლით მსგავსი უნარების მქონე კაცისა და ქალის ანაზღაურებას შორის სხვაობით (SDG 5, 10).¹⁷



სამუშაო ადგილზე ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის პრობლემის მოსაგვარებლად საქართველო აქტიურად მუშაობს შრომის კოდექსის და საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის რეფორმაზე. ერთ-ერთი გამოწვევაა მამის დეკრეტული შვებულება ბავშვის ყოლის შემდგომ. შრომის კანონმდებლობა მშობიარობის შემდგომ დეკრეტული შვებულების გამოყენების საშუალებას იძლევა დედებისთვისაც და მამებისთვისაც, თუმცა მამების მიერ დეკრეტული შვებულება ხშირად არ გამოიყენება. გარდა ცნობიერების და კულტურული სტიგმისა, ერთ-ერთი ფაქტორია სარგებლის ნაკლებობა და სახელფასო სხვაობა (gender pay gap), რაც არაპროპორციულად ახალისებს დედათა დეკრეტულს, მამებთან შედარებით. საქართველო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია No.183-თან თანხვედრაშია დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობის თვალსაზრისით, თუმცა კონვენციის იმ დებულებებთან შესაბამისობა, რომელიც დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას ეხება, ჯერ ისევ პრობლემურია. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რამდენადაც დედათა და მამათა დეკრეტული შვებულების სარგებელი, როგორცაა ანაზღაურებადი შვებულება, მხოლოდ საჯარო სამსახურისთვისაა სავალდებულო, ხოლო კერძო სექტორი ნებაყოფლობით გასცემს ასეთ ანაზღაურებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო გასცემს ერთჯერად 1000 ლარიან დახმარებას დედებისთვის. დეკრეტული შვებულების 183-დღიანი ვადის გათვალისწინებით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული თანხა ქალების საშუალო ხელფასის მხოლოდ 21%-ია და საარსებო მინიმუმზე ოდნავ მცირეა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამხრეთ სამუშაო ჯგუფში, პროფესიულ კავშირებთან და დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს შრომით კანონმდებლობაში საჭირო ცვლილებების მომზადებაზე მუშაობს. ეს პროცესი მიზნად ისახავს დეკრეტული შვებულებისთვის საკმარისი


¹⁷ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) - გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, 2020 წლის მარტი.

წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებას, რათა ხელი შეეწყოს შვებულების დროს საკმარისი სარგებლის არსებობას და კერძო და საჯარო სექტორებს შორის სათანადო ბალანსის უზრუნველყოფას (SDG 5, 10.4.1.1). ეს პროცესი დონორთა საზოგადოების მხარდაჭერით ხორციელდება, განსაკუთრებით კი გაეროს ინსტიტუტების მხრიდან.

საქართველოს ახასიათებს მაღალი თვითდასაქმების მაჩვენებელი, რაც დასაქმებულთა თითქმის ნახევარს წარმოადგენს. თვითდასაქმებული მუშახელის დიდი ნაწილი არაფორმალურად მუშაობს. შესაბამისად, შრომის კოდექსის დაცვითი მექანიზმები დასაქმებულთა შეზღუდულ რაოდენობას ფარავს. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სამუშაო ადგილზე თანასწორი და არადისკრიმინაციული მოპყრობის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც ნებისმიერი შრომითი პოლიტიკის ეფექტურობა შეზღუდულია თვითდასაქმებისა და არაფორმალური ბუნების მაღალი მაჩვენებლის გამო.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ქვეყანა ამჟამად შრომის ბაზრის რეფორმის პროცესშია. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივების მიღებას შრომით კანონმდებლობაში, ანტიდისკრიმინაციული, გენდერული თანასწორობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. საქართველოს შრომითი ბაზრის კანონმდებლობის ტრანსფორმაცია დაეხმარება ქვეყანას დასაქმებულთა ეთნიკური, გენდერული დისკრიმინაციისა და არათანაბარი მოპყრობის აღმოფხვრაში, ისევე, როგორც მინიმალური უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველყოფაში და დაეხმარება დასაქმებულებს ისარგებლონ უფრო სამართლიანი მოპყრობით სამუშაო ადგილზე .

კაცების და ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი





გრაფა 11. აწარმოე საქართველოში

2014 წლის ივნისში, საქართველოს მთავრობამ წამოიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის მიზანია სამეწარმეო კულტურის პოპულარიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი საწარმოების დაარსების სტიმულირებით და არსებული ოპერაციების გაფართოების ხელშეწყობით.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მთავარი განმახორციელებელია და პასუხისმგებელია ბიზნესის მხარდაჭერაზე, ექსპორტის წახალისებასა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვაზე. სააგენტო ხელს უწყობს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობას მეწარმეების ხელშეწყობით და შესაბამისად, მათ ეხმარება ახალი საწარმოების შექმნაში, ისევე, როგორც არსებული საწარმოების გაფართოებასა და აღჭურვაში. იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყნის ექსპორტის პოტენციალს ადგილობრივი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდითა და საერთაშორისო ბაზრებისკენ მიმართული საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდით. სააგენტო მუშაობს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, წახალისებასა და განვითარებაზე. იგი ასრულებს მოდერატორის როლს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის და შესაბამისად უზრუნველყოფს უახლეს ინფორმაციაზე წვდომას, სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობის ეფექტიან შესაძლებლობებს და ასრულებს ე.წ. „ერთი ფანჯრის“ („one-stop-shop“) ფუნქციას ინვესტორებისთვის საინვესტიციო პროცესში მხარდაჭერისთვის.

2014-2019 წლებში პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“ მხარი დაუჭირა 359 პროექტს, რომლის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 783 მილიონი ლარი იყო და შედეგად 13 000 სამუშაო ადგილი შეიქმნა. სააგენტომ ასევე გასცა 59 მილიონი ლარის ოდენობით სუბსიდიები და ხელი შეუწყო 496 მილიონი ლარის სესხის გაცემას. გარდა ამისა, 2014-2019 წლებში პროგრამამ მხარი დაუჭირა 136 პროექტს სასტუმრო ინდუსტრიაში. საერთო ჯამში „აწარმოე საქართველოში“ ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის ფართო ტრანსფორმაციას.

5.3 მდგრადი ინდუსტრიალიზაცია

საქართველო მუდმივად მუშაობს საკუთარი ეკონომიკის იმგვარად გარდაქმნაზე, რომ წარმოების და მომსახურების სექტორების წილი ეკონომიკაში უფრო დიდი იყოს. ქვეყანას ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა აქვს, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების შესაძლებლობების გამოყენებას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრირებისთვის. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და ამჟამად თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს ევროკავშირთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ჩინეთის ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთან. ეს ქვეყანას უნიკალურ პოზიციაში აყენებს, რათა იყოს მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკების - ევროკავშირისა და ჩინეთის - დამაკავშირებელი. უფრო მეტიც, საქართველო ასევე სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) აშშ-სთან, კანადასა და იაპონიასთან. ყველა ეს შეთანხმება ქმნის ნაყოფიერ საფუძველს, რომ საქართველო იქცეს ვაჭრობისა და წარმოების ჰაბად.

უფრო მეტიც, საქართველო ასევე მუშაობს სავაჭრო და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. 2017 წელს აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა დაიწყეს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა სატვირთო და სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტირებისთვის, რომელიც ჩინეთს ევროპასთან დააკავშირებს. საქართველო ასევე არის სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის წევრი, რომელიც ბუნებრივ აირს აზერბაიჯანიდან ევროპას აწვდის და წარმოადგენს ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ენერგეტიკულ სატრანზიტო გზას. დამატებით, საქართველო აქტიურად აშენებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალს, რომელიც ქვეყნის მთავარი სატრანზიტო გზაა და გეგმავს კიდევ უფრო სტაბილური მარშრუტების აგებას ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო კორიდორებზე (მათ შორის, შენდება 22.7 კმ სიგრძის გზა და გვირაბები, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის უსაფრთხო კავშირის უზრუნველსაყოფად).

სასარგებლო საინვესტიციო გარემო, სავაჭრო მარშრუტები და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები ნაყოფიერ საფუძველს ქმნის ქართული წარმოების განვითარებისთვის. სექტორს შედარებით დიდი წილი აქვს ქართულ ეკონომიკაში - 2019 წელს მშპ-ს 10% (წილი 2019 წლის ნომინალურ მშპ-ში). თუმცა, ქვეყანა გეგმავს წარმოების წილი 2030 წლისთვის მშპ-ს 22%-მდე გაზარდოს, მაგრამ ზრდის ტემპი ამ სექტორში 2015 წლიდან შედარებით ნელია. ამჟამად, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებაში დამატებითი ღირებულება საკმაოდ დაბალია - 272 აშშ დოლარი 2019 წელს. წარმოების განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია უნარების შეუსაბამობა და კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა (იხ. ქვეთავი 4.1.3).

გარდა ამის, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით საქართველო მუშაობს მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) განათლებაზე. STEM დარგების განსავითარებლად საქართველოს აქტიურად შეუწყო ხელი აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ 140 მილიონი დოლარის ოდენობის კომპაქტის გამოყოფამ.

ეს შესაძლებელს ხდის საქართველოსა და აშშ-ს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას უკეთესი STEM განათლების უზრუნველსაყოფად. ამ პარტნიორობის ფარგლებში სან დიეგოს უნივერსიტეტი უკვე თანამშრომლობს სამ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

სასარგებლო ბიზნეს გარემო ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. 2018 წელს მცირე და საშუალო საწარმოებმა ქვეყნის მთლიანი დამატებითი ღირებულების 60% გამოიმუშავა. უფრო მეტიც, წარმოებაში მათი წილიც საკმაოდ მაღალი იყო - 48.7% (SDG 9.3.1.). მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება მთავრობის ეკონომიკური მხარდაჭერის ყველა სქემის, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, ცენტრალური ნაწილია.¹⁸

გრაფა 12. ბიზნესისთვის მეგობრული გარემო

ინვესტიციისთვის მეგობრული ბიზნეს გარემო საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ქვეყანა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში და მე-7 ადგილს იკავებს. საქართველოს მარტივი საგადასახადო სისტემა აქვს - სულ 5 ტიპის გადასახადით და ჯამური 9.9%-იანი საგადასახადო ტვირთით მოგებაზე. უფრო მეტიც, 2017 წლიდან საქართველომ გააუქმა მოგების გადასახადი იმ საწარმოებისათვის, რომლებიც მოგებას კომპანიის საქმიანობაში უკეთეს რეინვესტირებას.

2017 წელს მთავრობამ დააფუძნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), რომელიც ხელს უწყობს ეკოსისტემის შექმნას ყველა ტიპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიის განვითარებისთვის. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო აქტიურად უწყობს ხელს მცირე და საშუალო საწარმოებს და სამეცნიერო ინსტიტუტებს მათი ინოვაციური იდეების კომერციალიზაციაში. 2019 წელს GITA-მ წამოიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამწლიანი ტექნოლოგიის ტრანსფერის საპილოტე პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული სამეცნიერო მიღწევების კომერციალიზაციის ხელშეწყობას. 2018 წელს საქართველოს კვლევისა და განვითარების ხარჯმა მშპ-ს 0.29% შეადგინა და ქვეყანას 1463.8 სრული განაკვეთის მკვლევარი ჰყავდა ერთ მილიონ მოსახლეზე.¹⁹ მკვლევართა მცირე რაოდენობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული სამეცნიერო საზოგადოების ტრანსფორმაციის შედეგია, რომლის გამოც ნებისმიერ სამეცნიერო აქტივობისთვის დაფინანსების მნიშვნელოვანი შეიქმნა. შესაბამისად, ქვეყანამ დაკარგა მეცნიერთა დიდი რაოდენობა „ტვინების გადინების“ და საქმიანობის შეცვლის შედეგად. სამეცნიერო კარიერა ასევე ნაკლებ მიმზიდველი გახდა ახალგაზრდა თაობისათვის და, შესაბამისად, ახალი მკვლევარების შემოდინება შემცირდა. თუმცა, ახალი ინიციატივები, როგორიცაა GITA და უმაღლესი განათლების სექტორის რეფორმა, განსაკუთრებით კი STEM განათლების განვითარება, ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის პოპულარუზებას. შესაბამისად, საქართველო განიხილავს მკვლევრებსა და კვლევებსა და განვითარებაზე (R&D) გაწეული ხარჯის ზრდას 2030 წლისთვის.

¹⁸ 2014-2019 წლებში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამამ დაახლოებით 47 მილიონი ლარი დახარჯა 6,212 პროექტზე, მიკრო და მცირე საწარმოების 9,384 ბენეფიციარისთვის.

¹⁹ UNESCO-ს სტატისტიკის ინსტიტუტი <http://data.uis.unesco.org/index.aspx?queryid=61>; 1,573 სამინისტროს მონაცემებით.

გრაფა 13. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული გახდა ცოდნაზე დამყარებული და ინოვაციური ეკონომიკის განვითარება, შესაბამისად, მან მოიპოვა მხარდაჭერა მსოფლიო ბანკის ჯგუფისგან საქართველოს ეროვნული ინოვაციის ეკოსისტემის (GENIE) პროექტისთვის 23.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის მთავარი მიზანია ინოვაციური აქტივობების ზრდა მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში (MSME), მათ შორის, სტარტაპებში და ფიზიკური პირებისთვის და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობა. საქართველო აქტიური სტარტაპული ეკოსისტემის ჯერ ისევ ადრეულ ეტაპზეა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ) ინოვაციების ეკოსისტემის მშენებლობის მთავარი მაკოორდინებელი და მედიატორი უწყებაა ქვეყანაში. შესაბამისად, სააგენტოს მიზანია, აქტიურად შეუწყოს ხელი ზრდაზე ორიენტირებულ საწარმოებს ადრეულ ეტაპზე, მათ შორის, ინოვაციების და უნარ-ჩვევების განვითარების დაფინანსებით, საწარმოო ეკოსისტემის საფუძვლის მშენებლობის არსებითი კომპონენტია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ყველაზე სწრაფი და ეფექტური ჯგუფის, ხელშეწყობი მიზნით GITA უზრუნველყოფს უფასო სატრენინგო პროგრამებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სხვადასხვა უნარის განვითარებისთვის, როგორცაა დაპროგრამების ენები, კიბერუსაფრთხოება, პროექტების მართვა, ქსელი, დიზაინი. უნარების განვითარების პროგრამით GITA-მ გააციფრულა დაახლოებით 200 მცირე და საშუალო საწარმო სხვადასხვა რეგიონსა და ბიზნეს სექტორში, რამაც მათი გაყიდვების 11%-იან ზრდას შეუწყო ხელი.

5.4. მოხმარება და წარმოება

უკანასკნელ 5 წელიწადში საქართველომ გადადგა რამდენიმე აქტიური ნაბიჯი პასუხისმგებლიანი წარმოებისა და მოხმარების მიმართულებით (SDG 12). ქვეყანა გარემოს დაცვის პოლიტიკის რეფორმირების პროცესშია. ყველა მნიშვნელოვანი სექტორი რეფორმას გადის, მათ შორის: წყლის რესურსების მართვის, სატყეო სექტორის, ჰაერის ხარისხის და ნარჩენების მართვის სისტემები. 2016 წელს საქართველომ მიიღო 2016-2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და ამოცანებს, რომლებსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს. ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველო გეგმავს 2030 წლამდე მნიშვნელოვნად გაზარდოს რეციკლირების მაჩვენებლები და მიაღწიოს: 80%-ს პლასტმასის, შუშის და ქაღალდისთვის და 90%-ს ლითონისთვის. 2019 წლის აპრილიდან საქართველომ აკრძალა ერთჯერადი დაუმუშავებელი პლასტიკური ჩანთების წარმოება და გაყიდვა, რითაც გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება მოხდება. საქართველომ ასევე გადადგა ნაბიჯები უკანონო და სახიფათო ნაგავსაყრელების გასაუქმებლად. 2013 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ დახურა საფრთხის შემცველი 23 ნაგავსაყრელი და რეაბილიტაცია ჩაუტარა 31-ს, რითაც ხელი შეუწყო ნარჩენებით დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანას და ეკოსისტემაზე მათი უარყოფითი გავლენის შემცირებას (SDG 6, 11, 12, 13, 15).

საქართველო ასევე გეგმავს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას ნარჩენების მართვის იერარქიიდან ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად. ამ მიზნით შემუშავდა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი (მიღებულია 2015 წელს) და ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია (ისევე, როგორც 2016-2020 სამოქმედო გეგმა) მოიცავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების განხორციელების დებულებებს. თუმცა კიდევ არის გადასადგმელი ნაბიჯები მისი სრულად განსახორციელებლად. 2020 წლის ივნისის

მდგომარეობით, მთავრობას მიღებული აქვს კანონქვემდებარე აქტები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემების დასამკვიდრებლად ექვსიდან ოთხ სექტორში: (i) ზეთები, (ii) საბურავები, (iii) ელემენტები და აკუმულატორები და (iv) ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა (WEEE). მიმდინარე წლის ბოლომდე შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები იქნება მიღებული დარჩენილი ორი სექტორის - შესაფუთი მასალებისა და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ამ კომპლექსური რეფორმის წარმატების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას მთავრობამ პროცესი წარმართა მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად, კერძოდ, „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ მიდგომით. რეფორმის დაგეგმვის ფარგლებში გაიმართა საჯარო კონსულტაციები ექვსივე სექტორის სხვადასხვა ზომის საწარმოებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან. უფრო მეტიც, მთავრობამ უზრუნველყო სხვა საჯარო უწყებების აქტიური ჩართულობა, როგორცაა შემოსავლების სამსახური და საბაჟო სამსახური (ფინანსთა სამინისტრო). მომავალში, ამ უწყებების აქტიური ჩართულობა გაამარტივებს საჭირო ტექნიკური მხარდაჭერის მიღებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემების ფარგლებში ზუსტი ანგარიშგება (SDG 8, 11, 12).




გრაფა 14. ეკო-ტურიზმი

საქართველოსთვის ეკო-ტურიზმის განვითარება პრიორიტეტს წარმოადგენს. მთავრობა დაცული ტერიტორიების განვითარებასა და გაფართოებაზე მუშაობს, რაც მოწყვეტილი დასახლებების ეკონომიკური განვითარების საუკეთესო მოდელია და ხელს უწყობს შემოსავლის გენერირების ალტერნატიული მექანიზმების შემუშავებას, ახალი დასაქმების შესაძლებლობის გაზრდასა და მთიდან ბარში მიგრაციის პრევენციას.

საქართველო აღიარებულია, როგორც მდიდარი ბიომრავალფეროვნების ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ეკოსისტემების სერვისის მიწოდებას, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელია. საქართველო კულტურული ნარგავების წარმოშობის და მრავალფეროვნების ერთ-ერთი ცენტრია, რომელიც მდიდარია ენდემური სახეობებით, მარცვლოვანი კულტურებით და მათი მონათესავე ველური სახეობებით. თუმცა ბუნებრივი სამყოფელების განადგურება, ფრაგმენტაცია და გაუდაბნობა საფრთხეს უქმნის თესლების მონათესავე ველური სახეობების ბუნებრივ პოპულაციას. დამატებით, რეპროდუქციის არარსებობა და არა-ადგილობრივი სახეობების უკონტროლო შეჯვარება ცხოველების ადგილობრივი ჯიშების სახეობებს საფრთხის ქვეშ აგდებს და ადგილობრივი პოპულაციის გადაშენების რისკს შეიცავს. შესაბამისად, საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამ თვალსაზრისით, სპეციალური როლი ენიჭება საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, რომელიც 2019 წლის მდგომარეობით ქვეყნის 10.4%-ს იკავებს და მომავალში მოსალოდნელია 12%-მდე ზრდა. ამჟამად საქართველო ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების პროცესშია, რაც საგრძნობად ზრდის დაცული ტერიტორიების მიერ სხვადასხვა ეკოსისტემის დაფარვას. ამავდროულად, 2008 წელს დაიწყო **ზურმუხტის ქსელის** ჩამოყალიბება. საქართველოში ზურმუხტის ქსელი მოიცავს 58 ზურმუხტის ტერიტორიას. ქსელის ფართობი 1,285,974 ჰექტარია და ქვეყნის 18.45%-ს ფარავს. ქსელის 44% საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მოდის, ხოლო 63.5% - სახელმწიფო სატყეო ფონდზე. მოსალოდნელია, რომ 2020 წლის ბოლოსთვის ზურმუხტის ქსელი კიდევ დაახლოებით 5 ტერიტორიაზე გავრცელდება.

დაცული ტერიტორიები ენდემური სახეობების შენარჩუნების და დაცვის, ასევე პოპულაციის ეკოსისტემის სერვისებით უზრუნველყოფის არსებითი ინსტრუმენტია. უფრო მეტიც, მცენარეული და ცხოველური გენეტიკური რესურსების რაოდენობა კვებისა და სოფლის მეურნეობისათვის საშუალოვადიან და გრძელვადიან საკონსერვაციო ობიექტებზე 2015 წლის შემდეგ ორზე მეტჯერ გაიზარდა (SDG 2.5.1).




5.5. ენერგეტიკა

საქართველო ჰიდრო, მზის და ქარის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, შესაბამისად აქვს პოტენციალი გარდაქმნას თავისი ენერგეტიკული სისტემები განახლებადი და მდგრადი ენერგიისკენ. 2018 წელს, საქართველოს მთლიანი პირველადი ენერგიის მიწოდება (TPES) 24% განახლებად ენერგიას მოიცავდა, აქედან 18% ჰიდროელექტრო და 6% ბიოსაწვავის წილია (SDG 7.2.1.1). საქართველოში ენერგიის მთავარი წყაროებია: ბუნებრივი აირი (TPES-ის 42%) და ნავთობპროდუქტები (TPES-ის 26%). საქართველო მიზნად ისახავს 2030 წლისთვის TPES-ის 30% განახლებად ენერგიას მიაღწიოს. ეს მიღწევადი ამოცანაა, საქართველოს განახლებადი რესურსების, განსაკუთრებით, ჰიდრო, მზის და ქარის ენერგიის გენერაციის პოტენციალის გათვალისწინებით. საქართველოს ენერგიის ინტენსიურობა, რომელიც იზომება პირველადი ენერგიისა და მშპ-ის მიხედვით 5.1 ტჯ-ია მშპ-ს ერთ მილიონ ლარზე (SDG 7.3.1), რაც შეესაბამება ქვეყნის 2030 წლის მიზანს 5.8 ტჯ/მშპ-ს ერთ მილიონ ლარზე. თუმცა, წარმოების სექტორის გაზრდილმა ინდუსტრიალიზაციამ ენერგიის ინტენსივობის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს.

საქართველოს არსებული პოტენციალი ჰიდრო ელექტროენერგიის განვითარების თვალსაზრისით, ბოლომდე ათვისებული არაა. ქვეყანამ ასევე განსაზღვრა, რომ ქარის ენერგიის 1,450 მეგავატის დადგმული სიმძლავრის აშენების პოტენციალი არსებობს, რაც 4.2 ტჯ/საათში ელექტროენერგიის გამომუშავებას შეძლებდა. საქართველოს ასევე აქვს 1,900-2,200 საათი წლიური მზის ნათება და ჯამური წლიური რადიაციულობა (GHI) 1,000-1,600 კვტ.სთ/მ²-ის ოდენობით.

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ენერგეტიკის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელიც სექტორის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ამის გათვალისწინებით და ფუნქციური ენერგეტიკული ბაზრების დამკვიდრებით, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიერთების ოქმს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებითაც და მიერთების ოქმითაც საქართველოს მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა ენერგეტიკის სექტორში რამდენიმე რეფორმის განხორციელებაზე. ქვეყანა იღებს ენერგეტიკული გაერთიანების მთავარ დირექტივებს და რეგულაციებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის სექტორის მიმართულებით, მათ შორის, ფასების გამჭვირვალობის, ლიბერალიზებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნის და ყველა მომხმარებლისთვის ინკლუზიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს



ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების დირექტივებისა და რეგულაციების შესრულებას. უფრო მეტიც, ახალი კანონი განსაზღვრავს მოწყვლადი მომხმარებლის ტერმინს და ქმნის მათთვის ენერგეტიკის და წყალმომარაგების ხელმისაწვდომობისათვის ჩარჩო მიდგომას. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ მიიღო ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისთვის. 2020 წლის მაისში კი საქართველომ ასევე მიიღო ენერგოეფექტურობის და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი. ეს პირველი ნაბიჯებია ქვეყანაში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების გზაზე.

2019 წელს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 99% ელექტროენერგიის ქსელზე მიერთებული (SDG 7.1.1) იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობამ, USAID/ენერგეტიკის პროგრამის მხარდაჭერით ჩაატარა სოფლად მუდმივად მცხოვრებთა იმ საოჯახო მეურნეობების ინვენტარიზაცია, რომლებიც ელექტროენერგიის ქსელში არ არიან ჩართული და დაამონტაჟა მზის ენერგიის პანელები 16 მუნიციპალიტეტში. შედეგად, ახლა 87 სოფლის 207 ოჯახს ხელი მიუწვდება ელექტროენერგიაზე.

დამატებით აღსანიშნავია, რომ ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად გაიზარდა 2015 წლის 68%-დან 2018 წლის 75%-მდე (SDG 7.1.3). მოსახლეობის ფართო ხელმისაწვდომობა ენერგიის მრავალფეროვან წყაროებზე ამცირებს ენერგეტიკულ სიღარიბეს ქვეყანაში. უფრო მეტიც, მოსახლეობის 59% იყენებს ენერგიის სუფთა წყაროებსა და ტექნოლოგიებს (SDG 7.1.2). ეს უპირველესად გამოწვეულია ჰიდროენერგეტიკის დიდ წილზე (თითქმის 80%) ქვეყნის ელექტროენერგიის წარმოების მთლიან მოცულობაში. თუმცა, ყველაზე დიდი გამოწვევაა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ შეშის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით სოფლად. 2017 წელს, სოფლად მცხოვრები ოჯახების 78% გათბობის მთავარ წყაროდ იყენებდა შეშას. ოჯახებისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის განახლებადი და მდგრადი ენერგიის წყაროს ხელმისაწვდომ ფასად მიწოდება საქართველოს ენერგეტიკის პოლიტიკის მთავარი გამოწვევაა.

განახლებადი ენერგიის მოხმარების ზრდის ხელშესაწყობად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) შემოიღო ქსელის გამრიცხველიანების პოლიტიკა მიკროსიმძლავრის ენერგიის გამომმუშავებელი ობიექტებისთვის. 2019 წელს, ჯამში 108 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური ჩაერთო ქსელის გამრიცხველიანების სისტემაში, რომლის დადგმული ჯამური სიმძლავრე არის 1.2 მეგავატი. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი კერძო-საჯარო პარტნიორობის ჩარჩო ენერგიის მსხვილი წარმოების პროექტებისათვის ინვესტიციების მოსაზიდად და მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ქვეყანა ასევე აქტიურად მუშაობს განახლებადი ენერგიის წყაროების, მათ შორის, ქარის და მზის ენერგიის მხარდაჭერის სქემების შემუშავებაზე.

Covid-19-ის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე

Covid-19-ის კრიზისის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობამ განახორციელა პროაქტიული და სწრაფი მექანიზმები ვირუსის გავრცელების შესაკავებლად. სხვა ქვეყნების მსგავსად, კრიზისმა საქართველოს ეკონომიკა გამოწვევების წინაშე დააყენა., გაფართოებული შეთანხმების მეექვსე მიმოხილვის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო შეფასების თანახმად, 2020 წელს რეალური მშპ-ის 4%-იანი უარყოფითი ზრდაა მოსალოდნელი.

პანდემიის შედეგად ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვნად დაზარალებული სექტორია ტურიზმი. 2020 წლის პირველ კვარტალშივე საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავალი 26%-ით შემცირდა. მოსალოდნელია, რომ მომსახურების ექსპორტი 2020 წელს 55%-

ით შემცირდება. ტურიზმის კლებას უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკის სხვა სექტორებზეც, მათ შორის, სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორებზე.

კრიზისის მართვის ეფექტურად გაგრძელებისა და ეკონომიკური ზარალის დასაბალანსებლად, რომლის წინაშეც ქვეყანა და მისი მოქალაქეები აღმოჩნდნენ, მთავრობამ დაიწყო დონორთა მხარდაჭერის მოხილვება, გადამისამართება და კოორდინირება და ეს მხარდაჭერა გამოიყენა წამოჭრილი საჭიროებების და ზარალის აღმოსაფხვრელად, რაც ეკონომიკის შეჩერებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც პანდემიის პირობებში საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან გაზრდილი დაფინანსება მიიღო. ფონდთან წარმატებულმა მოლაპარაკებებმა საშუალება მისცა ქვეყანას მნიშვნელოვანი სახსრები სხვა დონორებისგანაც მოეზიდა.

2020 წლის აპრილში მთავრობამ წარადგინა **ანტიკრიზისული გეგმა**, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის პაკეტს **კერძო სექტორისა და მოქალაქეებისთვის**, ვისაც ზარალი მიადგა Covid-19-ისგან.

ეკონომიკაზე დარტყმის შესარბილებლად მთავრობამ შეიმუშავა რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები, ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა და სოციალური დახმარება მოწყვლადი ჯგუფებისა და უმუშევრად დარჩენილთათვის, გაზარდა პენსია ასაკოვანი მოსახლეობისთვის, გადაავადა ქვეყანაში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული სესხების ვადები, დაფარა კომუნალური ხარჯები ოჯახებისთვის და გამოიყენა სხვა ფინანსური მექანიზმები.

შემამსუბუქებელი ზომები იქნა შემოღებული ბიზნესისთვისაც განსაკუთრებით ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულთათვის, მათ შორის, ქონების და საშემოსავლო გადასახადის გადავადება და სუბსიდიები მცირე ზომის სასტუმროებისათვის საბანკო სესხის დასაფარად. ავტომობილების იმპორტის გადასახადზე 90-დღიანი ვადა ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტიორებისთვის 2020 წლის 1 სექტემბრამდე გადაიდო. ყველა იურიდიულ პირს მიეცა საშუალება სესხების რესტრუქტურიზაცია მოეხდინა.

ზემოაღნიშნული ჰორიზონტალური აქტივობების პარალელურად, სპეციფიური სექტორული აღდგენის გეგმები შემუშავდა სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სამშენებლო სექტორებისათვის. ისინი მიზნად ისახავს ბიზნეს-აქტორების და კომპანიების მხარდაჭერას, ისევე, როგორც სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ეკონომიკის შესაბამის დარგებში.

6. დემოკრატიული მმართველობა

დემოკრატიული მმართველობა, კარგი მმართველობის სხვა პრინციპებთან ერთად, მთავრობის განვითარების დღის წესრიგის ცენტრალური ნაწილია. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობა გეგმავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მეინსტრიმიზაციას სექტორული რეფორმების ყველა მიმართულებაში და მოწყვლადი და უგულვებელყოფილი ჯგუფებისთვის სათანადო და სრულყოფილ ხელმისაწვდომობას საჯარო სერვისებსა და სხვა სიკეთეებზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველომ გაატარა კონსტიტუციური რეფორმა, რომელმაც ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადაიყვანა პარლამენტის გაფართოებული როლით მთავრობის უფრო ძლიერი ზედამხედველობისა და კონტროლისათვის. უფრო მეტიც, მთავრობა ახორციელებს ფართო და ყოვლისმომცველ საჯარო მმართველობის რეფორმას, რომელიც ევროპულ პრინციპებზე დაყრდნობით მიზნად ისახავს ეფექტიანობის გაუმჯობესებას, შედეგებზე ორიენტირებულ მართვას და გამჭვირვალე, ღია, კორუფციისგან თავისუფალი პროფესიონალი საჯარო სექტორის ჩამოყალიბებას, რაც კარგად მართული სახელმწიფოს მთავარი წინაპირობაა.

გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების ადგილობრივ ხელისუფლებაზე დელეგირების და ადგილობრივი საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, 2019 წელს ქვეყანამ მიიღო 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია (2-წლიანი სამოქმედო გეგმით). სტრატეგია შემუშავდა მონაწილეობითი მიდგომით და უზრუნველყო ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარის ჩართულობა. პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას დამატებითი უფლებამოსილებებით და აყალიბებს მის მატერიალურ და ფინანსურ შესაძლებლობებს, სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფისთვის. უფრო მეტიც, გარკვეული სამუშაოები იქნა გაწეული ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობის გაზრდისკენ. კერძოდ შემუშავდა ერთიანი ციფრული მუნიციპალური მომსახურების პლატფორმა, რომელიც 63-ივე მუნიციპალიტეტში დაინერგება და მოიცავს 17 მოდულს, მათ შორის, პროექტის ციკლის მართვას, სივრცით დაგეგმარებას და ქონების მართვას და, შესაბამისად, უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კაპიტალური ინვესტიციების და განსაზღვრული აქტივების ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას.

მთავრობა ამჟამად ასრულებს ადამიანის უფლებათა 2014-2020 სტრატეგიის განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის მიერ უფლებების სრული სარგებლობის უზრუნველყოფას და სახელმწიფო უწყებებისთვის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების განსაზღვრას. ამ სტრატეგიამ პირველად დაამკვიდრა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ეროვნულ პოლიტიკაში და გამოხატა მთავრობის მიზანი ამ კონცეფციის ეროვნულ პოლიტიკასა და პროგრამებში ინტეგრაციისთვის. ამ ეტაპზე მთავრობა ახალ, 2021-2030 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგიაზე მუშაობს.

6.1 თანასწორობა

ყველა ადამიანის უფლების დაცვისას თანასწორობის მიღწევა, მათ შორის, ქალებისა და უმცირესობებისთვის, საქართველოს მიზანია 2030 დღის წესრიგის განხორციელებისთვის. საქართველომ რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა კანონის წინაშე თანასწორობის გასაძლიერებლად. საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო ზოგადად გენდერულად ნეიტრალურია. იგი არ შეიცავს გამოხატულად დისკრიმინაციულ

კანონმდებლობას სქესის ან გენდერული ნიშნით. უფრო მეტიც, საანგარიშო პერიოდში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საკანონმდებლო ჩარჩოს და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესების გზაზე უკეთესი გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, დროული ანგარიშგება აღებული საერთაშორისო ვალდებულებების თაობაზე, როგორცაა პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა (BPfA) და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), ამ ეტაპზე კვლავ გამოწვევად რჩება. ქალთა პოლიტიკური (15%) და ეკონომიკური (56%) მონაწილეობის გაზრდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება 50/50 მსოფლიოს მისაღწევად 2030 წლისთვის.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციაზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობამ ცოტა ხნის წინ მიიღო ისტორიაში პირველი პოლიტიკის დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის უფლებებზე ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სიძულვილის დანაშაულებთან ბრძოლას, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე ცნობიერების გაზრდას და LGBTQI+ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების მიწოდებას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2015-2020 მიზნად ისახავს ქართულ საზოგადოებაში თანასწორობის მიღწევას, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვით და მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების წახალისებას.

თანასწორობის წახალისება და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბება პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა საბჭოს მთავარ პრიორიტეტთა შორისაა.

გენდერული თანასწორობა

თანასწორობის პრინციპები კონსტიტუციით უზრუნველყოფილია. კონსტიტუცია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს სპეციალური ზომები არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად კაცებსა და ქალებს შორის და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა ადამიანის თანასწორობის უფლებას და კრძალავს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციას. კონსტიტუციის გარდა, ორი კანონი წარმოადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო გარანტიას ქალებისა და გოგონებისთვის - 2010 წელს მიღებულმა კანონმა გენდერული თანასწორობის შესახებ ჩამოაყალიბა საპარლამენტო დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმი, ხოლო 2014 წელს მიღებულმა კანონმა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ანტიდისკრიმინაციული კანონი) სახალხო დამცველის აპარატს საიმპლემენტაციო უფლებამოსილება (სასამართლოს მეშვეობით) მიანიჭა. გარდა ამისა, სახელმწიფო სტრატეგიებმა და შესაბამისმა სამოქმედო გეგმებმა შექმნეს მნიშვნელოვანი საფუძველი ქალთა გაძლიერებისთვის: 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგიამ და შესაბამისმა სამოქმედო გეგმებმა, მათ შორის, 2018-2020 ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ, რომელმაც ასევე გაითვალისწინა თანასწორობის პოლიტიკასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლაზე ცალკე თავი; ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა

ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ.

საქართველომ აიღო ვალდებულება ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმა აღმოფხვრას (SDG 5.1). საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებაში თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით (SDG 5.1.1). ქვეყანამ შემოიღო ახალი კონსტიტუციური გარანტია სხვადასხვა გენდერს შორის თანასწორობისათვის და არსებითი თანასწორობის კონცეფციისთვის. 2019 წელს, ცვლილებები შევიდა ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში და გაძლიერდა სახალხო დამცველის მანდატი კერძო სექტორის მიმართ (2014 წლიდან კანონი შემოღებისთანავე ითვალისწინებდა სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულ მანდატს კერძო სექტორისადმი). 2019 წელს, საქართველომ ცვლილებები გაატარა შრომის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რითაც დასაქმების ადგილას და საჯარო სივრცეებში სექსუალური შევიწროება სამართლებრივად დასჯადი გახდა.

გრაფა 15. SOS აპლიკაცია

2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრმა - 112 - შეიმუშავა მობილური აპლიკაცია, რომელიც უსასყიდლოა. ეს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სერვისია, რომელიც GPS-ის მეშვეობით მომხმარებლის ლოკაციას განსაზღვრავს. აპლიკაცია მოიცავს SOS სიგნალის და ჩატის ფუნქციას, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, რომელსაც არ შეუძლია საუბარი ან ზარის განხორციელება საფრთხეს შეიცავს, SOS სიგნალის ან ჩატის მეშვეობით მიიღოს დახმარება. აპლიკაცია შეიცავს ინფორმაციას ქართულად, ინგლისურად და რუსულად სახელმწიფო სერვისების შესახებ, ცხელი ხაზის, თავშესაფრის და კრიზის-ცენტრების თაობაზე.

ყველა ქალისა და გოგონას მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრისაკენ სწრაფვაში (SDG 5.2) საქართველომ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დონეზე.

2017 წელს, საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ზედამხედველობას უწევს გენდერული თანასწორობის, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის სამოქმედო გეგმების შესრულებას. უფრო მეტიც, 2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) საკუთარ სტრუქტურაში შექმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი ოჯახური ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, სიძულვილის



დანაშაულების, ტრეფიკინგისა და არასრულწლოვანთა მიერ ან/და მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ადმინისტრაციული პროცესების ზედამხედველობისთვის.



საქართველოს სახალხო დამცველი ეროვნული გენდერული თანასწორობის მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია, რამდენადაც არსებით როლს ასრულებს გენდერული საკითხების დამოუკიდებელი მონიტორინგის თვალსაზრისით, მათ შორის, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხებზე რეგულარული მონიტორინგის განხორციელებით. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში 2016 წლის ცვლილებებით სავალდებულო გახდა ადგილობრივ არჩევით ორგანოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მერიაში) გენდერის საკითხებზე მრჩეველის დანიშვნა. მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილს ჩამოყალიბებული აქვს გენდერული თანასწორობის საბჭოები და ყველა მერის მიერ დანიშნულია მრჩეველი გენდერის საკითხებზე. საქართველოს სახალხო დამცველმა ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა გენდერული პოლიტიკის შეფასება ადგილობრივ დონეზე, რომელიც ამ საბჭოების შესაძლებლობებზე საუბრობს.²⁰ 2018 წელს, რისკების შეფასების მექანიზმი ჩამოყალიბდა, რომლითაც სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობა აქვთ ხელახალი ძალადობის რისკები შეაფასონ და მსხვერპლთა დასაცავად დამატებითი ზომები მიიღონ. 2018 წლიდან მხოლოდ სპეციალიზებულ პროკურორებს და გამომძიებლებს აქვთ უფლება იმუშაონ ოჯახური ძალადობის საქმეებზე. დაახლოებით 200-მდე სპეციალიზებულ პროკურორს და გამომძიებელს ქვეყნის მასშტაბით გავლილი აქვს საჭიროებებზე მორგებული ტრენინგი ოჯახურ ძალადობასა და გენდერული ნიშნით

ძალადობაზე.

ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვის სისტემაში ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახური ძალადობაზე რეაგირებისთვის. შესწორდა სამედიცინო ფორმები და შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ ძალადობის სათანადო იდენტიფიცირების, დოკუმენტირების და რეფერირებისთვის. უფრო მეტიც, მთავრობამ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების დაფინანსებაც უზრუნველყო.

გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სამართლებრივი დახმარების სერვისი მსხვერპლთათვის, რაც მოიცავს იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების


²⁰ გაეცანით აქ: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020061711084244176.pdf>

შედგენას და სასამართლოში წარმომადგენლობას დამცავი ორდერის პროცესებში. მოქმედებს სახელმწიფოს დაფინანსებული ხუთი და დონორთა დაფინანსებული სამი თავშესაფარი, რომლებიც უზრუნველყოფენ: თავშესაფარს, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, სამართლებრივ დახმარებასა და რეაბილიტაციას. ასევე მოქმედებს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ხუთი და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მართული ორი კრიზისული ცენტრი. გენდერის ნიშნით ძალადობის შეტყობინების მხარდასაჭერად იუსტიციის სამინისტროს ქვეშ მოქმედმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განახორციელა თვითმხილველის ქცევის კვლევა, რა დროსაც ისინი ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემსწრეები აღმოჩნდნენ და ქცევითი შეხედულებების გამოყენებით განიხილეს თვითმხილველის მიერ ჩარევის წახალისების გზები. ცოტა ხნის წინ, გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის პროცესის ფარგლებში, მოძალადეთათვის GPS ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (ფეხის სამაჯური) დაინერგა.

მიუხედავად მიღწევებისა საკანონმდებლო და პოლიტიკურ ჩარჩოში, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ რჩება. მაგალითად, სექსუალური ძალადობის შეტყობინების ორგანიზაციული მექანიზმების ჩამოყალიბების და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, ერთიანი მონაცემთა შეგროვების მიმართულებით. გენდერული ნიშნით ძალადობის და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის ინტერსექტორულობა უნდა გაძლიერდეს, ამავდროულად ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების, შშმ ქალების, სოფლად მცხოვრები ან/და ეთნიკური უმცირესობება ქალების უკეთ დასაცავად უნდა შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და მოხდეს მათი იმპლემენტაცია, რამდენადაც ასეთი ქალები აწყდებიან დისკრიმინაციის რამდენიმე ფენას და ხშირად ძალადობისადმი უფრო მოწყვლადიც ხდებიან.

საქართველომ აჩვენა პროგრესი ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრაში, როგორებიცაა: ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინებები და ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება და გენდერის ნიშნით ბავშვის შერჩევა. 2018 წელს, სტამბოლის კონვენციის ჰარმონიზებამ გამოიწვია ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინების სამართლებრივი აკრძალვა. შესაბამისად, რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა, რომელშიც 18 წლამდე გოგონები იყვნენ ჩართული, შემცირდა ნულამდე (რამდენადაც კანონი კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციას). თუმცა, 2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) თანახმად, ადრეული/ბავშვთა ქორწინების მავნე პრაქტიკის პრევალენტურობა 20-24 წლის ქალებში კვლავ უცვლელია 2010 წელთან შედარებით (13.9% 2018 წელს და 14% 2010 წელს). ეს საკითხი რჩება დიდწილად გენდერულ ფენომენად, რომელიც ბიჭებზე მეტად, გოგონებზე ახდენს უარყოფით გავლენას. უფრო მეტიც, მავნე პრაქტიკების ზრდადი პრევალენტურობაა სოფლის მოსახლეობაში (სოფლად 25%, ქალაქში კი 8%). საერთო ჯამში, ადრეული/ბავშვთა ქორწინების მავნე პრაქტიკა, არსებით კავშირშია მკაფიო გენდერულ სოციალურ ნორმებთან, რომელიც დომინირებს საზოგადოებაში და აკნინებს ქალის როლს ოჯახსა და საზოგადოებაში, ისევე, როგორც სექსუალური განათლების ნაკლებობა და ქორწინებამდელი ურთიერთობებისადმი არსებული სტიგმა.

აღსანიშნავია, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აღრიცხა გარკვეული რაოდენობის 18 წლამდე გოგონა, რომელთაც 2019 წელს მიატოვეს სკოლა.



მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან ეს რიცხვი 80%-ით შემცირდა, იგი მაინც მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი გოგონები ქორწინდებიან ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე. მთავრობა ამ საკითხზე მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობას აცნობიერებს.

უკანასკნელი კვლევები ცხადყოფს, რომ ქართული საზოგადოება უთანასწორობებისადმი უფრო სენსიტიური გახდა. ცხადია, რომ კარგად დაბალანსებულ კანონმდებლობას უდიდესი გავლენა აქვს მიდგომების ცვლილებაზე, ისევე, როგორც უფრო თანასწორი საზოგადოების პრაქტიკების დამკვიდრებაზე. თუმცა, სოციალური ნორმების ტრანსფორმირება კვლავ გამოწვევაა ქვეყნისთვის და საჭიროა გენდერის ტრანსფორმირების დაჩქარებული პროგრამის დღის წესრიგი. მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობისადმი, შრომის თანაბარი განაწილების და ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებისადმი ადამიანების ხედვაში პროგრესია მიღწეული, თუმცა ქცევითი ცვლილებები ჯერ ისევ ჩამორჩება.

2015 წლიდან **რეგისტრირებული აბორტის** შემთხვევების კლების ტენდენციის მიუხედავად, სამედიცინო აბორტების მაღალი მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა. საქართველოში, ნორმალიზების ტენდენცია შეინიშნება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის, როგორც ვაჟთა უპირატესობის და გენდერულად მიკერძოებული სქესის შერჩევის მავნე პრაქტიკის გამოვლინება - საშუალოდ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა საქართველოში 2015 წელს იყო 109 ბიჭი 100 გოგონაზე, რაც 2019 წელს 107.6-მდე შემცირდა. კვლევამ აჩვენა, რომ კლების ტენდენცია სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციის შედეგია, როგორიცაა შობადობის ზრდა, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა გაძლიერება, შემცირებული სიღარიბით გამოწვეული დადებითი ცვლილებები და ქალთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდა სოციოკულტურულ და გენდერული ღირებულებების სისტემებში. 2019 წელს, სპეციალური რეკომენდაციები გაიცა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და დაერთო ანტენატალური ზრუნვის ეროვნულ პროტოკოლს, რომელიც ორსულობის ადრეულ ეტაპზე (14 კვირამდე) ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარების საკითხებს მოიცავს. ის ხელს უწყობს ულტრაბგერითი ტექნოლოგიის ეთიკურ გამოყენებას და ხელს უშლის ნაყოფის სქესის გამჟღავნებას (ორსულობის ადრეულ ეტაპზე) უზუსტობის მაღალი შესაძლებლობის გამო.

დაბადებისას სქესის თანაფარდობის მაჩვენებლის კლების მიუხედავად, ვაჟის უპირატესობა ჯერ ისევ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში და განსხვავდება სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით. დედაქალაქთან შედარებით, პროგრესი შედარებით ნელია ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ვაჟების უპირატესობა უფრო მაღალია სომხურ და აზერბაიჯანულ ოჯახებში და ყველაზე მცირეა მდიდარ ოჯახებში და სოციალურ სუბსიდიზე დამოკიდებულ ოჯახებში. ვაჟების უპირატესობა თვალსაჩინო ხდება ყოველ მომდევნო მშობიარობაზე და დამოკიდებულია ოჯახში შვილების გენდერულ შემადგენლობაზე.

გამოწვევად რჩება ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკაში. 2016 წლის არჩევნების შედეგად, ქალები საქართველოს პარლამენტის წევრთა 16%-ს შეადგენენ, რაც ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში ქალთა ყველაზე მაღალი წილია 1991 წლის შემდეგ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 2016 წლის არჩევნების შედეგებით პარლამენტში ქალების წარმომადგენლობა 3%-ით გაიზარდა. ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში კვლავ ძალიან დაბალია - მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს 2%-ით გაიზარდა (11.4% 2014 წელს და 13.4% 2017 წელს). 64 პირდაპირ არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი.


პრობლემას ასევე კულტურული ბუნება აქვს. მიუხედავად პოლიტიკური პარტიების 30%-იანი ფინანსური წახალისებისა, რომელიც ამჟამად მოქმედებს, ქალი კანდიდატები საკმარისი

რაოდენობით მაინც არ არიან წარმოდგენილი, რაც იწვევს ნელ პროგრესს. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქალები პროპორციული სისტემის პარტიული სიების 37%-ს შეადგენდნენ და მხოლოდ 18% იყო მაჟორიტარი კანდიდატების შემთხვევაში. მერობის კანდიდატების შემთხვევაში 59 თვითმმართველ მუნიციპალიტეტში მხოლოდ 12% იყო ქალი.

ზემოთ მითითებული ფინანსური წახალისება კანონმდებლობით 2011 წელს დამკვიდრდა. კერძოდ, პარტია, რომელიც ყოველ 10 კანდიდატში სულ მცირე ორ განსხვავებული სქესის კანდიდატს წარადგენდა პარტიულ სიაში პროპორციული არჩევნებისათვის, მიიღებდა 10%-იან დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას. 2013 წელს, ეს წახალისება 30%-მდე გაიზარდა, თუ ყოველ 10 კანდიდატზე სამი საპირისპირო სქესის იქნებოდა. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმამ განსაზღვრა, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების გათვალისწინება კანონმდებლობაში მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. სამოქალაქო სექტორის, ქალთა მოძრაობის და 37,455 მოქალაქის ბოლოდროინდელი ინიციატივა სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ არ იქნა მიღებული, რამდენადაც მან ვერ მოიპოვა საკმარისი მხარდაჭერა პარლამენტში.

2015 წელთან შედარებით, **მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა პროპორცია 32%-დან 35.7%-მდე გაიზარდა.** განსაკუთრებით, სასამართლო სისტემაში, სადაც ქალთა წილი 6.9%-დან 10.7%-მდეა (5.5.2.2) გაზრდილი და საჯარო სექტორში, სადაც (5.5.2.1) 22%-დან 36.4%-მდეა ზრდა (2019 წელს).²¹ კერძო სექტორისგან ხელმისაწვდომი ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია სრული სურათის ანალიზი, რაც ხელს უშლის საკითხის გააზრებას და 2030 წლისთვის მოსალოდნელ პროგრესს

ქალთა პროპორცია მენეჯერულ პოზიციებზე



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები დამატებით ბარიერს აწყდებიან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების თვალსაზრისით. 2019 წელს, საქართველოს პარლამენტმა განახორციელა თემატური მოკვლევა *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე*, რომელიც მიზნად ისახავდა შშმ ქალების და გოგონების საჯარო დისკუსიებში ჩართვას და მათ წინაშე არსებული ყველაზე მწვავე საკითხების წარმოჩენას, მათ შორის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. შშმ ქალები და გოგონები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, დამატებით ბარიერებს აწყდებიან ფიზიკური მანძილის და ენის სახით. სამედიცინო დაწესებულებებისადმი ფიზიკური ხელმისაწვდომობის სიმცირე და სამედიცინო პერსონალის სტერეოტიპული დამოკიდებულებები დასახელდა შშმ ქალების და გოგონების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ხელმისაწვდომობის მთავარ ბარიერად. მაგალითად, გინეკოლოგიური გასასინჯი ოთახები და გინეკოლოგიური სკამები მთელს ქვეყანაში არაადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე ქალთათვის.

ამ გამოწვევებზე გასამკლავებლად სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კონტექსტში რამდენიმე სტრატეგია და პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა

²¹ საქართველოს რანგების სისტემა განსხვავდება საერთაშორისოსაგან, რაც მოთხოვნილია SDG 5.5.2 ინდიკატორისათვის.

საქართველოში, განსაკუთრებით რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით, როგორცაა ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2017-2019), ასევე 2016 წლის ელექტრონული მოდული ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის შესახებ (ე.წ. „დაბადების რეესტრი“). 2017 წელს ახალი მოდული - ვირტუალური კონტრაცეფციის კონსულტაცია - იქნა შემოღებული სამედიცინო უნივერსიტეტის სწავლების ფარგლებში და ეს რესურსი ხელმისაწვდომი გახდა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის მიმწოდებელთათვის. უფრო მეტიც, ცოტა ხნის წინ, საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა შშმ პირთა შესახებ ახალი კანონი, რომელიც შშმ პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს.

არაანაზღაურებადი საოჯახო შრომა, რომელიც დასაქმების გენდერული სხვაობის და სხვა სახის გენდერული ეკონომიკური უთანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, მონაცემთა სიმცირის გამო არ არის გათვალისწინებული ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნებში. თუმცა, ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის თავი აღიარებს მას, როგორც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვან გამოწვევას და ითვალისწინებს კვლევის ჩატარებას არაანაზღაურებადი ზრუნვის სამუშაოს გასაზომად და ასევე ითვალისწინებს ზრუნვის სტრატეგიის შემუშავებას.



რაც შეეხება დასაქმების კულტურას, ქალების წინსვლისთვის სამუშაო ადგილზე უხილავ ბარიერად მიიჩნევა სექსუალური შევიწროვება. როდესაც ქალები ამ ტიპის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას აწყდებიან, მათი დაწინაურების და უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობები მცირდება, რაც აფერხებს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას როგორც სამუშაო ადგილზე, ისე საჯარო სივრცეებში. კერძოდ, გენდერული თანასწორობის კანონის მე-6 მუხლი კრძალავს შევიწროებას და სექსუალურ შევიწროებას ზოგადად შრომით ურთიერთობებში. 2019 წლის ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონში მკაფიოდ განსაზღვრავს სექსუალურ შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ფორმას და ეხება როგორც შრომით, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს. დაგეგმილია საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების გაზრდა სექსუალურ შევიწროებაზე. ამ მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსში და ასევე შესაბამის სატრენინგო მოდულებში გაითვალისწინა გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროება. გარდა ამისა, სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები ჩატარდება საჯარო მოსამსახურეებისათვის სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების საკითხებზე. ასევე დაგეგმილია ადამიანის უფლებათა ახალ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში კერძო სექტორის ჩართვაც, რათა გაიზომოს სექსუალური შევიწროვება როგორც საჯარო, ისე კერძო დასაქმების სივრცეში.

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ აიღო SDG 5.1 ამოცანისადმი ვალდებულება, გაატაროს რეფორმები, რათა ქალებს მიეცეთ თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, ისევე, როგორც საკუთრების და კონტროლის უფლებები

მიწის ან სხვა ტიპი საკუთრებაზე, ფინანსურ მომსახურებებზე, მემკვიდრეობაზე და ბუნებრივ რესურსებზე. საქართველოში ქონების საკუთრებაში გენდერული სხვაობაა, რაც განსაკუთრებით აშკარაა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში. რეგისტრირებული საკუთრების უფლებაში 12%-იანი გენდერული სხვაობაა და 18%-იანი მაჩვენებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საკუთრების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლების საკანონმდებლო ჩარჩო და სოფლის განვითარება გენდერულად ნეიტრალურია, პრაქტიკული მიდგომები მამაკაცების სასარგებლოდ მოქმედებს. კაცი მესაკუთრეების მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს საკუთრებას განაწილებით ან ოჯახის და ოჯახსგარეთ პირებისაგან საჩუქრების სახით, ქალები კი საკუთრებას ძირითადად ქორწინების ან ჩვეულებების შედეგად იღებენ. ეს ნაწილობრივ აიხსნება ტრადიციული შეხედულებებით ვაჟის უპირატესობასთან დაკავშირებით და იმით, რომ კაცებს უპირატესობა აქვთ მემკვიდრეობის პრაქტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ქალებს შეიძლება ჰქონდეთ სამართლებრივი უფლება ქონებაზე. მთავრობის მხრიდან მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში (იხ. ქვეთავი 4.1.1) ცნობიერების ამაღლების კამპანიები გაგარმდებდა, რომელიც ხელს უწყობს სოფლად მოსახლეობის, მათ შორის, ქალების ჩართულობას, რათა შემცირდეს გენდერული უთანასწორობა მიწის რეგისტრაციის თვალსაზრისით.

შემცირებული უთანასწორობა

საქართველო მაღალი ადამიანური განვითარების ქვეყნად ითვლება და 2019 წლის ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მიხედვით, 189 ქვეყნიდან 70-ე ადგილზეა. 2000-დან 2018 წლამდე შუალედში ქვეყნის HDI მაჩვენებელი 0.669-დან 0.786-მდე გაიზარდა (17.5%-იანი ზრდა). იგივე პერიოდში დაბადებისას სიცოცხლის ხანგრძლივობა 3.2 წლით, განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა 1.1 წლით, მოსალოდნელი განათლების ხანგრძლივობა კი 3 წლით გაიზარდა. 1990 წლიდან 2018 წლამდე მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 19.8%-ით გაიზარდა. თუმცა, უთანასწორობის მიერ გამოწვეული დანაკარგი საქართველოში 12%-ია. უფრო მეტიც, HDI მოიცავს გენდერული უთანასწორობის ინდექსს (GII), რომელიც ასახავს გენდერული ნიშნით უთანასწორობებს სამ განზომილებაში - (1) რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რომელიც დედათა სიკვდილიანობას და მოზარდთა მშობიარობის მაჩვენებელს ითვლის; (2) გაძლიერება, რომელიც ქალების საპარლამენტო მანდატებს და საშუალო და უმაღლესი განათლების მაჩვენებელს ითვლის თითოეული სქესისთვის და (3) ეკონომიკური აქტივობა, რომელიც შრომის ბაზარზე ქალთა და კაცთა მონაწილეობას ზომავს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსით, საქართველო 153 ქვეყანას შორის 74-ე ადგილზეა, ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობებით კი 61-ე ადგილზე.

ანტიდისკრიმინაციული კანონი ასევე პირდაპირ კრძალავს **სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას (SOGI)**. აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის პოლიტიკის დონეზე აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის თავი დაამატა. იგი მოიცავს მნიშვნელოვან ვალდებულებებს, რომელიც ეხება SOGI ნიშნით სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების შესახებ ცნობიერების და ცოდნის ამაღლებას, დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებას და სოციალური და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას LGBTI+ თემისთვის. იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც სახალხო დამცველს მიმართეს დისკრიმინაციის ფაქტების დასადგენად კანონთა გათვალისწინებულ საფუძველზე, მცირედით გაიზარდა. კერძოდ, 2015

წელს ეს მაჩვენებელი 95 იყო, 2018 წელს კი 99 (16.b.1.1). სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიების გასაძლიერებლად, სპეციალიზებული სატრენინგო მოდული შემუშავდა პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის. ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით 71 სპეციალიზებული პროკურორი და გამომძიებელია, პარალელურად კი არსებობს გეგმა, პროკურატურის თითოეულ ტერიტორიულ ერთეულზე გაიზარდოს ეს სპეციალიზაცია. შსს-ს და სასამართლო სისტემის წარმომადგენლები ასევე ჩაერთვებიან სპეციალიზებულ ტრენინგებში. მსგავსი საგანმანათლებლო შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ სახით და დაფუძნებული იქნება ევროპის საბჭოს სამართლის სფეროს პროფესიონალობის ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ პროგრამის მეთოდოლოგიაზე. გარდა ამისა, პროკურატურა გეგმავს ინსტიტუციურ გაძლიერებას რასიზმისა და არატოლერანტულობის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წარმომადგენლებისთვის. შსს-მ ასევე შეიმუშავა გაიდლაინები დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის, SOGI ნიშნით, ჩადენილი დანაშაულების გამოძიებების ეფექტურობის გასაძლიერებლად.

ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვან რეფორმებს, მათ შორის, **მიგრაციის პოლიტიკისა და მისი მართვის მექანიზმების** განვითარებისთვის ძლიერი ჩარჩოს შექმნით. საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი აშკარაა საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომელმაც შესაძლებელი გახადა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებული დასრულება, რამდენიმე რეფორმის წამოწყება და ევროკავშირის/შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის უფლების მოპოვება. ხსენებული რეფორმების უდიდესი ნაწილი საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა, რამაც გააძლიერა სტრატეგიული და მთავრობის ერთიანი მიდგომა მიგრაციის მენეჯმენტისადმი (როგორცაა მიგრაციასა და განვითარებას შორის კავშირის დამყარება, იურიდიული დახმარების გაწევა და არალეგალური მიგრაციის პრევენცია, ინტეგრაცია და რეინტეგრაცია, მიგრაციის მენეჯმენტის სისტემის გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა) და შექმნა ძლიერი საფუძველი შემდგომი მიგრაციის პოლიტიკის ციკლის განსახორციელებლად. 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია იქნება სრულიად ახალი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს 10-წლიან პრიორიტეტულ მიმართულებებს (მდგრადი განვითარების მიზნებთან თანხვედრაში) „მიგრაციისა და განვითარების“ ყოვლისმომცველი მიდგომით და გლობალური, რეგიონული და ეროვნული პერსპექტივებიდან მომდინარე თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებით.

6.2. მშვიდობა, სამართალი და ძლიერი ინსტიტუციები

საქართველომ ხელშესახებ პროგრესს მიაღწია ეფექტური, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობის მიმართულებით. ქვეყანა ერთგულად ასრულებს საჯარო მმართველობის და ღია მმართველობის რეფორმებს სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდით. შესაბამისად, საქართველო სხვადასხვა საინდექსო შეფასებაში მაღალ რეიტინგს იღებს, მაგალითად, საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ (იხ. გრაფა 10), რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა გამჭვირვალობის 100 ქულიანი შეფასებიდან 82 ქულა მიიღო, ხოლო ბიუჯეტის ზედამხედველობის 100 ქულიდან - 74. საქართველოს მცირედი გაუმჯობესება აქვს არჩევანის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების ინდექსში (Voice and Accountability Index) (16.6.2.2), მთავრობის ეფექტიანობის ინდექსში (16.6.2.3) და

რეგულირების ხარისხის ინდექსში (16.6.2.4). გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, რომელიც საერთაშორისო ადამიანის უფლებათა საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობს კიდევ ერთხელ მოიპოვა A სტატუსი, რაც ადასტურებს გაეროს პარიზის პრინციპებთან სრულ შესაბამისობას (16.ა.1).

საქართველო აქტიურია მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის ამოცანების შესრულების საკუთარი გამოცდილებისა და მიღებული გაკვეთილების გაზიარებაში, განსაკუთრებით 16.5 და 16.6 ამოცანებთან მიმართებით.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გლობალური მმართველობის ინსტიტუციებში მონაწილეობის გაფართოებასა და გაძლიერებაში (16.8.1). იგი გაწევრიანდა და მოიპოვა წამყვანი პოზიციები რამდენიმე საერთაშორისო ინსტიტუტში, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში (2016-2018), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WHO) (2017-2020), მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაში (გენერალური მდივანი (2018-2021), წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტში (SPT) – 2019-2022, გაეროს სტატისტიკის კომისიაში (2020-2023), დემოკრატიების საზოგადოების მმართველ საბჭოში (2019-2022) და გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტში (2019-2022).

საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობა იღწვის საჯარო მომსახურებებით მოსახლეობის კმაყოფილების გასაზრდელად (16.6.2). ეფექტიანობის გასაზრდელად ქვეყანა აგრძელებს უკვე ძლიერი საჯარო სერვისების მიწოდების განვითარებას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებით. საქართველო ამაღდროულად საჯარო სერვისის შექმნის, მიწოდების, ხარისხის კონტროლისა და ფასწარმოქმნის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების ეტაპზეა (16.6.2.1), დოკუმენტი უკვე მომზადდა და გაუზიარდა სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებს უკუკავშირისთვის, რაც უკვე ასახულია და მიმდინარეობს საბოლოო დოკუმენტის მომზადება მთავრობისთვის წარსადგენად და დასამტკიცებლად.

ამასთან ერთად, რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა სტრატეგიის თითოეული მიმართულებით. კერძოდ, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, შემუშავდა სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციის და ერთიანი შეფასების ჩარჩოს სახელმძღვანელო. ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა ერთიანი შეფასების ჩარჩოს (CAF) მეთოდოლოგიის საკითხებზე. მომსახურების ინდექსის ეროვნული პორტალი განვითარების ფაზაშია. მიმდინარეობს შემდგომი სახელმძღვანელოების და სატრენინგო მოდულების პაკეტის მომზადება მომსახურების შემუშავების, მომსახურების მიწოდების, მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკითხვის სტანდარტის და ფასწარმოქმნის საკითხებში და ეს პროცესი 2020 წლისთვის დასრულდება.

Covid-19-ის პანდემიის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ვებ-პორტალი, www.stopcov.ge, რომელიც სახელმწიფო ენაზე და ეთნიკური უმცირესობების ენებზეა (სომხური და აზერბაიჯანული) და აფხაზურად და ოსურად არის ხელმისაწვდომი. Covid-19-ის პირობებში ბავშვთა უფლებების დასაცავად ცალკე ცხელი ხაზი - 111 - ამოქმედდა, რომელიც ბავშვების უფლებებისა და საჭიროებებისთვისაა განკუთვნილი.

საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ ეფექტური პროაქტიული მექანიზმები განახორციელა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებით, რათა Covid-19-ის გავრცელების პრევენცია მოხდეს პენიტენციურ დაწესებულებებში. ვირუსზე დროული და კარგად

კოორდინირებული რეაგირებით, საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ თავიდან აიცილა Covid-19-ის გავრცელება პატიმრებსა და თანამშრომლებში. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ვირუსის არც ერთი დადასტურებული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

2011 წლიდან საქართველო გლობალური ინიციატივის, **ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)** წევრია. 2018 წელს საქართველო **ღია მმართველობის პარტნიორობის** თანათავმჯდომარე იყო და ამავე წელს, თბილისში გლობალურ სამიტს უმასპინძლა, 2019 წელს კი ხელახლა იქნა არჩეული მმართველი კომიტეტის შემადგენლობაში. საქართველოს მთავრობასთან ერთად, საქართველოს პარლამენტი, უზენაესი სასამართლო და თბილისის მერია შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას. 2020 წლის მდგომარეობით, ქვეყნის 11 მუნიციპალიტეტი მიერთებულია ღია მმართველობის ერთ ან მეტ პრინციპს. საქართველომ დაანერგა რამდენიმე ინიციატივა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული პეტიციისა და საკანონმდებლო ინიციატივების ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობის შეთავაზებით, ისევე, როგორც კანონპროექტებზე ელექტრონულ ფორმატში

უკუკავშირის მექანიზმის და საჯარო მომსახურების მიწოდების გასაუმჯობესებლად მოქალაქეთა უკუკავშირის უზრუნველყოფით.

ღია მმართველობის გეგმის ფარგლებში, რომელიც ხელმძღვანელობს „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ პრინციპით, საქართველოს პარლამენტმა შენობის ადაპტირება მოახდინა ფიზიკური და სენსორული (მხედველობითი) საჭიროებების მქონე პირთათვის და ამავდროულად,

გრაფა 16. საჯარო სერვისების მიწოდების ერთი ფანჯრის პრინციპი

ქვეყნის ღირსშესანიშნავი რეფორმა - იუსტიციის სახლი - მთელს ქვეყანაში ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს. 24 იუსტიციის სახლის და 76 საზოგადოებრივი ცენტრის საშუალებით თითოეულ ადამიანს (როგორც საქართველოს მოქალაქეს, ისე უცხოელს) 400-ზე მეტი სერვისის მიღება შეუძლია ერთ სივრცეში, მათ შორის, პირადი დოკუმენტების მიღება (პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა და პასპორტი), ბიზნესისა და საკუთრების რეგისტრაცია, სანოტარო მომსახურება და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. უფრო მეტიც, Just Drive და Just Café თბილისის იუსტიციის სახლში მომხმარებლებს მანქანის დაუტოვებლად და კაფეში ყავის მირთმევისას სერვისების მიღების შესაძლებლობას აძლევს. იუსტიციის 24 სახლი მთელს ქვეყანაში დღეში 20,000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

პროცესის მიღმა არავის დატოვების პრინციპით, იუსტიციის სახლი მომსახურებების და სივრცეების შშმ პირთათვის ადაპტირების მედროშაა, მან ასევე შეიმუშავა შშმ პირთა მომსახურების. სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის 400 ტერმინის ახალი ჟესტი შემუშავდა სპეციალურად იუსტიციის სახლის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობისათვის. თბილისის იუსტიციის სახლის 20-მა თანამშრომელმა შეისწავლა ჟესტური ენა და ემსახურება სმენის არმქონე ადამიანებს თარჯიმნის გარეშე, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

თბილისის იუსტიციის სახლი უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირდა. შენობის ინტერიერი და გარე ფართობი აღიჭურვა ტაქტილური ბილიკებით, ბრაილის შრიფტით შესრულებული მიმართულებების მანიშნებლებით და ა.შ. იუსტიციის სახლის ვებგვერდიც ასევე არის შშმ პირთად საჭიროებებზე ადაპტირებული. საერთო ჯამში იუსტიციის სახლის 900 თანამშრომელი გადამზადდა სახელმწიფო სერვისების შშმ პირთათვის უკეთესი ხარისხითა და ხელმისაწვდომობით უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, 2019 წელს მოქალაქეების მიერ იუსტიციის სახლის სერვისებით კმაყოფილების მაჩვენებელი 88% იყო.

ერთი ფანჯრის პრინციპის გათვალისწინებით, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა „ერთიანი მომსახურების ცენტრი“, რომელიც ერთ სივრცეში პოლიციის 50 სერვისს უზრუნველყოფს. კონცეფციის დედაქალაქში პილოტირების შემდეგ მოდელი ქვეყნის ფარგლებში ინერგება.

გარდა ამისა, „ერთიანი მომსახურების ცენტრის“ ექსპრეს ფილიალები ამოქმედდა რამდენიმე ქალაქში და თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მანქანები მოსახლეობას ელექტრონული განაცხადის გაკეთებისა და სხვადასხვა მომსახურების მიღების შესაძლებლობას აძლევს.



პარლამენტის ვებგვერდიც გადამუშავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებელთათვის და მოხდა თანამშრომლების გადამზადება შშმ პირთათვის მომსახურების უკეთესი ხარისხით მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

გრაფა 17. საჯარო სექტორის ინოვაციების ლაბორატორია

მომხმარებელზე ორიენტირებული, ინოვაციური მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შექმნა ინოვაციური სერვისების ლაბორატორია. იგი ეხმარება საჯარო და კერძო დაწესებულებებს ახალი, თანამედროვე და ინოვაციური სერვისების შექმნასა და განხორციელებაში. ინოვაციური სერვისების ლაბორატორია მოიცავს პროდუქტის მთელი ციკლის დაგეგმვას - იდეების გენერირებიდან მათი განხორციელების კონკრეტულ ნაბიჯებამდე. მომხმარებელზე მორგებული, ასევე, ქვევითი და სხვა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით შექმნილი მომსახურებით, ლაბორატორია ქმნის და ავითარებს საჯარო და კერძო ორგანიზაციებისათვის ინოვაციურ სერვისებს.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 2017-2020 დღის წესრიგით სასამართლო სისტემის რეფორმა საქართველოს ინსტიტუციური განვითარებისა და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად განისაზღვრა. კერძოდ, დღის წესრიგის თანახმად, გადამწყვეტმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა სრული დამოუკიდებლობა; სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების, მიუკერძოებლობის, ეფექტურობის, პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის გაძლიერება. საქართველომ არაერთი ნაბიჯი გადადგა **ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამართლის უზენაესობის და სამართლიანობის თანაბარი ხელმისაწვდომობის** უზრუნველსაყოფად. ქვეყანა დიდწილად 16.3 ამოცანით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებით გზაზეა. მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის 2020 წლის ინდექსის თანახმად, საქართველო რეგიონში პირველობას ინარჩუნებს, ხოლო გლობალურ დონეზე 128 ქვეყანას შორის 42-ე ადგილზეა.

საქართველო ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასამართლოს რეფორმას ახორციელებს, რომლის ბოლო, მეოთხე ტალღა 2019 წლის ზაფხულში დასრულდა. მეოთხე ტალღა დადებითად შეფასდა, მათ შორის, მოსამართლეთა დისციპლინური წარმოების გამჭვირვალობის გაზრდის თვალსაზრისით. საქართველომ შეიმუშავა სასამართლო სისტემის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეთა დანიშვნის, მოსამართლეთა დაწინაურების, გადამზადების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებას და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას.

საქართველომ პროგრესს მიაღწია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გამოყენების წახალისებაში, კერძოდ, მედიაციისა და არბიტრაჟის მიმართულებით. 2019 წელს მიღებულ იქნა მედიაციის შესახებ კანონი, რომელიც როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე მედიაციის ფუნქციონირების საფუძვლიან ჩარჩოს უზრუნველყოფს. მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენება მხარეებს დროისა და ხარჯების თვალსაზრისით სამართლის ეფექტურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. სასამართლოს ალტერნატივის ქონა უფროდაუფრო მნიშვნელოვანი ხდება, რამდენადაც დავის სასამართლოში წარმოება ხანგრძლივი პროცესია სასამართლოს გადატვირთულობის გამო.

ქვეყანამ პროგრესს მიაღწია ბრალდებულ პირთა პატიმრების საერთო რაოდენობასთან წილის ოდენობის თვალსაზრისით მისი 18.5%-მდე შემცირებით და განაგრძობს დასახული მიზნისკენ (13.5%-ისკენ) სვლას (SDG 16.3.2). 2018 წლიდან საქართველომ პენიტენციური სისტემის


რეფორმის ახალი ტალღა წამოიწყო. 2019 წლის 22 თებერვალს პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. რეფორმა მიზნად ისახავს ფუნქციონალური და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ემყარება სასჯელის ეფექტური იმპლემენტაციის, პატიმართა უფლებებისა და ღირსების დაცვის და საზოგადოებაში რესოციალიზაციის წახალისების კონცეფციებს. საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ უკვე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სხვადასხვა თემატურ მიმართულებაში, თუმცა რეფორმა ჯერ ისევ მიმდინარეობს. რეფორმის პრიორიტეტია სისტემის შემდგომი განვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის, რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის პრინციპების შესაბამისად (SDG 16.3.2.1).

საქართველოს მთავრობა განაგრძობს მუშაობას ყველასთვის უსაფრთხო საზოგადოების შექმნის მიმართულებით. ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დაბადების რეგისტრაციის კუთხით, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდუალური უფლებების უზრუნველყოფასა და სამართლის და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით - 5 წლამდე ასაკის ბავშვების პროპორცია, რომელთა დაბადება სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულია 2015 წლის 99.6%-დან 2019 წელს 99.98%-მდე გაიზარდა (SDG 16.9.1). უფრო მეტიც, საქართველომ წამოიწყო დროებითი პირადობის მოწმობის გაცემა უსახლკარო ბავშვებისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის (SDG 16.9.1.1).

NUMBEO-ს უსაფრთხოების ინდექსის თანახმად, საქართველო 2018 წელს 125 ქვეყანას შორის მეხუთე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად ძალადობასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა იზრდება,

საქართველომ მოახერხა ამ თვალსაზრისით პროგრესის მიღწევა და განზარბ მკვლელობების რაოდენობა 2019 წელს 1.93%-მდე შემცირდა (2015 წელს ეს მაჩვენებელი 3.18% იყო (SDG 16.1.1). თუმცა, ქალები თავს არათანაბრად საფრთხის ქვეშ გრძნობენ საცხოვრებელ ადგილებში მართო სიარულისას (SDG 16.1.1.4), კერძოდ ქალების 82.1% აცხადებს, რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ხოლო კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 97.5%-ია.

განზარბ მკვლელობების შემცირება 2015 წელთან შედარებით



მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ფემიციდის, ქალების და გოგონების მათი სქესის გამო განზრახ მკვლელობის პრობლემასთან გასამკლავებლად, რაც ქალთა უფლებების ჯგუფების მხრიდან აქტიურად განიხილებოდა. სამოქალაქო საზოგადოების და საქართველოში ქალთა მოძრაობის ადვოკატირების საპასუხოდ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად დამატებით განსაზღვრა გენდერის ნიშანი. ქალთა და გოგონათა მიმართ სექსუალური ძალადობის შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოებისადმი საგრძნობლად გაიზარდა, რაც დადებითი ტენდენციაა და რამდენიმე ფაქტორის მიერაა განპირობებული, მათ შორის, მუდმივი ცნობიერების კამპანია ქალთა მიმართ ძალადობაზე საჯარო უწყებების მხრიდან და ქალთა უკეთესი წარმომადგენლობა. შსს-ს მონაცემებით, 2019 წელს რეგისტრირებული გაუპატიურების შემთხვევები წინა წელთან შედარებით 24%-ითაა გაზრდილი. მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებისა, გენდერის, როგორც დამამძიმებელი გარემოების იდენტიფიცირება გამოძიების ეტაპზე კვლავ გამოწვევაა. 2017 წელს სახალხო დამცველმა ფემიციდის მონიტორინგის როლი შეითავსა, მოაგროვა ფემიციდის შემთხვევების შესახებ მონაცემები და ყოველწლიურად აქვეყნებს რეკომენდაციებს შესაბამისი უწყებებისთვის. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცალკე მდგომი ეროვნული სამოქმედო გეგმა ასევე შეიცავს მნიშვნელოვან ვალდებულებებს ფემიციდის საკითხებზე.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც დიდ მიღწევად იქნა მიჩნეული ბავშვთა უკეთესი დაცვის უზრუნველსაყოფად. კოდექსს წინ უძღოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ღირსშესანიშნავი რეფორმა. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი საკანონდებლო ცვლილებებისა და პოლიტიკის ინიციატივებისა, ბავშვები არსებითად დამოკიდებული არიან ზრდასრულებზე (მშობლებზე ან მეურვეებზე) თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და ამ უფლებების განსახორციელებლად. ფინანსების სიმწირე ხელს უშლის მშობლების/მეურვეების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდებას. 2019 წელს ჯამში ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა 29 ბავშვს (SDG 16.2.2). საქართველოს პარლამენტმა წამოიწყო კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებებისთვის. ბავშვის უფლებათა ახალი კოდექსი მიზნად ისახავს ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფას კონსტიტუციის, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის და სხვა მნიშვნელოვანი კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობით. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ბავშვთა უფლებების დაცვასაც მოიცავს. გაიზარდა სოციალურ მუშაკთა რაოდენობა (დამატებით 105 მუშაკი 2024 წლისთვის), რაც ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოჩენას შეუწყობს

გრაფა 18. ადაპტირებული სახელმწიფო სერვისები


112 - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა (შსს-ს უწყება), რომელიც მთელს ქვეყანაში იღებს გადაუდებელი დახმარების შეტყობინებებს, - გააუმჯობესა საკუთარი მომსახურება მომხმარებელზე ორიენტირებული სისტემის მეშვეობით. შედეგად, მომსახურება მეტად ხელმისაწვდომი გახდა შშმ პირთათვის, მათ შორის სმენის არმქონეთათვის. 112-ის მომსახურება მოიცავს Skype-ის მეშვეობით ვიდეო ჩატის შესაძლებლობას. ცენტრმა დაიქირავა სრულ განაკვეთზე მომუშავე ჟესტური ენის თარჯიმნები, რომლებიც პირველადი დახმარების გაძწევთა და შშმ პირთა შორის საუბარს უზრუნველყოფენ. საქართველოს საგანგებო სიტუაციების სისტემის თანამშრომლები ასევე გადამზადდნენ ჟესტურ ენაში, რათა შეძლონ შეტყობინების მიღება სმენის არმქონეთაგან. ინკლუზიური მიდგომა ასევე გამოიყენება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. მოქალაქეებს ახლა შეუძლიათ პასპორტის, პირადობის მოწმობის და დაბადების მოწმობის Skype-ის მეშვეობით მიღება.

ხელს. ბავშვთა დაცვის და შშმ პირთა საკითხები გაერთიანდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის 2019 წლის სახელმძღვანელოში. ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამჟამად მუშაობს სტანდარტული ოპერაციული პროცედურის შემუშავებაზე.

საქართველო აგრძელებს მუშაობას **კორუფციის ყველა ფორმისა და მექრთამეობის აღმოსაფხვრელად**. შესაბამისი პროგრესი აისახა მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის ინდექსშიც, 2015-2018 წლებში საქართველო ყოველწლიური 1.94%-იანი ზრდის ტენდენციას აჩვენებდა. საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში უმაღლესი მაჩვენებელი აქვს. Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების 2020 წლის ინდექსის თანახმად, საქართველო 180 ქვეყანას შორის მე-12 ადგილზეა, ხოლო ევროპაში (45 ქვეყანა) მე-6 ადგილს იკავებს. ქვეყნის ჯამური ქულა 1.2-ით გაიზარდა კანონის უზენაესობის ყველა კომპონენტის ზრდით. თუმცა, ამ მხრივ გამოწვევები მაინც არსებობს. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2019 წელს რიგით მეხუთე ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა (2019-2020) და ანტიკორუფციული სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც ჩართულ მხარეებთან ერთად თანამშრომლობითი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციული პრიორიტეტები მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რომელიც მიზნად ისახავს კორუფციის პრევენციას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და ცალკე ნაწილი ეძღვნება ბიზნესის კეთილსინდისიერების საკითხებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECDACN) რეკომენდაციების შესაბამისად. იგეგმება კერძო სექტორში კეთილსინდისიერების გასაძლიერებლად დამატებითი ღონისძიებების გატარება. ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აქცენტს აკეთებს ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობის გაძლიერებაზე და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების, როგორც პასუხისმგებელი ორგანოების როლს სამოქმედო გეგმაში და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ელექტრონული მომსახურებების ხელშეწყობას, სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების გაზრდისთვის და კორუფციის პრევენციაში სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესებას.

უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო, რომელიც ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, შედგება აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის

Heritage Foundation ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020



წარმომადგენლებისაგან. შესაბამისად, საკოორდინაციო მექანიზმი უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას ანტიკორუფციული პრიორიტეტების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მხრიდან საჯარო სექტორისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, შემუშავდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რაც მოიცავს თანამდებობის პირთა ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობაც გაიზარდა ელექტრონული შესყიდვების სისტემისა და ონლაინ პლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორის“ მეშვეობით, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დააკვირდნენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვას. ანტიკორუფციულმა საბჭომ დაამტკიცა პირველი კორუფციის რისკის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს რისკების შეფასების უფრო სისტემურ მიდგომას. მეთოდოლოგია საჯარო სექტორში ეტაპობრივად დაინერგება (16.5.2.1).



გრაფა 19. სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ფარგლებში, მდგრადი განვითარების მიზნების სულისკვეთებით, 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამშვიდობო ინიციატივა, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ემსახურება წმინდად ჰუმანიტარულ მისიას, რომლის მიზანია ნდობის აღდგენა დაგამყოფ ზოლს მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესება. ახალი სამშვიდობო ინიციატივა საერთაშორისო საზოგადოების მიერ დადებითად შეფასდა და, რაც მთავარია, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადგილობრივ მცხოვრებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. სამშვიდობო ინიციატივა სამ მიმართულებას ფარავს:

- **ვაჭრობის ხელშეწყობა** გამყოფი ზოლის გასწვრივ ნეიტრალური სტატუსის პირობებში, რაც ხელს უწყობს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან პროდუქტების საქართველოს შიდა ბაზარზე წვდომას და საქართველოში პრივილეგირებული ექსპორტის შესაძლებლობების გამოყენებას, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების პირობების;
- **საგანმანათლებლო შესაძლებლობების** გაძლიერება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოსეთის მცხოვრებთათვის და საქართველოსა თუ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ გამარტივებულ ჩარიცხვას;
- სხვადასხვა **სახელმწიფო სერვისზე** ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ასევე საქართველოს პასპორტისა და სხვა დოკუმენტის ხელმისაწვდომობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთათვის.

სამშვიდობო ინიციატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შესაბამისი **საფინანსო მექანიზმების** შემუშავება პროცესის ხელშესაწყობად და მათთვის, ვისაც ჩართულობის სურვილი აქვს ამ მიზნით, 2019 წელს საქართველოს მთავრობამ წამოიწყო ახალი საგრანტო პროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონომიკურ აქტივობას გამყოფი ხაზის გასწვრივ და ამ მიზნით, მხარს უჭერს ინდივიდუალურ და ერთობლივ პროექტებს. ზრდადი ინტერესის დასაკმაყოფილებლად სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში მთავრობამ კიდევ ერთი ფინანსური ინსტრუმენტის შეიმუშავა - **მშვიდობის ფონდი** უკეთესი მომავლისთვის, რათა ხელი შეეწყოს გაყოფილ თემებს შორის დიალოგის, თანამშრომლობის, შერიგების და ნდობის პროცესს, ისევე, როგორც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის გაძლიერებას გამყოფი ხაზის ორივე მხარეს და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2019 წელს, ოკუპირებული რეგიონებიდან ორჯერ მეტი სტუდენტი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების მეშვეობით. სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს პასპორტის მოპოვების პროცედურული ბარიერებიც მოიხსნა. ამჟამად პასპორტის მოპოვება შესაძლებელია ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე, უფასოდ, „ერთი ფანჯრის პრინციპით“.

სამშვიდობო ინიციატივის პარალელურად საქართველოს მთავრობა აგრძელებს ჩართულობის პოლიტიკის ფართო განხორციელებას, რაც მოიცავს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვას უფასო ჯანდაცვის სერვისების მიწოდებით, სამედიცინო და სოფლის-მეურნეობის ობიექტების ჩამოყალიბებით, ისევე, როგორც ნდობის გაძლიერების პროექტების ხელშეწყობით.

7. დასკვნა და სამომავლო ნაბიჯები

ანალიზის შეჯამება

ანალიზმა აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებში ინტეგრირება სწორი მიმართულებაა. რაც უფრო მეტად არის მდგრადი განვითარების მიზნები საერთო ეროვნულ მიზნებთან თანხვედრაში და კონტექსტში მორგებული, უფრო მაღალია პოლიტიკური და ამომრჩეველთა მხარდაჭერა საჭირო ცვლილებებისა და რეფორმებისადმი, რაც ასევე მოქმედებს საბიუჯეტო რესურსების განაწილებაზე.

ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ სადაც მდგრადი განვითარების მიზნები მკაფიოდაა დაკავშირებული ეროვნულ პრიორიტეტებთან, უფრო მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. კერძოდ, ეკონომიკური ზრდა, ენერგიაზე ხელმისაწვდომობა, განახლებადი ენერგიის განვითარება და რესურსებზე თანაბარი წვდომა - ეს ის საკითხებია, რომლებიც აშკარად მნიშვნელოვან ამოცანებადაა მიჩნეული. თუმცა, არსებითი გამოწვევები გამოიკვეთა დასაქმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმებაში, ასევე გარემოს დაბინძურების ნაწილში. ასევე გამოჩნდა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა ანტი-დისკრიმინაციული მიმართულებით, გენდერული უთანასწორობა სხვა პოლიტიკის მიმართულებებში უფრო უკეთ უნდა იყოს დაკავშირებული რათა მიღწეულ იქნას ეფექტური და სტრუქტურული პროგრესი. გარემოს დაცვითი საკითხები უკეთ უნდა დაუკავშირდეს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის მიზნებს.

გამოწვევების უდიდესი ნაწილი სტრუქტურულ, სტრატეგიულ ცვლილებებს საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია პროფესიული საჯარო სამსახური. შესაბამისად, განსაკუთრებულად აუცილებელია მომდევნო პერიოდში საფუძვლიანად შეფასდეს საჯარო მმართველობის რეფორმა. საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიის ახალი ციკლი უნდა შემუშავდეს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე აქცენტირებით, რომლის მიზანი იქნება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გაერთიანება.

ლოგიკურად, ასეთი საფუძვლიანი ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის და სტაბილურობის კონტექსტში. საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაცია კვლავ რეალურ საფრთხეს შეიცავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ. მიუხედავად იმის, რომ საქართველოს მთავრობა ერთგულია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისადმი, აუცილებელია ძლიერი საერთაშორისო ჩართულობა გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად, მათ შორის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მექანიზმების ადგილზე შესამუშავებლად და გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

Covid-19 პანდემიამ ყურადღება გაამახვილება საგანგებო სიტუაციების მზადყოფნის აუცილებლობაზე, რომელიც აქცენტირებულ იქნება ჯანდაცვის, სოციალური მხარდაჭერის და ეკონომიკური სტაბილურობის საკითხებზე. ამ ანგარიშის მომზადების დროს ეპიდემიის თანმდევი მოვლენები ჯერ ისევ საფუძვლიან შეფასებას საჭიროებს. თუმცა ცხადია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა მსგავსი რისკების შესამსუბუქებლად მომავალშიც საჭირო იქნება - როგორც გლობალურ, ასევე, რეგიონალურ დონეზე.

ახალი საკითხები

რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება გამოიკვეთა რომელიც საჭიროებს მეტ ყურადღებას, რათა იმპლემენტაციის არსებული ხარვეზები სისტემატური მიდგომით გამოსწორდეს. ისინი ოთხ კატეგორიად დაჯგუფდა:

არავინ დარჩეს პროცესის მიღმა

სხვადასხვა სახის უთანასწორობა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროგრესისთვის. ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა (5.5, 5.ა) დიდ პოტენციალს შეიცავს ეკონომიკური მიღწევებისთვის, განსაკუთრებით არაანაზღაურებადი შრომის ტვირთის (5.4) საკითხზე მუშაობა. ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვან მიღწევად იქნა მიჩნეული ქალთა მიმართ ძალადობისა და ბავშვების მიმართ ძალადობის ყოველდღიურობიდან აღმოფხვრა (5.2, 5.3, 16.2). შშმ პირთა სრული ინკლუზიურობის უზრუნველყოფა (10.2) ასევე მიჩნეული იყო დიდი სარგებლის მომტანად და მეტი ტოლერანტობის წახალისების შესაძლებლობად. ასევე მრავალფეროვნების დაფასება, იქნება ეს ეთნიკური თვალსაზრისით, რელიგიური კუთვნილების თუ სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, მშვიდობის მშენებლობაში არსებითი ნაბიჯებია (10.3, 16.ბ). „არავინ დარჩეს პროცესის მიღმა“ პრინციპი შემუშავდა როგორც მრავალმხრივი პრიორიტეტი, რომელიც „5P“ ყველა მიმართულებას მოიცავს. ეს გამოწვევები კიდევ უფრო მნიშვნელოვნად არის მიჩნეული Covid-19-ის პანდემიის ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური გავლენების გათვალისწინებით

ახალგაზრდებში ინვესტირება

რამდენადაც 14-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 35% არ არის ჩართული განათლებაში, დასაქმებაში ან გადამზადებაში (NEET), სათანადო შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ახალგაზრდების არააქტიურობა განაპირობებს არაერთ სოციალურ პრობლემას, რასაც მთელს საზოგადოებაზე და თაობის მომავალზე აქვს გავლენა. ახალგაზრდების განვითარებისადმი ერთიანი მიდგომა - ხარისხიანი განათლების, ახალგაზრდული სამუშაოების, არაფორმალური განათლების, ახალგაზრდებზე მორგებული მომსახურებების, ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და ჩართულობის გათვალისწინებით - და უფრო ფართოდ ადამიანური შესაძლებლობების განვითარებით 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევის პოტენციალს შეიცავს. ამ გზით გაძლიერდება ქვეყნის პროგრესი სოციალური უზრუნველყოფის (1.4), შემცირებული უთანასწორობების (10.2), გენდერული თანასწორობის (5.2, 5.3) და ჯანდაცვის (3.7, 3.8) მიმართულებებით.

დეცენტრალიზებული განვითარება

საქართველოში ურბანულ და სასოფლო დასახლებებს შორის განსხვავებები საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოჩენილი. ამოცანა 2.3 (სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა) მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის, რამდენადაც საოჯახო მეურნეობების წილი, რომლებიც სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართული, კვლავ მაღალია. მიუხედავად ბოლო წლების პოზიტიური დინამიკისა, მთავარი სტრატეგიული ამოცანა კვლავ მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოებიდან ბიზნეს-ორიენტირებულ წარმოებაზე გადასვლაა. უარყოფითი დემოგრაფიული დინამიკა კი ნიშნავს, რომ ახალგაზრდები ქალაქისკენ იღებენ გეზს და ტოვებენ სოფელს, შესაბამისად, საჭიროა ასაკოვანი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაში პროაქტიული ინტეგრაცია. დეცენტრალიზებული განვითარება, რაც განსაზღვრულია მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში, დივერსიფიცირებული ეკონომიკური აქტივობების წახალისების ფოკუსით (8.2, 8.9), ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გამოწვევების დაძლევის, ამავდროულად კი მოამწიფებს სიღარიბის დაძლევის დაჩქარების პოტენციალს (1.4). ეს პროცესი ადგილობრივად განსაზღვრული პრიორიტეტებით უნდა გამყარდეს, რომლებიც გაძლიერებულ ადგილობრივ ინსტიტუციებზე უნდა დაშენდეს (16, 16.7).

ენერგიის წარმოებით და მოხმარებით „მწვანე“ ზრდის მიღწევა

ანალიზის თანახმად, მდგრადი ენერგიის ამოცანები პოზიტიური გავლენის მქონე მიმართულებად განისაზღვრა. მწვანე ენერგიაზე ხელმისაწვდომობა და ენერგოეფექტური შესაძლებლობების განვითარება მხოლოდ მდგრადობის დღის წესრიგთან არაა კავშირში, არამედ ასევე ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთანაც. უსაფრთხო და მწვანე ენერგიის მოხმარებისა და წარმოების (7.2, 7.3) უზრუნველყოფა საჭიროებს უფრო გამძლე და მდგრად ინფრასტრუქტურას (9.1, 9.2) და მნიშვნელოვნად განავითარებს არა მხოლოდ გარემოსდაცვით დღის წესრიგს, არამედ ხელს შეუწყობს მთელს ქვეყანაში „მწვანე“ ზრდას, წახალისებს ბიზნესს და მდგრად წარმოებასა და მოხმარებას (12).

ზემოაღნიშნული ოთხი კატეგორია მიმდინარე პანდემიის პირობებშიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რაც საფრთხის ქვეშ შეიძლება აყენებდეს მდგრადი განვითარების მიზნების ყველა მიღწევას საქართველოში.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პოლიტიკაში ინტეგრირების გზების გაუმჯობესებისთვის და მათი მიღწევის უკეთესი მონიტორინგისთვის, მთავრობა გეგმავს:

აწარმოოს და შეაგროვოს უკეთესი ხარისხის მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფუნქციონირების გაუმჯობესება; მონაცემთა შეგროვება მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოში; მთავრობის უწყებებში შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება; არასახელმწიფო მხარეების უნარების გაძლიერება მნიშვნელოვანი მონაცემების საწარმოებლად, კერძოდ:

- ჩაშლილი მონაცემების წარმოება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გაზომვის და პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის;
- მოსახლეობის მონაცემთა სისტემის ჩამოყალიბება, მოსახლეობის და შინამეურნეობების აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს უთანასწორობების აღმოჩენას და გააძლიერებს მტკიცებულებებზე დაყრდნობით პოლიტიკის წარმოებას;
- პრიორიტეტულ სფეროებში უფრო მყარი მტკიცებულებების ბაზის შექმნა, მაგალითად, იმ ჯგუფების სიტუაციის, საჭიროებების და პოლიტიკური პრეფერენციების კვლევა, რომლებიც „პროცესის მიღმა დარჩენის“ რისკებს ქვეშ დგანან.

SDG ამოცანების ბიუჯეტთან დაკავშირება

- მუნიციპალური და რეგიონული მოხელეების წახალისება მდგრადი განვითარების მიზნები გაითვალისწინონ დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესში და მსგავსი პროცესების ეროვნულ და ცენტრალურ დონეზე გაძლიერება;
- ეროვნული და ადგილობრივი ბიუჯეტების დეტალური შეფასების წარმოება SDGs განხორციელების ჭრილში და, საჭიროების შემთხვევაში, ხარჯვის თანხვედრის უზრუნველყოფა პრიორიტეტებთან მიმართებით, დაფინანსების ცვლილებების დასაბუთება სამიზნე სფეროებში.

ამოცანების მონიტორინგის და შეფასების გაუმჯობესება

- 93-ივე ნაციონალიზებული SDG ამოცანების გადახედვა, რათა კონცეპტუალური ხარვეზები შეივსოს და გაძლიერდეს მონიტორინგი;
- ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებში იმ ამოცანების ინტეგრირება რომლებიც არაა განსაზღვრული ან ახლად იქნა მიღებული;
- ნაციონალიზებული SDG ინდიკატორების ეროვნული მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში ინტეგრირება;
- სამოქალაქო სექტორის როლის გაძლიერება მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

პარტნიორობის გაძლიერება

- პრიორიტეტული მიმართულებების შეთანხმება ეროვნულ პარტნიორობთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ ცნობიერების გაზრდა, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა ძირითად დოკუმენტებზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებზე და ევროპის საბჭოს დოკუმენტებზე, როგორც SDG პროგრესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილზე;
- უკეთესი კომუნიკაციის, კოორდინაციის და გააზრების ხელშეწყობა SDG-ების მიმართ ყველა უწყებაში, ყველა დონეზე.

წინასწარ დაგეგმვა

- ანალიზიდან და რეკომენდაციებიდან პროაქტიულ პროგრამირებაზე გადასვლა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის.



საქართველოს მდგრადი განვითარების
მიზნების უწყებათშორისი საბჭოს
სამდივნო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია